პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკ-ის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სარედაქციო—10—68, გამ. კანტორის—3—31

ხუთშაბათი, 8 თებერვალი 1934 წ. № 33 (3889)

## საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობა

### ყრილობის დღიური

6 თებერვლის დილის და საღამოს სხდომები

ხსნის რა დილის სხდომას, თავმჯდომარე ამხ. პოსტიშევი აცხადებს: სიტყვა ეძლევა ლაზარე მოსესძე კაგანოვიჩს.

ყრილობა განსაკუთრებით მხურვალედ ხვდება ამხ. კაგანოვიჩს. მქუხს განუწყვეტელი ტაში, დელეგატები ფეხზე დგებიან. ყოველმხრიდან ისმის მძლავრი „ვაშ“. ისმის შეძახილი: „გაუმარჯოს კაგანოვიჩს“. ხანგრძლივი ოვაცია დიდხანს საშუალებას არ აძლევს ამხ. კაგანოვიჩს შეუდგეს თავის მოხსენებას.

მოხსენებას მოუნდა მთელი დილის სხდომა და საღამოს სხდომის დიდი ნაწილი.

დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, როცა ამხ. კაგანოვიჩი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ შესრულების ყოველდღიური შემოწმებაზე დამყარებულ კონკრეტულ, მოქნილ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას რა შესანიშნავ ნიმუშს აძლევს მთელს პარტიას ცენტრალური კომიტეტი და ბელადი ამხ. სტალინი.

დელეგატები ფეხზე დგებიან და ხანგრძლივ ოვაციას უმართავენ ამხ. სტალინს, მილიონების გენიალურ ორგანიზატორს.

ოვაცია ახლდება უდიდესი ძალით, როცა ამხ. კაგანოვიჩი თავის მოხსენებას საბოლოო სიტყვებს [illegible]:

„გაუმარჯოს ჩვენს დიდ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს [illegible], დიდ სტალინს!“

დელეგატები ფეხზე დგებიან, მქუხარე ტაშით ოვაციას უმართავენ ამხ. კაგანოვიჩს. მთელი დარბაზი იმეორებს ამხ. კაგანოვიჩის საბოლოო სიტყვებს:

„გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!“

ხანგრძლივი ოვაცია სრულდება „ინტერნაციონალის“ მძლავრი სიმღერით.

იწყება კამათი ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო. პირველად გამოდის ამხ. ხითაროვი (კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა) მერედ—ამხ. კლავდია ნიკოლაევა (დასავ. ციმბირი).

# მეორე ხუთწლედის ამოცანები

## ამხ. მოლოტოვის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე

ამხანაგებო! ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენება როდი იყო უბრალო ანგარიში პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარსული მოქმედების შესახებ. ეს იყო მოხსენება ჩვენი ამოცანების შესახებ სოციალიზმის მშენებლობის პერსპექტივების შესახებ, ჩვენი შემდგომი მუშაობის ხაზის შესახებაც. ამ მოხსენებაში მოცემულია ყველა ძირითადი მეორე ხუთწლედში პარტიის გეზის განსაზღვრისათვის.

მეორე ხუთწლედში ჩვენ წინაშე ვისახავთ სამ ძირითად ამოცანას.

აი, ეს ამოცანები.

მეორე ხუთწლედის **პირველი** და, ამასთან ერთად, **ძირითადი პოლიტიკური ამოცანა**—„კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ-კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, კლასობრივი განსხვავების და ექსპლოატაციის წარმომშობი მიზეზების სავსებით მოსპობა და კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვა ეკონომიკასა და ადამიანების შეგნებაში, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად (მე-17 პარტკონფერენცია).

**მეორე ამოცანა** — მუშათა და კოლმეურნე მასების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და მშრომელთა მოხმარების დონის ამაღლება 2½—3-ჯერ.

**მესამე ამოცანა** — მთელი სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება.

ეს სამი ამოცანა განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან და განსაზღვრავს მეორე ხუთწლედის პერიოდში სოციალისტური მშენებლობის ბუნებას.

როგორც მე-17 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებშია ნათქვამი, მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კლასების სრული ლიკვიდაცია და ამასთან ერთად, კლასების წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრა. ასეთი ამოცანის დაყენება გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინური ძირითადი დებულებიდან იმის შესახებ, რომ „სოციალიზმი არის კლასების მოსპობა“ (ლენინი). მეორეს მხრივ მხოლოდ ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ პარაზიტული კლასების და ელემენტების მოსპობასთან და მზარდი სახალხო მეურნეობის მშრომელთა და საბჭოთა სახელმწიფოს განკარგულებაში მთლიანად გადასვლასთან დაკავშირებით, შეიძლება დასმულ იქნას მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული დონის რადიკალურად გაუმჯობესების ამოცანა. აღნიშნული ამოცანების განხორციელება უნდა ეყრდნობოდეს სახალხო მეურნეობის უდიდეს ზრდას და მის ტექნიკურ რეკონსტრუქციას. ამიტომ სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება დასმულია მეორე ხუთწლედის ძირითად სამეურნეო ამოცანად.

ახლა მეორე ხუთწლედის ეს სამი ძირითადი ამოცანა ჩვენ შეგვიძლია დავსახოთ პირველი ხუთწლედის წარმატებებზე დაყრდნობით, პირველი ხუთწლედის ძლევამოსილად შესრულებაზე დაყრდნობით. აღნიშნული ამოცანების გადაჭრა მოამზადა პირველმა ხუთწლედმა და მთელმა წინანდელმა სოციალისტურმა მშენებლობამ.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში კაპიტალისტური ელემენტები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არც თუ ისე უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდენ. მართალია, მრეწველობაში კაპიტალისტური ელემენტების ხვედრითი წონა წლითიწლობით ეცემოდა ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის დაწყებამდე და უკვე ამ ხუთი წლის წინად იგი სრულიად უმნიშვნელო იყო. მსხვილ მრეწველობაში კი კაპიტალისტური ელემენტების ხვედრითი წონა უკვე მაშინაც პირდაპირ უმნიშვნელო იყო, შეადგენდა რა სულ დაახლოებით ერთ პროცენტს მთელი მსხვილი მრეწველობის პროდუქციის მიმართ. გასაგებია, რომ პირველი ხუთწლედის დამლევისათვის მრეწველობაში კაპიტალისტური ელემენტების შესახებ უკვე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ვაჭრობაში კერძო ვაჭარს უკვე პირველი ხუთწლედის დასაწყისისათვის გამოეცალა ნიადაგი და კაპიტალისტური ელემენტების ხვედრითი წონა საქონლის ბრუნვაში თვალსაჩინოდ დაეცა. 1928 წელს კერძო ვაჭრობა საცალო საქონლის ბრუნვაში შეადგენდა სულ დაახლოებით 25 პროცენტს. კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ იმდენად გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს, რომ პირველი ხუთწლედის განმავლობაში კერძო ვაჭრობა თითქმის სავსებით იქნა განდევნილი საქონლის ბრუნვიდან. მე არ მინდა ამით ვთქვა, რომ ჩვენ ჩინებულად გავართვით თავი ვაჭრობის ორგანიზაციის ამოცანას, მაგრამ კაპიტალისტური ელემენტების განდევნა ვაჭრობიდან ჩვენ მაშინ ფრიად წარმატებით ჩავატარეთ.

როგორც ცნობილია, გაცილებით უფრო ძნელ ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოფლად. თვით პირველი ხუთწლედის დაწყებამდე სოფლად ჩვენ გვქონდა შეძლეულებად და ღარიბებად დანაწილების გადიდება და გრძელდებოდა კულაკობის ზრდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძირითადი გლეხური მასა დაადგა კოლექტივიზაციის გზას—და— ეს კი მხოლოდ პირველი ხუთწლედის დასაწყისში მოხდა —შესაძლებელი გახდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ამოცანის დასმა. კულაკობის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, სოფლად მთელი ფრონტით გაიშალა ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის ღარიბ-საშუალო გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია ძირითადად განხორციელებულ იქნა გადამწყვეტ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, რითაც ძირი გამოეთხარა კულაკობის პოზიციებს. რადიკალურად შეიცვალა აგრეთვე სოფლად ერთპიროვნული მეურნეობის როლიც. დღეისათვის, როცა გლეხურ მეურნეობათა ორი მესამედი კოლექტივებშია გაერთიანებული და კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობებთან ერთად აწარმოებენ მარცვლეული კულტურების მთელი სათესი ფართობის 84,7 პროცენტს, ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში სავსებით გაიმარჯვა კოლექტივიზაციის საქმემ. კულაკობის ნაშთები განწირული არიან სწრაფი და საბოლოო დაღუპვისათვის, ხოლო დანარჩენ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა წინაშე დასახულია მხოლოდ ერთი გზა — თანდათანობით გადავიდნენ კოლექტივიზაციის რელსებზე.

მხოლოდ მას შემდეგ რაც ჩვენ მივაღწიეთ ყოველივე ამას მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის, მხოლოდ მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური ელემენტები განადგურებულ იქნენ არამც თუ მრეწველობასა და ვაჭრობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც და თავისი მასით [illegible] — მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შევძელით ჩვენ დაგვესახა მეორე ხუთწლედის ძირითად ამოცანად კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების სრული ლიკვიდაცია.

აქ მიღწეული შედეგები და ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები ჩანს შემდეგ ცხრილიდან:

### სოციალისტური ფორმების ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირის მეურნეობაში პროცენტებში

| | 1928 წ. | 1932 წ. | 1937 წ. |
|---|---|---|---|
| **მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის** | 99.0 | 99,93 | 100,0 |
| **სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის (კოლმეურნეთა ინდივიდუალური მეურნეობების ჩათვლით).** | 3,0 | 74,7 | 100,0 |
| **ყველა სათეს ფართობზე (კოლმეურნეთა ინდივიდუალური მეურნეობების ჩათვლით).** | 2,8 | 79,7 | 100,0 |
| **გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი.** | 1.7 | 61,5 | 100,0 |
| **საცალო საქონლისბრუნვაში** | 75,2 | 99,0 | 100,0 |
| **საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში** | 44.0 | 93,0 | 100,0 |

მეორე ხუთწლედის ბოლოსთვის სოციალისტური ფორმები მონოპოლიურ მდგომარეობას დაიკავებენ მეურნეობის ყველა დარგში. ხუთი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობიდან ჩვენს ქვეყანაში, რომლის შესახებ ლაპარაკობდა ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში, და ორი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობიდან, რომლებიც კიდევ არსებობენ ამჟამად, მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ჩვენ გვექნება ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა — სოციალისტური წყობა და საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავალი სავსებით და მთლიანად მშრომელთა განკარგულებაში იქნება.

ჩვენი ქვეყანა, განახორციელებს რა მეორე ხუთწლედის ამოცანებს, გადაიქცევა მონოლიტურ სოციალისტურ რესპუბლიკად (**ტაში**).

ჩვენ ვისახავთ ჩვენს ამოცანად მეორე ხუთწლედში გავანადგუროთ ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ სხვაობას და, ადამიანის ექსპლოატაციას ადამიანის მიერ.

როგორია ეს მიზეზები? ეს მიზეზები იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, სანამ ზოგ ადამიანს აქვს ეს საწარმოო საშუალებები, ხოლო სხვებს არა აქვთ. ჩვენ ვიცით, რომ საწარმოო საშუალებები მრეწველობაში თითქმის მთლიანად სახელმწიფოს ხელშია. თითქმის იგივე შეიძლება ახლა ითქვას ვაჭრობის შესახებაც. შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ კოლმეურნეობების გარეშე დარჩენილი გლეხურ მეურნეობათა, დაახლოებით ერთი მესამედი მეორე ხუთწლედში დაადგება კოლექტივიზაციის გზას. ამით სოფლის მეურნეობაშიაც საწარმოო საშუალებები — მანქანები და ცოცხალი ინვენტარი — გადიქცევა სახელმწიფოს და კოლმეურნეობების საკუთრებად და არა კერძო პირებისა. ხოლო მიწა, როგორც ვიცით, ნაციონალიზირებულია; ჯერ კიდევ 1917 წელს. ბოლოს მოუღებთ რა სოფლის მეურნეობაშიაც საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებას; და მტკიცედ გავამაგრებთ რა სოციალისტური ფორმების პოზიციებზე (კოლმეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საბჭოთა მეურნეობები), ჩვენ ამით მოვსპობთ მიზეზებს, რომლებიც კლასებს და ექსპლოატაციას წარმოშობენ.

ამასთანავე ჩვენ ელაპარაკობთ კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის შესახებ ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში.

რას ნიშნავს ეს? ნათქვამიდან ცხადია, თუ რას ნიშნავს ეს ქვეყნის ეკონომიკის მიმართ. კაპიტალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ ძლიერ დიდი და უაღრესად ცხოველია ადამიანთა შეგნებაში. ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმას რომ ადამიანთა შეგნებაში ამ ნაშთებს, ჩვენ აუცილებლად ანგარიში უნდა გავუწიოთ პარტიაშიაც კი. პარტიაშიაც ეს ნაშთები კიდევ დიდხანს მასაზრდოებელი წყარო იქნება ანტილენინური იდეოლოგიისათვის. მით უმეტეს ხაზი უნდა გავუსვათ კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის ამოცანას ადამიანთა შეგნებაში მშრომელთა მთელი მასის მიმართ. ამ სახის ნაშთები ჩვენ არ შეგვიძლია არ მივიჩნიოთ კლასობრივი მტრის დასაყრდენად, რომელიც ცოცხლობს და რომელიც ამჟამად ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა ძირი გამოუთხაროს სოციალიზმის საქმეს, შეაფერხოს და ავნოს მშრომელთ.

საჭიროა პროლეტარული დიქტატურის მთელი ძალები, კულტურის უდიდესი ზრდა და ჩვენი პარტიის მთელი გავლენა მასებში, რათა ყოველმხრივ დავაჩქაროთ ამ ნაშთების აღმოფხვრა მშრომელთა წრეში. მშრომელთა შეგნებაში ამ ნაშთების დაძლევისათვის ბრძოლა — ნიშნავს ბრძოლას სოციალისტური საკუთრების განმტკიცებისათვის, როგორც წმინდათაწმინდასა და ხელუხლებელი საკუთრებისთვის; ჩვენს ქვეყანაში. ბრძოლა ამ ნაშთების დაძლევისათვის — ნიშნავს ბრძოლას შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისათვის, შეგნებული და რკინისებური შრომის, დისციპლინისათვის, შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლებისთვის, ჩვენი მუშაობის ყველა და ყოველგვარი ხარვეზებისა და დეზორგანიზატორების წინააღმდეგ.

ამ ამოცანებისა და, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაციის ამოცანის განხორციელება მოითხოვს პროლეტარული დიქტატურის, მისი ძლიერების, მისი ბრძოლისუნარიანობის ყოველნაირად განმტკიცებას. ამ ამოცანების განხორციელება ამავე დროს მოითხოვს მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის გამაგრებას, ვინაიდან მხოლოდ ამ კავშირის განმტკიცების საფუძველზე შეიძლება ბოლომდის მივიყვანოთ კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაცია.

ასეთია უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის გადაქცევის გზა.

მშრომელთა მატერიალური და, კულტურული დონის ამაღლების, საქმეში პირველი ხუთწლედის მანძილზე ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. საკმარისია აღინიშნოს, უმუშევრობის მოსპობა, მუშებში შექმნა ხვალინდელი დღისადმი; სრული რწმენის გლეხობის კულაკებად და ღარიბებად დანაწილების მოსპობა და სოფლის გაღატაკების შეწყვეტა.

მუშათა მასების მატერიალური დონის განუწყვეტელი ამაღლება, და გლეხთა მასების კეთილდღეობის დაჩქარებული ამაღლებისათვის ახლა შექმნილი წანამძღვარები გამოხატულებას ჰპოვებენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნათა ზრდაში. სწორედ ამასთან დაკავშირებით პარტია და მთავრობა ამოცანად ისახავენ გააძლიერონ მსუბუქი და კვების მრეწველობის, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების და სოფლის მეურნეობის მუშაობა და უზრუნველყონ მშრომელთა მოხმარების დონის ორნახევარსამჯერ გადიდება.

რა არის ამისათვის აუცილებელი?

ამისათვის, ჯერ ერთი, აუცილებელია უზრუნველვყოთ ნედლეულით მსუბუქი და კვების მრეწველობა და, მაშასადამე, სულ მცირე **ერთიორად** მაინც, გავადიდოთ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია.

ამისათვის, მეორე, აუცილებელია საგრძნობლად გავაძლიეროთ ჩვენი მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე და **ერთისამად** გავადიდოთ მრეწველობის ამ დარგების პროდუქცია; სწორედ ეს შეადგენს მეორე ხუთწლედის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

როგორც სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის და მსუბუქი და კვების მრეწველობის გაშლის ამოცანა, ისე ტრანსპორტის მთელი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესების ამოცანა უკავშირდება მეორე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის საკითხს.

აი ამიტომ ყრილობის თეზისები, გვეუბნება, რომ „მეორე ხუთწლედის ძირითად და გადამწყვეტ სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება“.

ჩვენ უფლება გვაქვს განვიხილოთ მეორე ხუთწლედის შედეგები, როგორც ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკის, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ აგრეთვე, რომ მეორე ხუთწლედში წამოყენებული ამოცანები მთლიანად გამომდინარეობენ წინა პერიოდის წარმატებათა, და მიღწევათაგან და მოწმობენ სოციალიზმის ძალების უდიდეს ზრდას საბჭოთა კავშირში, პარტიის და მუშათა კლასის შეურყეველ რწმენას, თავის საქმის გამარჯვებისადმი

სანამ მეორე ხუთწლედის ამოცანების უფრო კონკრეტულად გაშუქებაზე გადავიდე, მე შევჩერდები მე-17 პარტკონფერენციის ცნობილ დირექტივებზე. ამ დირექტივებთან შედარებით მე-17 ყრილობის თეზისები მეურნეობის ცალკე დარგების მიმართ მთელ რიგ ცვლილებებს შეიცავს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება დავალებებს სამრეწველო პროდუქციის ხაზით; გვერდს ვუვლი დეტალებს და ვიტყვი, მხოლოდ, რომ ეს ცვლილებანი არავითარ შემთხვევაში არ ცვლიან მე-17 პარტკონფერენციის ძირითად გეზს. მეორე, ხუთწლედის ძირითადი ამოცანები ყრილობის თეზისებში ჩამოყალიბებულია მე-17 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებთან სრული შეფარდებით.

ყრილობის საქმეა განიხილოს დასახული ცვლილებანი და თქვას თავისი საბოლოო სიტყვა მეორე ხუთწლედის ყველა გადამწყვეტი დავალების შესახებ.

## I. ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება და სახალხო მეურნეობის აღმავლობა

მეორე ხუთწლედის მთავარ სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება და ამ საფუძველზე ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარება.

პირველ ხუთწლედში მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმე უკვე საგრძნობლად წინ წავიდა. მძიმე მრეწველობა, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა მტკიცედ დადგა ფეხზე. სოფლის მეურნეობაში ხელახალმა ტექნიკურმა შეიარაღებამ მთელი გადატრიალება მოახდინა. ხელახალი ტექნიკური შეიარაღება წინ წავიდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიაც და მაინც ამით მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციას.

ტექნიკური რეკონსტრუქციის ამოცანა მხოლოდ მეორე ხუთწლედში დაისვა მთელი სიგრძე-სიგანით მრეწველობის ყველა დარგის, მთელი სოფლის მეურნეობის და ყველა სახის ტრანსპორტის მიმართ.

რას ნიშნავს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება? ეს ნიშნავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ისეთი ხელახალი ტექნიკური შეიარაღების მიღწევას, რომელიც მათ აიყვანს ტექნიკის მხრივ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დონეზე. სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება საბჭოთა კავშირს პირველ ადგილზე აყენებს ევროპაში განვითარების ტექნიკური დონის მხრივ. არა მარტო ტექნიკის დონის მხრივ, არამედ აგრეთვე სამრეწველო პროდუქციის და სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა ძირითადი დარგის პროდუქციის მხრივაც საბჭოთა კავშირი იქნება ევროპის ყველა ქვეყნის წინ, მაგრამ მთელ რიგ დარგებში ჯერ მაინც ჩამორჩება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებს. ყოველივე ამას არსებითი ცვლილებები შეაქვს საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში კაპიტალისტურ მსოფლიოსთან და ორი საზოგადოებრივი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ბრძოლა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყავს.

პირველ ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის აღმავლობის საფუძველს წარმოადგენდა **ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა**. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის საფუძველზე, რომელმაც უზრუნველყო მძლავრი მძიმე ინდუსტრიის შექმნა, ჩვენ მივაღწიეთ მთელი სახალხო მეურნეობის უდიდეს აღმავლობას.

მეორე ხუთწლედში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა თავის გამოხატულებას ჰპოვებს იმაში, რომ კვლავ იზრდება მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში. ეს ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

### მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში.

პროცენტობით:

| | 1932 წ. | 1937 წ. |
|---|---|---|
| 1. მრეწველობა (მთელი) | 76,8 | 79,5 |
| 2. სოფ. მეურნეობა | 23,2 | 20,5 |
| ს უ ლ | 100,0 | 100,0 |

ამგვარად, სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში მეორე ხუთწლედის დამლევისათვის მრეწველობის პროდუქცია შეადგენს თითქმის 80 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მიაღწევს მსოფლიოს უაღრესად ინდუსტრიალური ქვეყნების — გერმანიის და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების დონეს.

მეორე ხუთწლიანი გეგმით პარტია სახავს სამრეწველო პროდუქციის კოლოსალურად გადიდების ამოცანას ეს პროდუქცია უნდა გაიზარდოს 43 მილიარდი მანეთიდან (პირველი ხუთწლედის დამლევისათვის) 103 მილიარდ მანეთამდე (მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს). ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქცია უნდა გადიდდეს 2,4-ჯერ, ხოლო ომის წინანდელ დონესთან შედარებით—9-ჯერ, ამგვარად, ჩვენი ინდუსტრია განაგრძობს ზრდას ნამდვილი ბოლშევიკური ტემპებით.

ახლა მრეწველობის ზრდის **ტემპების** შესახებ. პირველი ხუთწლედისაგან განსხვავებით, როცა პროდუქციის მთავარი მასა მზადდებოდა ძველ ან განახლებულ საწარმოებში, რომელთა ტექნიკაც უკვე ათვისებული იყო, მეორე ხუთწლედში პროდუქციის მთავარ მასას მოგვცემენ ახალი საწარმონი, რომელთა ათვისებაც პირველ სტადიაში დაკავშირებულია მთელ რიგ საგრძნობ სიძნელეებთან. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ახალი მშენებლობის ამოცანებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნიკის და ახალი საწარმოების ათვისების ამოცანას. შემდეგ აქედან გამომდინარეობს ის, რომ პირველ ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის 21—22 პროც. ზრდის ტემპებთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპები მეორე ხუთწლედში რამდენადმე ნაკლები იქნება (საშუალოდ 19 პროც., წლიწადში).

მეორე მხრივ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეორე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის ნამატის თითოეული პროცენტი გაცილებით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე პირველ ხუთწლედში ნამატის შესაფერი პროცენტი.

და მართლაც, მრეწველობის პროდუქციის ნამატის ერთი პროცენტი პირველი ხუთწლედის დამლევისათვის უდრიდა 386 მილიონ მანეთს, იმ დროს, როცა პროდუქციის ნამატის ერთი პროცენტი მეორე ხუთწლედის დამლევისათვის შეადგენს 825 მილიონ მანეთს. აი ამიტომაცაა, რომ, თუ პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წლებში მრეწველობის წლიური ნამატი უდრიდა 4—5 მილიარდ მანეთს, მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს იგი განისაზღვრება 20 მილიარდ მანეთზე მეტი თანხით. სამრეწველო პროდუქციის მარტო ეს გადიდება თითქმის ორჯერ აღემატება მეფის რუსეთის მსხვილი (უფრო სწორად — ცენზიანი) მრეწველობის 1913 წ. მთელ პროდუქციას. აი რას ნიშნავს მრეწველობის ზრდის ბოლშევიკური ტემპები!

პირველი ხუთწლედის წარმატებანი საფუძველს გვაძლევენ დავისახოთ ის გიგანტური ახალი ამოცანები.

როგორც ცნობილია, ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებულმა პლენუმმა გასულ წელს გამოარკვია, რომ მრეწველობის საერთო პროდუქციის ხაზით პირველი ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმა შესრულებული იყო 1932 წელს 93,7 პროცენტით. ასეთი იყო **წინასწარი ცნობები** პირველი ხუთწლედის შესრულების შესახებ. 1933 წ. განმავლობაში მიღებულ იქნა მრეწველობის **საანგარიშო ცნობები** და მათ საფუძველზე მოხდა პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგების დაზუსტებული გამოანგარიშება. ამ გამოანგარიშებას არამც თუ არ მოჰყოლია პირველი ხუთწლედის სამრეწველო გეგმის შესრულების შემცირება. რაც ნავარაუდევი იყო ერთი წლის წინათ. არამედ, პირიქით, მან მოგვცა კიდევ უფრო ხელსაყრელი შედეგები. აი ამ გამოანგარიშების შედეგები წინასწარ გამოანგარიშებასთან შედარებით.

### ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია

(1926—27 წ. ფასებით).

| | მთელი მრეწველობა | „ა“ ჯგუფის მრეწველობა | „ბ“ ჯგუფის მრეწველობა |
|---|---|---|---|
| 1. 1932—33 წლის გეგმა (პირველი ხუთწლედის გეგმის მიხედვით) მილიარდ მანეთებით | 36,6 | 17,4 | 19,2 |
| 2. 1932 წლის პროდუქცია **წინასწარი** გამოანგარიშებით: | | | |
| ა) მილიარდ მანეთებით . . . | 34.3 | 18,0 | 16.3 |
| ბ) პროცენტობით 1932—33 წ. გეგმის მიმართ | 93.7 | 103,4 | 84.9 |
| 3. 1932 წლის პროდუქცია საანგარიშო ცნობებით (ხუთწლიან გეგმასთან შედარებით | | | |
| ა) მილიარდ მანეთებით | 35.3 | 19,1 | 16.2 |
| ბ) პროცენტობით 1932—33 წ. გეგმის მიმართ . . . . | 96.4 | 109,8 | 84,4 |

ამგვარად, როგორც ახლა გამოირკვა, **სამრეწველო პროდუქციის ხაზით პირველი ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმა შესრულებული იყო** არა 93,7 პროცენტით, არამედ 96,4 პროცენტით, ხოლო საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის ხაზით (ჯგუფი „ა“), არა 103,4 პროცენტით, არამედ 109,8 პროც..

სამრეწველო პროდუქციის ხაზით გეგმის 96,4 პროცენტით პირველი ხუთწლედის შესრულების მოყვანილი მაჩვენებლები საკმაოდ ადასტურებს პირველი ხუთწლედის შესრულების წარმატებებს (თუმცა არც ეს მაჩვენებლებია სავსებით სრული). და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვქონდა საერთაშორისო ხასიათის სპეციალური მიზეზები, რომლებმაც პირველი ხუთწლედის დამლევს შეგვიქმნეს სიძნელეები ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. მეორე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს **საწარმოო საშუალებათა წარმოების** („ა“ ჯგუფის მრეწველობა) და **მოხმარების საშუალებათა** („ბ“ ჯგუფის მრეწველობა) განვითარების ტემპების შეცვლა.

თუ პირველ ხუთწლედში საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობა შედარებით სწრაფად ვითარდებოდა, მეორე ხუთწლედში ამაზე უფრო სწრაფად იზრდება ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობა. პირველი ხუთწლედის ამოცანას წარმოადგენდა მძიმე ინდუსტრიის შექმნა, როგორც მთელი მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ბაზისა. ამ ამოცანას ჩვენ თავი გავართვით. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს სწრაფად წავსწიოთ წინ როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობა, მივაღწიოთ ფართო მოხმარების საგნების განსაკუთრებით დაჩქარებულ წარმოებას.

მეორე ხუთწლედში დასახულია შემდეგი ცვლილებები მრეწველობის ორი ძირითადი ჯგუფის („ა“ და „ბ“) პროდუქციის ხვედრით წონაში:

### ცვლილებანი მთელი მრეწველობის ძირითადი ჯგუფების მეფარდებაში მეორე ხუთწლედის მანძილზე (პროცენტობით).

| | 1937 წ. | 1932 წ. |
|---|---|---|
| **ჯგუფი „ა“**<br>საწარმოო იარაღები და საშუალებანი . . . . . . : | 53,3 | 47,1 |
| **ჯგუფი „ბ“**<br>მოხმარების საგნები . . . . | 46.7 | 52,9 |
| ს უ ლ . . . . | 100.0 | 100,0 |

ამგვარად, ჯგუფი „ა“ და ჯგუფი „ბ“ ერთმანეთის ადგილს იჭერენ ეს ხდება იმის შედეგად, რომ მეორე ხუთწლედში მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპები — 22 პროც. გაცილებით მაღალია საწარმოო საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპებზე—16 პროც., ეს ტემპები მაღალია აგრეთვე პირველ ხუთწლედში ფართო მოხმარების საგნების წარმოების ზრდის (17 პროც.) ტემპებზე. მრეწველობის განვითარების საერთო ტემპებისაგან ჩამორჩენილი ჯგუფი „ბ“ დაჩქარებულად ვითარდება — მისი ზრდის ტემპები მრეწველობის ზრდის საშუალო ტემპებზე მაღალია. ამგვარად, მსუბუქი და კვების მრეწველობა, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების წარმოების სხვა დარგები დგანან თავისი განვითარების ახალი უდიდესი ამოცანების წინაშე.

ჩვენი ამოცანაა არა მარტო მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის შემდგომი სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა. მეორე ხუთწლედში ჩვენ მძლავრად უნდა განვავითაროთ აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობა, გავუწიოთ მას სახელმწიფოებრივი დახმარება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ნედლეულის ადგილობრივი წყაროები და ადგილობრივი სახის სათბობი. განსაკუთრებით ფართო მოხმარების საგნების პროდუქციის გადიდებისათვის საჭიროა ადგილობრივი მრეწველობის მოვებათა საგრძნობი ნაწილის გადაცემა ადგილობრივი აღმასკომების განკარგულებაში. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება თვით ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის რადგან ჩვენი ადგილობრივი ორგანოები, პირველ ყოვლისა, საოლქო ორგანიზაციები უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მომაგრდნენ, ჩვენ ამ ორგანოების განკარგულებაში უნდა გადავცეთ საკავშირო და რესპუბლიკური მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები. პირველ ყოვლისა, ეს ეხება იმ საწარმოებს, რომელნიც უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულით და ადგილობრივი სათბობით მუშაობენ.

მართებული არ იქნება აგრეთვე შინამრეწველობის შემდგომი ზრდის უდიდეს შესაძლებლობათა უგულებელყოფა. მიუხედავად სახელმწიფო მრეწველობის სწრაფი აღმავლობისა, შინამრეწველობას შეუძლია და უნდა მოგვცეს დამატებითი პროდუქციის საკმაო რაოდენობა ადგილობრივ ბაზრებისათვის, აგრეთვე მრეწველობის მომსახურებისათვის დამხმარე სახის ნაწარმითა და საშენი მასალით.

(გაგრ. იხ. მე-2 გვ.)

# მეორე ხუთწლედის ამოცანები—ამხ. მოლოტოვის მოხსენება

## I. მრეწველობის აღმავლობა და რეკონსტრუქცია

გადავდივარ მრეწველობის ცალკე დარგების განვითარებაზე მეორე ხუთწლედში:

ა) ძირითადი დავალებანი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებისათვის, რომელნიც საწარმოო საშუალებებს ამზადებენ:

**მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა (ჯგუფი „ა“)**

| | 1932 წ. | 1937 წ. | 1937 წ. პროცენტ. 1932 წლის მიმართ |
|---|---|---|---|
| **საწარმოო საშუალებათა წარმოება** (მილიარდ მანეთობით 1926—27 წ. ფასებში) | 23,1 | 48,4 | 209,4 |
| მათ შორის: | | | |
| 1) მანქანათმშენებლობა (მილიარდ მანეთობით) | 9,3 | 21 | 227 |
| მათ შორის: | | | |
| ა) ლითონის დამმუშავებელი დაზგები (ათას ცალობით) | 15,0 | 40 | 267 |
| ბ) მძიმე მანქანათმშენებლობა (მილიონ მანეთობით) | 148,3 | 415,0 | 280 |
| გ) ტრაქტორები (პირობით 15-ძალიანი, ათას ცალობით) | 51,7 | 167 | 323 |
| დ) კომბაინები (ათას ცალობით) | 10,0 | 25,0 | 250 |
| ე) ორთლმავლები (სატვირთო და სამგზავრო პირობითი „Э“ და „Су“-ზე გადაყვანით, ცალობით) | 828 | 2900 | 350 |
| ვ) სატვირთო ვაგონები (2-ღერძიანი გამოანგარიშებით, ათას-ცალობით) | 22,2 | 128 | 576 |
| ზ) ავტომობილები (ათას ცალობით) | 23,9 | 200 | 837 |
| თ) საფეიქრო მანქანათმშენებლობა (მილიონ მანეთობით) | 60,1 | 360,0 | 599 |
| ი) სასურსათო მანქანათმშენებლობა (მილიონ მანეთობით) | 47,7 | 140,0 | 294 |
| 2) ელექტროენერგია (მილიარდ კილოვატ - საათებში) | 13,4 | 38 | 283 |
| მათ შორის: | | | |
| ელექტროენერგიის მთავარსამმართველოს რაიონული სადგურები | 8,3 | 25 | 302 |
| 3) ქვანახშირი (მილ. ტონობით) | 64,3 | 152 | 235 |
| 4) ნავთი გაზით (მილიონ ტონობით) | 22,1 | 47 | 213 |
| 5) თუჯი (მილიონ ტონობით) | 6,2 | 18 | 292 |
| 6) ფოლადი (მილიონ ტონობით) | 5,8 | 19 | 323 |
| 7) ტკეცილი ლითონი (მილიონ ტ.) | 4,2 | 14 | 326 |
| 8) სპილენძი (ათას ტონობით) | 46,7 | 155 | 332 |
| 9) ქიმია (მილიარდ მანეთობით) | 1,9 | 5,7 | 307 |
| 10) დახერხილი მასალები (მილ. კბ მ.) | 24,4 | 43 | 176 |

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ მძიმე მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგი უძლიერესად ვითარდება. ამასთან მანქანათმშენებლობა, რომელსაც წამყვანი როლი ეკუთვნის სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებაში, ვითარდება მძიმე მრეწველობის საშუალო ზრდაზე უფრო სწრაფად. ამის გამო, მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს მთელი სამრეწველო პროდუქციის 80 პროცენტი დამზადებულ იქნება ახალ საწარმოებში. პირველ და მეორე ხუთწლედში აგებულ და სავსებით რეკონსტრუირებულ საწარმოებში, იმ დროს, როცა პირველი ხუთწლედის დამლევს ჩვენ მრეწველობის პროდუქციის მხოლოდ 35 პროცენტი გვქონდა მიღებული ახალი საწარმოებიდან. არა მარტო მრეწველობამ, არამედ მეურნეობის სხვა დარგებმაც თავისი ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის უნდა მიიღონ ახალი მოწყობილობის უდიდესი რაოდენობა მეორე ხუთწლედის დამლევს მთელს სახალხო მეურნეობაში მომქმედი, საწარმოო იარაღების ნახევარზე მეტი (50—60 პროც.) შესდგება იმ საწარმოო იარაღებისაგან, რომლებიც სახალხო მეურნეობამ მიიღო მეორე ხუთწლედის განმავლობაში

ჩვენ ამოცანად ვისახავთ უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის გატარება საბჭოთა მანქანათმშენებლობის საკუთარი ძალებით. ამ მხრივ მეორე ხუთწლედი საფუძვლიანად განსხვავდება პირველისაგან. პირველი ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ უცხოეთიდან შემოვზიდეთ 1,5 მილიარდი ოქროს მანეთის სხვადასხვა გვარი მოწყობილობა. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ ტექნიკური საფუძველი ჩაგვეყარა მრეწველობის აგრეთვე სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგებისათვის, განსაკუთრებით იმისთვის, რომ უზრუნველგვეყო საბჭოთა მანქანათმშენებლობის ზრდის დაჩქარება. მეორე ხუთწლედის დამდეგისათვის მანქანათმშენებლობის მრეწველობამ უკვე უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

1913 წელთან შედარებით მანქანათმშენებლობის პროდუქციამ 1932 წლისათვის ერთიათად იმატა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მანქანათმშენებლობის მსოფლიო პროდუქციაში საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა 1928 წელს არსებულ 4 პროცენტიდან 1933 წლისათვის გაიზარდა 21,4 პროცენტამდე.

მეორე ხუთწლედში ჩვენმა მანქანათმშენებლობამ კიდევ უფრო დიდი ამოცანები უნდა შეასრულოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მომსახურების მხრივ. ამასთან საგრძნობლად იცვლება მოწყობილობის ტიპი, შემოღებულ იქნება მრავალი ახალი სახის საწარმოო საშუალება. მეორე ხუთწლედის დაზგათმშენებლობის გეგმაში იზრდება უფრო რთული მოწყობილობის — ნახევრად ავტომატების, ავტომატების, სახეხი, საფრეზერო, კბილან საჭრელი და სხვა რთული დაზგების ხვედრითი წონა. ათვისებულ იქნება 200-მდე ტიპის უახლესი დაზგები; მოეწყობა წარმოება სპეციალური ტიპის დიდძალი დაზგებისა—საავიაციო და საავტომობილო მრეწველობისათვის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისათვის. დაზგების წარმოებამ მეორე ხუთწლედის განმავლობაში უნდა მიაღწიოს 129.000 ერთეულამდე მაშინ, როცა პირველი ხუთწლედის დამლევს საბჭოთა კავშირში სულ იყო 160.000 ლითონ დასამუშავებელი დაზგა. სამეტალურგიო წარმოება სავსებით უზრუნველყოფილ უნდა იქნას კომპლექტური მოწყობილობით. სწრაფად ვითარდება აგრეთვე ენერგეტიკული მანქანათმშენებლობა (ტურბინები, გენერატორები, შინაგანი, წვის ძრავები, საორთქლო ქვაბები), ძლიერი და სუსტი დენის ელექტროტექნიკური მრეწველობა, რთული ქიმიური მანქანათმშენებლობა. გიგანტურად იზრდება სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა. ავტომობილების წარმოებამ 1937 წელს უნდა მიაღწიოს 200.000 ერთეულამდე; მანქანათმშენებლობა კვების მრეწველობისათვის იზრდება ერთიორად, საფეიქრო მრეწველობისათვის 6 — ჯერ. საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა უკვე პირველ ხუთწლედში გახდა ყველაზე უფრო მძლავრი მსოფლიოში. მეორე ხუთწლედში იგი თითქმის ერთიორად უნდა გაიზარდოს. მეორე ხუთწლედის დამლევს ერთი წლის განმავლობაში ჩვენ დავამზადებთ 160.000 ტრაქტორს (პირობითი 15 ძალიანს) და 25.000 კომბაინს.

ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმის დამთავრება განუყრელად დაკავშირებულია მრეწველობის შრომატევადი და მძიმე პროცესების მექანიზაციის ფართო განხორციელებასთან. ეს განსაკუთრებით ეხება მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა ქვანახშირი, ტორფი, ხე-ტყე, შავი მეტალურგია, მშენებლობა. მექანიზაციის ზრდის მაგალითად გამოდგება ქვანახშირის მრეწველობა, სადაც თითქმის მთლიანად მექანიზირებული იქნება მუშაობის ყველა ძირითადი პროცესი: მოჭრა — 95 პროც. გამოგორება— 80 პროც. მიტანა — 90 პროც.

საბჭოთა კავშირში მანქანა წარმოადგენს მშრომელთა განმათავისუფლებელს და მეგობარს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, იგი აადვილებს მძიმე მუშაობას, ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და ამაღლებს მშრომელთა კეთილდღეობას.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ელექტროფიკაციას. მეორე ხუთწლედში უაღრესად იზრდება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ელექტროენერგიის გამოყენება ქიმიური და თერმიული მიზნებისათვის, უწინარეს ყოვლისა მეტალურგიასა, ქიმიასა და მანქანათმშენებლობაში. ელექტროფიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ტრანსპორტისათვის, განსაკუთრებით დონბასის, დნეპრის რაიონის, ამიერ-კავკასიის, ურალის და სხვა რკინიგზების უფრო ტვირთდაძაბულ უბნებზე. ამავე პერიოდში საგრძნობლად მატულობს ელექტროენერგიის მოხმარება სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში — ელექტროლეწვა და სხვ.

ელექტროენერგიის წარმოება მეორე ხუთწლედში უნდა გადიდდეს 15,4 მილიარდ კილოვატ საათიდან 38 მილიარდ კილოვატ საათამდე, ე. ი. თითქმის ერთიორად ელექტროენერგიის გამომუშავების რაოდენობის მხრივ საბჭოთა კავშირი გაუსწრებს ყველა ევროპულ ქვეყანას და მეორე ადგილს დაიკავებს მსოფლიოში.

თითო მუშის ელექტროშეიარაღება საბჭოთა კავშირში მიაღწევს ამერიკის შეერთებული შტატების თითო მუშის ელექტროშეიარაღების 60 პროცენტს და 150 პროცენტზე მეტს გერმანიის მუშის ელექტროშეიარაღებასთან შედარებით. საბჭოთა კავშირის მუშების ელექტრო - შეიარაღება ოდნავადაც არ შეიძლება შევადაროთ რევოლუციამდელ პერიოდს. ელექტროშეიარაღების ეს ზრდა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ერთერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს.

მეორე ხუთწლედში უაღრესად იზრდება აგრეთვე სათბობი მრეწველობა. ქვანახშირის ამოღება მატულობს 64,3 მილიონი ტონიდან 152,5 მილიონ ტონამდე.

ნავთის მრეწველობა მატულობს 22,3-დან 46,5 მილიონ ტონამდე.

ტორფის, აგრეთვე ფიქალის მრეწველობა, როგორც ადგილობრივი სათბობი მძლავრად, კიდევ უფრო უწ- და განვითარდეს და ამასთან დიდად უნდა განვითარდეს.

შავმა მეტალურგიამ ბოლო უნდა მოუღოს თავის ჩამორჩენას სახალხო მეურნეობის ზრდის საერთო ტემპებისაგან და მთლიანად დააკმაყოფილოს ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება ლითონზე. თუჯის წარმოება უნდა გადიდდეს 6,2-დან 18 მილიონ ტონამდე. ფოლადის წარმოება — 5,9-დან 12 მილიონ ტონამდე. ტკეცილი ლითონის წარმოება—4,3-დან 14 მილიონ ტონამდე.

ჩვენმა მეტალურგიამ, როგორც საწარმოო აპარატის სიმძლავრის, ისე პროდუქციის გამოშვების მხრივ, უნდა დაიკავოს პირველი ადგილი ევროპაში, თუმცა იგი კიდევ საგრძნობლად ჩამორჩენილი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მეტალურგიისაგან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხოვანი ტკეცილი ლითონის და ელექტროფოლადის წარმოების, აგრეთვე ფეროშენადნობთა წარმოების განვითარებას აუცილებელია აგრეთვე განვახორციელოთ რკინის მადნის მრეწველობის ფართო რეკონსტრუქცია; და საქმით უზრუნველვყოთ მადნის გაუხვების მეთოდების დანერგვა და აგლომერაცია; შავი მეტალურგიისათვის ბრძოლა მეორე ხუთწლედშიც მოქცეული იქნება ჩვენი სამეურნეო ამოცანების ცენტრში.

საერთო განვითარების ტემპებისაგან განსაკუთრებით ჩამორჩენილია ფერადი მეტალურგია. ამავე დროს კი შეუძლებელია უზრუნველვყოთ მანქანათმშენებლობის და ელექტროფიკაციის სათანადო განვითარება, თავდაცვის საჭიროებებზე, რომ არაფერი ვთქვათ, თუ გადაჭრით არ გაიზარდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა სპილენძი, ალუმინი და სხვ.. ფერადი მეტალურგიის ჩამორჩენის ლიკვიდაცია, და მისი ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება მეორე ხუთწლედის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ქიმიურმა მრეწველობამ მეორე ხუთწლედში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ტექნიკურ რეკონსტრუქციაში. პირველი ხუთწლედის პერიოდში ახლად შეიქმნა ქიმიური მრეწველობის მთელი რიგი დარგები, როგორიცაა: აზოტის, კოქსის და ქიმიის, ანალინოვან საღებავის, კალიუმის, აპატიტის მრეწველობა, და სხვ. მეორე ხუთწლედში იქმნება მთელი რიგი ახალი ქიმიური წარმოებანი, როგორიცაა: ქვანახშირის, ტორფის და ფიქალის ქიმიური გადამუშავება, საღებავთა ახალი სახეები, ფართოდება პლასტიკური მასების, სინთეტიკური კაუჩუკის წარმოება და სხვ.

მინერალური სასუქის წარმოება, ხუთწლედის განმავლობაში ერთიათად უნდა გაიზარდოს ამ მრეწველობის განვითარებას სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

გადავდივარ **მოხმარების საგნების** დამამზადებელ მრეწველობაზე. აი წარმოების ამ დარგების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლების ცხრილი:

| | 1932 წ. | 1937 წ. | 1937 წ. პროცენტ. 1932 წლის მიმართ |
|---|---|---|---|
| მოხმარების საშუალებათა წარმოება (მილიარდ მანეთობით 1926-27 წ. ფასებში). | 20,2 | 54,3 | 268,8 |
| მათ შორის: | | | |
| 1. მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი | 6,7 | 20,5 | 308,0 |
| 2. მომარაგების სახ. კომისარიატი | 4,6 | 12,9 | 283,0 |
| 3. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი (ფართო მოხმარების საქონელი) | 0,96 | 2,9 | 300,0 |
| 4. სარეწაო კოოპერაცია | 1,9 | 6,0 | 310,0 |
| 5. საკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტი (ფქვილის საფქვავი, ბურღულის და სხვ.). | 1,0 | 2,5 | 251,0 |
| 6. ფართო მოხმარების საქონლის წარმოება სხვა სამეურნეო ორგანიზაციების მიერ | 4,8 | 8,6 | 181,0 |
| მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა სახეთა მიხედვით. | | | |
| ა) ბამბის ქსოვილი (ხამი საქონელი მილიონი მეტრობით) სულ | 2719,7 | 6250 | 229,8 |
| ბ) შალის ქსოვილი (მილიონი მეტრობით) სულ | 91,3 | 270,0 | 295,7 |
| გ) ტყავის ფეხსაცმელი (მილიონი წყვილი) | 81,9 | 205,0 | 250,3 |
| დ) შუშა (ათასი ტონობით) სულ | 396,4 | 1033,0 | 260,0 |
| ე) საპონი (42 პროც. გადაყვ.—00 | 357,2 | 1300,0 | 363,9 |
| კვების მრეწველობის ცალკეული, სახეების მიხედვით: | | | |
| ა) ხორცი (ათასი ტონობით) | 435,0 | 1250,0 | 287,4 |
| ბ) თევზის ჭერა (ათასი ტონობით). | 1333,0 | 1900,0 | 142,5 |
| გ) ერბო-კარაქიან (ცხოველის ათასი ტონობით). | 65,1 | 180,0 | 276,5 |
| დ) კონსერვი (მილიონი პირ. ქილა). | 716,0 | 2400,0 | 335,2 |

ცხრილიდან ჩანს, რომ ხუთწლედის განმავლობაში ფართო მოხმარების საგნების წარმოება მსუბუქ მრეწველობაში გაიზრდება 6,7 მილიარდი მანეთიდან 20,5 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 2,8-ჯერ და კიდევ უფრო მეტად. მთელი კვების მრეწველობის პროდუქცია 5,6 მილიარდი მანეთიდან გაიზრდება 15,6 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 2,3-ჯერ და კიდევ უფრო მეტად, პირველი ხუთწლედის დამლევთან შედარებით საგრძნობლად გაიზრდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოება მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზითაც. სახელობრ: ლითონის ნაწარმის გამოშვება გადიდდება 4,2-ჯერ, ველოსიპედების წარმოება — 5,5-ჯერ, საათების წარმოება—5,8-ჯერ, ფოტოგრაფიული აპარატების— 12,5-ჯერ, ლამპიანი რადიო-მიმღებების— 20-ჯერ და უფრო მეტად, ლითონის ჭურჭლისა—ოთხჯერ და სხვ.

ტექნიკური შეიარაღების დონის მხრივ საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობა მეორე ხუთწლედის დამლევისათვის ერთერთ პირველ ადგილს დაიჭერს მსოფლიოში. სწრაფად იზრდება და უდიდეს ოდენობას აღწევს ავტომატური დაზგების გამოყენება ქსოვაში, ბამბეულის მრეწველობაში, მატყლის მრეწველობაში, რთვის დარგში ჩვენ გადავდივართ საბჭოთა ინჟინერ ხრუშჩოვის მიერ გამოგონებულ უაღრესად გაუმჯობესებული ვატერის ფართოდ გამოყენებაზე, ხოლო ქსოვის დარგში—მენგერის საუკეთესო თანამედროვე საფეიქრო დაზგის გამოყენებაზე. სელის მრეწველობაში ვიყენებთ საბჭოთა ინჟინერ ზვირიკინის მიერ გამოგონებულ ახალ ვატერს, რომელიც ახლანდელი ვატერების შრომის ნაყოფიერებას 40 პროც., ადიდებს და საგრძნობლად აუმჯობესებს რთვას. საგრძნობი ტექნიკური, რეკონსტრუქცია ტარდება ფეხსაცმელის მრეწველობაში, შუშის და ფაიფურის წარმოებაში, აგრეთვე კანაფისა და ჯუტის მრეწველობაში. სადაც საბჭოთა ინჟინრის რომანოვის მიერ გამოგონებული ბადის საქსოვი მანქანა რამდენჯერმე ადიდებს მომქმედი მანქანების შრომის ნაყოფიერებას.

კვების მრეწველობაში პირველი ხუთწლედის მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ახალი დარგები: ხორცის ინდუსტრია ისეთი მძლავრი და პირველხარისხოვანი ტექნიკურად შეიარაღებული საწარმოებით, როგორიცაა მოსკოვის და ლენინგრადის ხორცის კომბინატები, მძლავრი საკონსერვო მრეწველობა, პურის მექანიზირებული ცხობა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა: მოსკოვი, ლენინგრადი და სხვ., მარგარინის, ჰიდროგენიზაციური, ხილბოსტნეულის, და მთელი რიგი სხვა დარგები. ბევრი რამ გაკეთდა თევზის მრეწველობის ტექნიკურ ხელახალ შეიარაღებაშიაც. უფრო მნიშვნელოვან ინდუსტრიალურ ცენტრებში მოეწყო მსხვილი სამაცივრო მეურნეობა. საზოგადოებრივი კვების მექანიზირებულმა საწარმოებმა, დიდმა სასადილოებმა და ფაბრიკა - სამზარეულოებმა დიდი მექანიკური მოწყობილობით თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს ქალაქების მომარაგების ორგანიზაციის საქმეში. მეორე ხუთწლედში ზრდის უფრო მაღალი ტემპი დასახულია შაქრის, საკონსერვო და ხორცის მრეწველობაში, ხორბლეულის ფქვილის, მაკარონის, საკონდიტრო ნაწარმის, ჩაის, აგრეთვე საპნის წარმოებაში. საკვები ცხიმების მწარმოებელი მრეწველობა მიდის მოწინავე დარგების ზრდის დონეზე და იზრდება სამჯერ და კიდევ უფრო მეტად. ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების შედეგად საბჭოთა კავშირი ხუთწლედის დამლევისათვის კვების მრეწველობის პროდუქციის მოცულობის მხრივ პირველ ადგილს იჭერს ევროპაში.

საჭიროა მივუთითოთ იმაზე, რომ მსუბუქმა და კვების მრეწველობამ მეორე ხუთწლედში წლითიწლობით საგრძნობლად უნდა გააძლიეროს თავისი განვითარების ტემპები. ამასთან შეფარდებით უნდა გაიშალოს მათი ტექნიკური რეკონსტრუქცია და სასოფლო - სამეურნეო ნედლეულით უზრუნველყოფა.

თუ პარტიის მოთხოვნა პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების შესახებ ეხება მრეწველობის ყველა დარგს, შეიძლება ითქვას, რომ იგი განსაკუთრებით ეხება ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას. მსუბუქი მრეწველობის წინაშე დასახულია ისეთი ამოცანები, როგორიცაა ბამბეული ქსოვილის ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესება ღებვისა და მოხატულობის გაუმჯობესება, წმინდა მაუდის და, შალეულობის მრეწველობის საკამვოლო ჯგუფების წილის გადიდება, ფეხსაცმელის გამძლეობის გადიდება, ქსოვილების, ჭურჭლეულობის ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.. კვების მრეწველობის წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დგას ხორცის მრეწველობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანები; ისეთი საუკეთესო სახის ხორცის წილის გადიდებით, როგორიცაა ღორის ხორცი, საშქილე ქონი; თევზის მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით საუკეთესო ხარისხის თევზის წილის გადიდების ხარჯზე და სხვ. საჭიროა მთელს მსუბუქ და კვების მრეწველობაში შემოწმებულ იქნას ასორტიმენტი, აიკრძალის პროდუქციის გაუარესებული სტანდარტები და უზრუნველყოფილ იქნას მთელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ პარტიის და მთავრობის დავალებათა მტკიცედ შესრულება.

ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მთელი მრეწველობის ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს მოქცეული.

## 2. სოფლის მეურნეობის აღმავლობა და რეკონსტრუქცია

სოფლის მეურნეობაში პირველი ხუთწლედის მანძილზე არ ჰქონია ადგილი ისეთ სწრაფ აღმავლობას, როგორც მრეწველობაში. აქ აღმავლობა უკვე შეეხო მარცვლეულობის მეურნეობას და ტექნიკურ კულტურებს, მაგრამ, ამავე დროს, ადგილი ჰქონდა მეცხოველეობის დაცემას და სულადობის შემცირებას.

სოფლის მეურნეობაში გადატრიალება მოხდა არა მარტო ტექნიკური შეიარაღების მხრივ, არამედ აგრეთვე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრითაც.

ამხ. სტალინმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გადაშალა ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის უკანასკნელ წლებში ჩატარებული საფუძვლიანი რეორგანიზაციის სურათი. ორასი ათასი კოლმეურნეობის, 5 ათასი საბჭოთა მეურნეობის და 3 ათასი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის შექმნა, უკანასკნელი 4—5 წლის საქმეა. მთელი სოფლის მეურნეობის, ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდესი ნაწილის ასეთი გარდაქმნა უმტკივნეულოდ ვერ იავლიდა. იგი დაკავშირებული იყო უდიდეს სიძნელეებთან და რეორგანიზაციის პერიოდში შეუძლებელი იყო მიგვეღწია სოფლის მეურნეობის აღმავლობის ტემპების კიდევ უფრო დაჩქარებისათვის.

ამ პერიოდის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს უკვე ის ფაქტი, რომ პირუტყვის სულადობის საგრძნობლად შემცირების მიუხედავად, ჩვენ მივაღწიეთ არა მარტო ნათესთა ფართობის ზრდას, არამედ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი კულტურების პროდუქციის გადიდებასაც. ამის მიღწევა შესაძლო გახდა მხოლოდ იმ უპირატესობათა გამო სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში, რომლებიც კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის წინაშე. ამის მიღწევა შესაძლო გახდა იმიტომ, რომ სოციალურ გარდაქმნასთან ერთად სოფლად ხდებოდა სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება, რაც გამოიხატა სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების უდიდესი რაოდენობით გადაცემაში. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიამ და პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანომ უზრუნველყვეს კულაკობის განადგურება და გაშალეს უდიდესი ორგანიზაციულ - პოლიტიკური მუშაობა სოფლად, განამტკიცეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გააძლიერეს საკოლმეურნეო დისციპლინა, აღზარდეს ახალი საკოლმეურნეო აქტივი.

ამჟამად, როცა სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ერთპიროვნულ მეურნეობებიდან კოლმეურნეობებად ძირითადად დამთავრებულია, შეიქმნა სხვა, გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში ყრილობაზე განაცხადა:

„არსებითად საანგარიშო პერიოდი სოფლის მეურნეობისათვის წარმოადგენდა არა იმდენად სწრაფი აღმავლობის და მძლავრი გაქანების პერიოდს, რამდენადაც უახლოეს ხანში ასეთი აღმავლობისა და ასეთი გაქანებისათვის წინასწარი პირობების შექმნის პერიოდს“

ახლა ჩვენზეა დამოკიდებული ამ მითითებების ცხოვრებაში გატარება და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფა უახლოეს წლებში.

როგორი დგას სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანა მეორე ხუთწლედში? ამოცანების მასშტაბი, პირველ ყოვლისა, ჩანს მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის, საერთო პროდუქციის გადიდების შემდეგი მაჩვენებლებიდან:

**სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მეორე ხუთწლედში (მილიონ ცენტნერობით)**

| კულტურები | 1932 წ. | 1937 | 1937 წ. %/%-ში 1932 წ. მიმართ |
|---|---|---|---|
| 1. სულ მარცვლეული | 698,7 | 1.105,6 | 158,2 |
| 2. ტექნიკური კულტურები: | | | |
| ა) ნედლი ბამბა. | 12,7 | 22,5 | 177,7 |
| ბ) სელი (ბოჭკო) | 5,0 | 9,0 | 180,0 |
| გ) შაქრის ჭარხალი | 65,6 | 276,0 | 427,0 |
| დ) მზესუმზირა | 22,6 | 35,7 | 158,0 |

ამ დავალებათა შესრულება სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის დარგში მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენს მოთხოვნილებას მარცვლეულ კულტურებზე, აგრეთვე ძირითადად დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას ტექნიკური კულტურებზე განსაკუთრებით სწრაფი ზრდა, პირველი ხუთწლედის დამლევთან შედარებით, დასახულია შაქრის ჭარხლის მხრივ, რომლისათვის 1932 წელი იყო უაღრესი დაქვეითების წელი.

ხუთწლიანი გეგმა არ სახავს ნათესთა ფართობის დიდ მატებას.

**ნათესთა ფართობი პირველ და მეორე ხუთწლედში (1.000 ჰექტარობით)**

| | 1932 წ. | 1937 წ. | 1937 წ. პროც. 1932 წ. მიმართ |
|---|---|---|---|
| ნათესთა მთელი ფართობი | 13,435 | 140.000 | 104,1 |
| მათ შორის: | | | |
| ა) მარცვლეული | 99.711 | 104,800 | 105,1 |
| ბ) ტექნიკური | 14.877 | 14,050 | 94,5 |
| გ) საბოსტნე - საბაღჩე. | 9.215 | 9.600 | 104,2 |
| დ) საკვები | 10.632 | 11.550 | 108,6 |

გეგმა ითვალისწინებს ყველა ნათესთა ფართობის გადიდებას 1932 წლის 134.435 ათასი ჰექტარიდან 140 მილიონ ჰექტარამდე 1937 წელს, ე. ი. მხოლოდ 4 პროცენტით ხუთწლედის მანძილზე ტექნიკური კულტურების ხაზით, სადაც ნათესთა ფართობის ზრდის გაქანება უკანასკნელ წლებში ზოგჯერ მეტად დიდი იყო. ნავარაუდევია ნათესთა ფართობის ერთგვარი შემცირებაც კი 5,5 პროცენტით. მხოლოდ ცენტრალურ სამომხმარებლო ზოლში, აგრეთვე ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ჩვენს წინაშე დგას ნათესთა ფართობის შემდგომი თვალსაჩინო გადიდების ამოცანა.

სოფლის მეურნეობის მთავარ ამოცანას მეორე ხუთწლედში წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება. აი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს მოსავლიანობის გადიდების საქმეში ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანას:

**მოსავლიანობა პირველ და მეორე ხუთწლედში (ცენტნერობით ჰექტარიდან)**

| | საშუალო 1928-32 წლებში | 1937 წ. | 1937 წ. პროცენტ. 1928-32 წლების საშ-ლოს მიმართ |
|---|---|---|---|
| **მარცვლეული მთლიანად** | 7,5 | 10,6 | 141,4 |
| მათ შორის: | | | |
| საშემოდგომო ხორბლეული | 8,6 | 12,0 | 139,6 |
| საგაზაფხულო ხორბლეული | 6,1 | 8,5 | 139,4 |
| ჭვავი | 8,0 | 11,5 | 143,8 |
| შვრია | 8,3 | 11,2 | 134,8 |
| ქერი | 8,2 | 10,5 | 128,1 |
| სიმინდი | 8,9 | 14,5 | 162,8 |
| ტექნიკური ნედლეული ბამბა | 7,5 | 12,0 | 160,0 |
| მაღალი სელი (ბოჭკო) | 2 | 3,7 | 165,8 |
| შაქრის ჭარხალი | 120,1 | 200,0 | 166,6 |
| მზესუმზირა | 5,5 | 8,5 | 154,6 |

ამ ცხრილიდან ჩანს, თუ რა უდიდესი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მარცვლეული კულტურების ხაზით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მოსავლიანობის გადიდება 40 პროცენტზე მეტით, ბამბის, სელის და შაქრის ჭარხლის ხაზით —60 და უფრო მეტი პროცენტით, მზესუმზირას ხაზით—50 პროცენტზე მეტით. ასეთი ამოცანები ჩვენ შეგვეძლია დავისახოთ მხოლოდ ახლა, რეორგანიზაციის პერიოდის დამთავრების შემდეგ მას შემდეგ რაც ძირითადად დასრულებულია წვრილ გლეხურ მეურნეობათა გარდაქმნა მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობებად და კოლმეურნეობებმა ერთგვარ განმტკიცებას მიაღწიეს. ამ ამოცანების შესრულება ჩვენთვის რომ შესაძლებელია, ამას მოწმობს გასული წელი, როცა რეორგანიზაციული პერიოდის დამთავრებისთანავე ჩვენ შევსძელით მიგვეღწია მარცვლეული და ტექნიკური კულტურების საგრძნობი ზრდისათვის.

მეცხოველეობის დარგშიაც ჩვენ უდიდეს ამოცანებს ვისახავთ მეორე ხუთწლედში. თუ რაში მდგომარეობს ეს ამოცანები ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

**პირუტყვის სულადობა საბჭოთა კავშირში (მილიონ სულობით)**

| | 1916 წ. | 1928 წ. | 1932 წ. | 1937 წ. | 1937 პროც. 1932 წლის მიმართ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ცხენი | 35,1 | 33,5 | 19,6 | 21,8 | 111,2 |
| 2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 58,9 | 70,5 | 40,7 | 65,6 | 60,0 |
| 3. ცხვარი და თხა | 115,2 | 1 46,7 | 52,1 | 96,0 | 184,3 |
| 4. ღორი | 20,3 | 25,9 | 11,6 | 43,4 | 374,1 |

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ცხენების მხრივ მეორე ხუთწლედის დამლევისთვისაც კი ვერ მივაღწევთ იმ უმაღლეს წერტილს, როელიც ჩვენ წარსულში გვქონდა. მსხვილი რქოსანი პირუტყვის მხრივ ჩვენ დავუახლოვდებით წარსულის (1928 წ.) დონეს. ცხვრის და თხის მხრივ ჩვენ ამოცანად ვისახავთ სულადობის თითქმის გაორკეცებას, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ 1928 წლის დონე. ღორების მხრივ ხუთწლედი ისახავს სულადობის გადიდებას თითქმის ოთხჯერ. ღორის სულადობის მხრივ 1937 წელს ჩვენ ორჯერ და კიდევ მეტად უნდა გადავაჭარბოთ მაღალ რიცხვს მთელი წარსული პერიოდის განმავლობაში.

ყოველივე ამას პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მხოლოდ შეუპოვარი მუშაობით საქმის გასაუმჯობესებლად მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში და ცალკეულ კოლმეურნეთა მეცხოველეობის განვითარებისათვის ყოველ მხრივად ხელის შეწყობით.

ამის გარდა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ მეცხოველეობის დარგში ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებას (წველა, ცოცხალი წონა, ახალგაზრდა პირუტყვის ზრდა და სხვ.) მეცხოველეობის განვითარების დარგში მუშაობის მთელი ორგანიზაციით ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ჩამორჩენილი დარგების სწრაფად გამოსწორების ბოლშევიკური უნარიანობა და მოხერხებულობა, ბოლშევიკური ტემპებით უნდა უზრუნველვყოთ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანის გადაჭრა.

მთავარი, რაც აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის, ესაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების **ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.** იმისათვის, რომ შევასრულოთ მეორე ხუთწლედის ამოცანები, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა და შემოიღონ მსხვილი ორგანიზებული მექანიზირებული მეურნეობისათვის შესაფერისი წესრიგი. პარტიამ გააკეთა ყველაფერი იმისათვის, რათა პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობებში და მათი ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების საქმისადმი ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად ყოფილიყო ამაღლებული. სამანქანო სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა ერთი წლის განმავლობაში დაამტკიცეს, თუ როგორი გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ მტკიცე ბოლშევიკურ კადრებს მასების ხელმძღვანელობაში მათ ბრძოლაში კულაკებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ და კოლმეურნეობების ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გადაქცევის ყოველგვარ საქმეში.

მზარდი საკოლმეურნეო აქტივი და კოლმეურნე მასების აქტივობა, რაც გამოხატულებას ჰპოვებს საკოლმეურნეო შეჯიბრების გაჩაღებაში, საკოლმეურნეო დისციპლინის გამაგრებაში, საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის (განსაკუთრებით მოსავლის აღების გაუმჯობესებაში), ახლებურ დამოკიდებულებაში საკოლმეურნეო საკუთრებისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებისადმი,—წარმოადგენს საკოლმეურნეო საქმის და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საიმედო დასაყრდენს.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული მეორე ხუთწლედის ამოცანების განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისაგან. საკითხი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შესახებ მეორე ხუთწლედში ისმება მთელი სიგრძე-სიგანით.

თუ როგორ იზრდება სატრაქტორო პარკი სოფლის მეურნეობაში, ეს ჩანს შემდეგიდან:

**სატრაქტორო პარკის სიმძლავრე სოფლის მეურნეობაში**

(ამორტიზაციის ჩათვლით)

| წლები | ათასი ცხენის ძალა |
|---|---|
| 1932 | 2.225 |
| 1933 | 3.100 |
| 1934 | 4.000 |
| 1935 | 5.575 |
| 1936 | 6.675 |
| 1937 | 8.200 |
| 1937 წელს პროცენტობით 1932 წ. მიმართ | 368,5 |

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ სატრაქტორო პარკი სოფლის მეურნეობაში წლიურად სწრაფად იზრდება (მაგრამ სტალინგრადის ქარხნის გადაკეთების გამო მუხლუხოვანი ტრაქტორის ქარხნად, სატრაქტორო პარკის სიმძლავრის ზრდა 1935-36 წლებში რამდენადმე შენელდება). ტრაქტორების უდიდეს ნაწილს მიიღებენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, რითაც კოლმეურნეობების სატრაქტორო ბაზა გიგანტურად მტკიცდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმ ფაქტს, რომ ხუთი ათასი მუხლუხოვანი ტრაქტორის ნაცვლად, რომელიც სოფლის მეურნეობამ მიიღო პირველ ხუთწლედში, მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობას შემატება ასი ათასზე მეტი მუხლუხოვანი ტრაქტორი: ეს ტრაქტორები, მთელ რიგ უპირატესობათა მეოხებით (უფრო ღრმად მოხვნა, მუშაობა ადრე გაზაფხულიდან), მნიშვნელოვნად ასუბუქებენ ბრძოლას მოსავლიანობის გადიდებისათვის. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა მიიღებს 35 ათას სამარგლავ ტრაქტორს, რაც ძლიერ ამსუბუქებს ბრძოლას ტექნიკური კულტურების შემდგომი აღმავლობისათვის.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

# მეორე ხუთწლედის ამოცანები — ამხ. მოლოტოვის მოხსენება

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების საერთო რაოდენობა ავა 6 ათასამდი და მეორე ხუთწლედის ბოლოსთვის ისინი თითქმის ყველა კოლმეურნეობას. საბჭოთა მეურნეობების რიცხვმაც უნდა იმატოს, უმთავრესად, მარცვლეულის უფროსად დიდი საბჭოთა მეურნეობების დაწვრილების ანგარიშში.

თუ როგორ დიდდება ამასთან სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ბაზა, ეს ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

### სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღის პარკი მთელ სახალხო მეურნეობაში

| | 1932 წ. | 1937 წ. |
|---|---|---|
| კომბაინები (ათას ცალობით) | 15,5 | 100 |
| რთული და ნახევრად - რთული სალეწი მანქანები (ათას ცალობით) | 47,7 | 60 |
| ელექტრო - დანადგარნი (ათას კილოვატობით) | 65,9 | 425 |
| სარემონტო სახელოსნოები | 2.320 | 6.920 |
| სატვირთო ავტომობილები (ათას ცალობით) | 14,5 | 128 |
| სამგზავრო ავტომობილები (ათას ცალობით) | 1 | 42 |

ყველაფერი ეს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დამთავრებას. ეს გამოხატულებას ჰპოვებს იმაში, რომ 1937 წელს ხვნა და მძრალად ხვნა ტრაქტორების საშუალებით მექანიზირებული იქნება 80 პროცენტით, ანეულის კულტივაცია — 60 პროც., ლეწვა მექანიზირებული იქნება 100 პროც.

ახლა ჩანს, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა მეორე ხუთწლედის დამლევისათვის სრულიადაც აღარ ჰგავს იმას, როგორიც იგი იყო სულ რამდენიმე წლის წინათ. ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასოფ.-სამ. შრომა იქცევა ინდუსტრიალურ შრომად. მექანიზაციასთან ერთად აუცილებელია მუშაობა გავაჩაღოთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების და მინერალური სასუქის გავრცელების ხაზით. ჩვენმა ქიმიურმა მრეწველობამ ხუთწლედის დამლევისათვის დაახლოვებით ერთი ათად უნდა გაადიდოს სასუქის წარმოება, ამის შედეგად ძალიან მატულობს გაპოხიერებული ფართობი: მოსარწყავი ბამბა აზოტით და ფოსფორით გაპოხიერებული იქნება 80 პროც., და კალიუმით — 20 პროცენტამდე. შაქრის ჭარხალი — აზოტით და კალიუმით — 40 პროც., ხოლო ფოსფორით — 100 პროც., კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით უნდა განვაგრძოთ მიწის გაპოხიერება ნაკელით.

აგროტექნიკური ღონისძიებათა გატარების მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ჩამოვრჩებით. ამავე დროს ამ ღონისძიებათა გატარებაზე, როგორიცაა მძრალად ხვნა, საანეულო ხვნა, ხარისხოვან თესლზე გადასვლა და სასუქის ფართოდ გამოყენება ბევრად არის დამოკიდებული მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების ამოცანის შესრულებაზე. გამოცდილებამ ცხადყო, რომ იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი ორგანიზაციები უნარს იჩენენ ამ ღონისძიებათა გატარებისას კოლმეურნეობებს დაეყრდნონ, ჩვენ სერიოზულ შედეგებს ვაღწევთ. მეორე ხუთწლედში კოლმეურნეობებს შეუძლიათ დაგვანახონ ამ საქმეში თავისი განსაკუთრებული ძალა. მსხვილი საკოლმეურნეო წარმოება. დაყრდნობილი უხარმაზარ სამანქანო ტექნიკასა და კოლმეურნეთა მილიონების მტკიცე ორგანიზაციაზე აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებაში,—ეს ისეთი ძალაა, რომელსაც შეუძლია პირდაპირ მთები დაძრას.

ამგვარად, ჩვენ კიდევ ვიმყოფებით სოფლის მეურნეობის განვითარების ფრიად დაბალ დონეზე, მაგრამ ჩვენ ხელთაა სასოფლო - სამეურნეო წარმოების სწრაფი აღმავლობის უდიდესი წინამძღვარი. ყველაფერი დამოკიდებულია, ჩვენზე, ჩვენ მიერ სწრაფად მზარდი ტექნიკური ბაზის გამოყენების უნარზე, ჩვენს უნარზე მოვაწყოთ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, როგორც რთული მექანიზირებული მეურნეობა, რომელშიაც შრომის ნაყოფიერება შეიძლება იყოს და კიდეც უნდა იყოს შეუდარებლად უფრო მაღალი, ვიდრე შრომის ნაყოფიერება წვრილ გლეხურ მეურნეობაში. ამიტომ არის, რომ ჩვენ ამოცანად ვისახავთ უზრუნველვყოთ მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის აღმავლობის დაახლოვებით ისეთივე ტემპები, როგორიცაა ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპები

## 3. ტრანსპორტის აღმავლობა და რეკონსტრუქცია

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის უდიდესი ზრდა, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელთბრუნვის გაჩაღება და მშრომელთა კეთილდღეობის და კულტურის სწრაფი ზრდა ტრანსპორტის წინაშე უმნიშვნელოვანეს ამოცანებს აყენებს. სახალხო მეურნეობის აღმავლობასა და კულტურის განვითარებაში ტრანსპორტს აქტიური როლი ეკუთვნის. ტრანსპორტის მუშაობის ზრდაზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის განვითარება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ცენტრისაგან დაშორებული ახალი რაიონების სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია ტრანსპორტის თვალსაჩინოთ განვითარების გარეშე.

მეორე ხუთწლედში საქონელთბრუნვა სწრაფად იზრდება. ეს ჩანს შემდეგი ცნობებიდან:

### საქონელთბრუნვა მეორე ხუთწლედში

(მილიარდ ტონა-კილომეტრობით)

| | 1932 წ. | 1937 წ. | 1937 წლის პროცენტობა 1932 წლის მიმართ |
|---|---|---|---|
| 1. რკინის გზები | 169,3 | 302 | 178,4 |
| 2. წყლის ტრანსპორტი (გადაზიდვა გამწევი ძალით) | 26,1 | 64 | 245,2 |
| 3. საზღვაო ტრანსპორტი (გადაზიდვა საბჭოთა გემებით) | 18,2 | 51 | 282 |

აქედან ჩანს, რომ კოლოსალურ საქონელთბრუნვაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის რკინის გზის ტრანსპორტს.

ჩვენ ამჟამადაც უკვე ყოველდღე ვგრძნობთ, თუ როგორ აფერხებს სახალხო მეურნეობის ზრდას ტრანსპორტი. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით რკინის გზის ტრანსპორტის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე. პარტიის მიერ მოცემული დირექტივების ნამდვილად განხორციელების უზრუნველყოფა და ენერგიული ბრძოლის გაჩაღება კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდების წინააღმდეგ რკინის გზის ტრანსპორტის ხელმძღვანელობაში — ეს არის ჩვენი ერთერთი ძირითადი ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

რკინის გზის ტრანსპორტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზია აგრეთვე მისი ჩამორჩენილობა ტექნიკური შეიარაღების მხრით. აუცილებელია ამ ჩამორჩენილობის რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრა.

საქონელთბრუნვის სწრაფად გადიდების ამოცანასთან დაკავშირებით ტრანსპორტის და, პირველ ყოვლისა, რკინის გზის ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმე უნდა მოვაქციოთ ჩვენი სამეურნეო ამოცანების ცენტრში.

როგორია რკინის გზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ძირითადი გზები?

მეორე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს რკინის გზის ხაზების 5.000 კილომეტრის ელექტროფიკაცია, ჩვენ ვიწყებთ თბომავლებზე გადასვლას, ყველაზე უფრო საძნელო მაგისტრალებზე, პირველ ყოვლისა, ურალ - კუზბასის, დონბასის, ზაბაიკალიეს და უსურიის რკინის გზებზე, სულ 9.500 კილომეტრის მანძილზე წარმოებს მეორე ხაზის დაგება. ავტობლოკირება უნდა გატარდეს 8.300 კილომეტრზე, ნაცვლად 582 კილომეტრისა, რომელზედაც ავტობლოკირება განხორციელებული იყო პირველი ხუთწლედის დამლევს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრავი შემადგენლობის მიმართ დასახულ ღონისძიებებს. ამ ღონისძიებებზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ შემდეგი ცხრილის მიხედვით:

### რკინის გზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის სიმძლავრის გადიდება მეორე ხუთწლედში

| | 1932 წ. | 1937 წ. | 1937 წლის პროცენტობა 1932 წ. მიმართ |
|---|---|---|---|
| 1. სულ ლოკომოტივები, ცალი | 19.475 | 24.600 | 126,5 |
| ა) სატვირთო მატარებლების ლოკომოტივები, ცალი | 16.359 | 19.720 | 120,6 |
| ბ) სატვირთო მატარებ. ლოკომოტივების საერთო გამწევი ძალა ათას ტონობით | 196.2 | 297 | 151,3 |
| გ) სამგზავრო მატარებლ. ლოკომოტივები ცალი | 3.125 | 4.880 | 155,8 |
| დ) სამგზ. მატარებლ. ლოკომოტივების საერთო გამწევი ძალა ათას ტონობით | 26,4 | 46,5 | 176,1 |
| 2. ელექტრომავლები, ცალი | 10 | 410 | — |
| 3. თბომავლები, ცალი | 6 | 76 | — |
| 4. სულ ვაგონები ათას ცალობით. | 536.9 | 686 | 127,8 |
| ა) სატვირთო ვაგონები ათას ცალობით | 507.9 | 644 | 126,7 |
| ბ) სატვირთო ვაგონების საერთო ტვირთწევა მილიონ ტონობით | 9.5 | 15,8 | 166,3 |
| გ) სამგზავრო ვაგონები ათას ცალობით | 29 | 42 | 144,8 |

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ წევის საერთო ძალა იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე თვით ორთქლმავლების რაოდენობა. ეს აიხსნება იმით, რომ რკინის გზის ტრანსპორტი უმთავრესად გადადის სატვირთო მატარებლების „ფდ" ტიპის მძლავრი ორთქლმავლების და სამგზავრო მატარებლების „ის"-ის ტიპის მძლავრი ორთქლმავლების გამოყენებაზე.

ამ ცხრილიდან ჩანს აგრეთვე, რომ სატვირთო ვაგონების ტვირთწევა იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე სატვირთო მატარებლების თვით ორთქლმავალთა რაოდენობა. ეს აიხსნება იმით, რომ მეორე ხუთწლედში უმთავრესად დავამზადებთ დიდტვირთიან ვაგონებს. ვაგონების ძირითად ტიპად ხდება ოთხღერძიანი დიდტვირთიანი ვაგონი. მთელი სავაგონო პარკი აღჭურვილი იქნება ავტომუხრუჭებით და სავაგონო პარკის ნახევარი მაინც — ავტოგადაბმით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რკინის გზების გამტარუნარიანობის გადიდებისათვის.

ყველა ახალ სარკინიგზო მშენებლობიდან უნდა გამოვყოთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის გრანდიოზული მშენებლობა 1.400 კილომეტრის სიგრძით. იგი ზაბაიკალიეს შეაერთებს ამურის დაბლობებთან და ხელს შეუწყობს იმ უდიდესი ტერიტორიის ჩაბმას სამეურნეო ცხოვრებაში, რომელიც აქამდის მეტწილად მიუდგომელი იყო ადამიანისათვის.

ყველა ეს ღონისძიება ისახავს ერთ მიზანს: სახალხო მეურნეობის საერთო ზრდისაგან რკინის გზის ტრანსპორტის ჩამორჩენის ლიკვიდაციას. აღნიშნული და მთელი რიგი სხვა ღონისძიებების განხორციელება რკინის გზის ტრანსპორტის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების დარგში, მოძრავი შემადგენლობის და რკინის გზის ქსელის გამოყენების სწორი ორგანიზაციის და სარემონტო ბაზის სათანადოდ განვითარების პირობებში, სავსებით უზრუნველყოფს რკინის გზის ტრანსპორტის წინაშე დასმულ ამოცანების შესრულებას.

წყლის ტრანსპორტის მნიშვნელობა მეორე ხუთწლედში ძლიერ იზრდება. დამთავრდა თეთრ და ბალტიის ზღვის სტალინის სახ. არხის მშენებლობა, რომლის სიგრძე 227 კილომეტრს უდრის. უკვე დაიწყო და მძლავრი ტემპებით მიმდინარეობს მუშაობა ვოლგა-მოსკოვის არხის გასაყვანად, რომლის სიგრძე იქნება 127 კილომეტრი. იგი საბჭოთა კავშირის დედაქალაქს გადააქცევს ნავთსადგურიან ქალაქად, რომელშიაც შევლენ უდიდესი სამდინარო გემები. და ბოლოს, მეორე ხუთწლედში აშენდება ვოლგადონის არხი 100 კილომეტრის სიგრძით. ამ ახალი არხების გაყვანასთან დაკავშირებით, რომლებიც აერთიებენ თეთრ ზღვას ბალტიის ზღვასთან, ბალტიის ზღვას შავ ზღვასთან, მოსკოვს ვოლგასთან, და არსებული წყალთა სისტემების (მარიინის და მდ. მოსკვას სისტემები) გაძლიერებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში იქმნება ერთიანი მძლავრი წყალთა სისტემა.

მეორე ხუთწლედში საგრძნობლად უნდა განვითარდეს სამდინარო და აგრეთვე საზღვაო ტრანსპორტის განახლების და რეკონსტრუქციის საქმე. ეს დიდად გაუადვილებს რკინის გზის ტრანსპორტს მისი ამოცანების შესრულებას.

სწრაფად იზრდება ავტოგზის ტრანსპორტის სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობა და ახალი გზატკეცილების მშენებლობა. ჩვენს ქვეყანაში ამ საქმეს უდიდესი მომავალი აქვს.

საჰაერო ტრანსპორტი უდიდეს როლს ითამაშებს ცალკე რაიონებთან და მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან დაკავშირების საქმეში.

მეორე ხუთწლედის ამოცანების განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს კავშირგაბმულობის, განსაკუთრებით რადიოკავშირის ორგანიზაციამ, რომლის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობის სწრაფი ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასა და კულტურულ მშენებლობაში დღითიდღე იზრდება.

დასასრულ, ტრანსპორტის განვითარების და რეკონსტრუქციის საკითხზე ლაპარაკისას მე ხაზი უნდა გავუსვა ძირითად აზრს. ჩვენ უდიდესი მუშაობა უნდა ჩავატაროთ ჩვენი ტრანსპორტის და, პირველ ყოვლისა, რკინის გზის ტრანსპორტის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების დარგში. მაგრამ ის უდიდესი დაბანდებანი ახალ ტექნიკაში, რომლებიც მეორე ხუთწლედში უნდა მივსცეთ ტრანსპორტს, საჭიროა ნამდვილად და ნაყოფიერად გამოყენებულ იქნას. ამიტომ რკინისგზის ტრანსპორტის მთელი ორგანიზაცია უნდა ავიყვანოთ გაცილებით უფრო დიდ სიმაღლეზე. უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენი ამხანაგები ტრანსპორტზე თავის ახლანდელ ტექნიკურ შეიარაღებასაც საკმაოდ უხეიროდ ართმევენ თავს. ჩვენი ტრანსპორტის და, პირველ ყოვლისა რკინის გზის ტრანსპორტის ტექნიკური შეიარაღების უდიდეს ზრდასთან ერთად უაღრესად იზრდება აგრეთვე ტრანსპორტის მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობის პასუხისმგებლობა ამ ახალი ტექნიკის მართებულად გამოყენებისათვის, ტრანსპორტის მთელი მუშაობის ნამდვილად გაუმჯობესებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა ყოველ მიზეზს გარეშე და გადაჭრა ბოლშევიკურად — აი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ყველაზე გადაუდებელი ამოცანა,

## 4. ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება და ათვისების პრობლემა

ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმის განხორციელება მოითხოვს შეუპოვარ ბრძოლას ახალი ტექნიკის ათვისებისათვის. ჩვენ ყველას მშვენივრად გვახსოვს **ამხ. სტალინის** სიტყვები იმის შესახებ, რომ „რეკონსტრუქციის პერიოდში ტექნიკა წყვეტს ყველაფერს". ამ მითითებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეორე ხუთწლედში, როცა მთავრდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქცია. ამიტომ პარტიამ აღიარა, რომ მეორე ხუთწლედში ახალი მშენებლობის ლოზუნგი შევსებულ უნდა იქნას ახალი ტექნიკის და ახალი საწარმოების ათვისების ლოზუნგით.

ჩვენი წარმატებანი ახალი ტექნიკის ათვისების და მთელი წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში განიზომება მუშაობის პრაქტიკული შედეგებით. ამ შედეგებმა თავისი გამოხატულება, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჰპოვონ შრომის ნაყოფიერების დიდ ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობ შემცირებაში. ჩვენს წინაშე ამოცანად დასახულია—მეორე ხუთწლედში გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 63 პროცენტით და შევამციროთ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება 26 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. ბოლოსდაბოლოს, მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე დამოკიდებული იქნება მეორე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის გადიდების მთელი გეგმის შესრულება. მეორე მხრივ, მუშათა მატერიალური და კულტურული დონის უდიდესი ზრდა მეორე ხუთწლედში ქმნის პირობებს შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდისათვის ჩვენს მრეწველობასა და მეურნეობის სხვა დარგებში.

რაზეა დამყარებული მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში შრომის ნაყოფიერების გადიდება, რომელსაც ხუთწლედი ითვალისწინებს?

შრომის ნაყოფიერების გადიდება, ჯერ ერთი, ემყარება მთელს სახალხო მეურნეობაში ახალი გაუმჯობესებული გეგმების უდიდეს ზრდას. ამასთან შეფარდებით, თვითღირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების ყველაზე უფრო მეტი ზრდა ეხება ისეთ დარგებს, როგორიცაა შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქვანახშირის მრეწველობა და მსხვილი მრეწველობა მთლიანად, სადაც ხდება ტექნიკური ბაზის ყველაზე უფრო საგრძნობი რეკონსტრუქცია.

შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო მაღალი ტემპები დაპროექტებულია ახალ საწარმოებში და ახალაგრეგატებიან საწარმოებში.

მეორე — შრომის ნაყოფიერების გადიდება ემყარება ჩვენს სამრეწველო საწარმოებში გამოუყენებელი სამუშაო დროის უდიდეს რეზერვებს. უდაო ფაქტებით დადასტურებულია, თუ როგორ უმსგავსოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის მრეწველობაში სამუშაო დღეს, რომელიც შემცირებულია 7 საათამდე. დადასტურებულია, რომ ბევრ საწარმოში მუშის ფაქტიური სამუშაო დრო არ აღემატება 5—5½ საათს დღეში. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით მუშაზე, მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტად არის დამოკიდებული სამეურნეო ხელმძღვანელებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში შრომის ორგანიზაციის მთელი საქმის გაუმჯობესებაზე, ბოლოს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ შვიდსაათიანი სამუშაო დღის ნამდვილად გამოყენება და ეს მოგვცემს შრომის ნაყოფიერების საგრძნობ გადიდებას მრეწველობაში. რასაკვირველია, იგივე ითქმის ტრანსპორტსა და საბჭოთა მეურნეობებზედაც. მესამე — შრომის ნაყოფიერების გადიდება ეყრდნობა მთელს სოციალისტურ მშენებლობაში მასების აქტიობის ზრდას. ეს აქტიობა თავის საუცხოვო გამოხატულებას ჰპოვებს სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში, მის ახალ-ახალ ფორმებში (მაგ. საზოგადოებრივ ტექნიკური გამოცდები საწარმოებში). საუცხოვო, მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს ტექნიკური საფინანსო - სამრეწველო გეგმის შემუშავების და განხორციელების გამოცდილება, მიღებული ლენინგრადის მთელ რიგ საწარმოებში. ტექნიკური სამრეწველო - საფინანსო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ არა მარტო სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელები, არამედ ქარხნის ყველა მუშა, რომლებიც ამოწმებენ საამქროს, აგრეგატის და ცალკეული მანქანების საწარმოო ტექნიკურ შესაძლებლობებს და ამით აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საწარმოს ყველა საწარმოო რესურსთა გამოვლინებაში. ტექნიკური სამრეწველო - საფინანსო გეგმა წარმოადგენს ჩვენი ტემპებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო სოციალისტურ ფორმას. ტექნიკური სამრეწველო - საფინანსო გეგმის იდეის განხორციელება ვერ ურიგდება სამეურნეო ხელმძღვანელობის —„საერთოდ" ძველ ჩვეულებებს და საგრძნობლად აძლიერებს მუშათა მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობას მთელი საწარმოსათვის, ხოლო ესაა ჩვენი უდიდესი ძალა. ხოლო მუშათა კლასის მზარდი აქტიობის ჯერ კიდევ რამდენი სხვა ფორმა ვითარდება ჩვენს ქვეყანაში?

ბოლოს, შრომის ნაყოფიერების გადიდება ეყრდნობა იმას, რომ ჩვენში სამეურნეო მუშაკთა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და კვალიფიციურ მუშათა კადრებმა დააგროვეს საკმაო საწარმოო გამოცდილება და სწრაფად იზრდებიან მეორე ხუთწლედში. მათ, კვალიფიციური მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და სამეურნეო ხელმძღვანელთა ამ კადრებმა და მათმა მზარდმა შევსებამ სასახელოდ უნდა გადაჭრან იმ უდიდესი ტექნიკური შეიარაღების ათვისების ამოცანა, რომელსაც ღებულობს სახალხო მეურნეობა მეორე ხუთწლედში.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი კადრების შესახებ. უწინარეს ყოვლისა, კვალიფიციურ მუშათა კადრების შესახებ.

ამ მხრივ ჩვენ მეორე ხუთწლედში გიგანტურ ნაბიჯს ვდგამთ წინ. და მართლაც, პირველი ხუთწლედის განმავლობაში სახალხო მეურნეობას შემატა 460 ათასი კაცი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საფაბრიკო - საქარხნო შეგირდობის სკოლები, მათ შორის მრეწველობას შემატა 300 ათასი კვალიფიციური მუშა საფაბრიკო - საქარხნო სკოლებიდან. მეორე ხუთწლედის განმავლობაში საფაბრიკო - საქარხნო სკოლებიდან მთელი სახალხო მეურნეობისათვის გამოშვებული იქნება 2,7 მილიონი კვალიფიციური მუშა. ამ რიცხვიდან 1,7 მილიონი კაცი მრეწველობისათვის და 0,5 მილიონი ტრანსპორტისათვის. ამას გარდა სოფლის მეურნეობისათვის მომზადებული იქნება 1,5 მილიონი კვალიფიციური მუშა — ტრაქტორისტი, კომბაინერები, ბრიგადირები და სხვა. ბოლოს, საავტომობილო სკოლებში და კურსებზე მომზადებული იქნება 700 ათასი შოფერი ავტოტრანსპორტისათვის. ამგვარად ხუთწლედის განმავლობაში გათვალისწინებულია წარმოებას შეემატება დაახლოვებით 5 მილიონი მასობრივი კვალიფიკაციის ახლად მომზადებული მუშაკი.

მეორე ხუთწლედში, პირველ ხუთწლედთან შედარებით, საგრძნობლად მატულობს სპეციალისტების გამოშვება უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებიდან და ტექნიკუმებიდან. მრეწველობაში ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა რიცხვი 69 ათასი კაციდან (პირველი ხუთწლედში) გაიზრდება 172.000 კაცამდე (მეორე ხუთწლედში), ხოლო უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა რიცხვი— 60 ათასიდან 112 ათასამდე.

ტრანსპორტზე ტექნიკუმებში კურსდამთავრებულთა რიცხვი — 28.000-დან გაიზრდება 97.000-მდე, ხოლო უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა რიცხვი — 8.000-დან 28.000-დე.

სოფლის მეურნეობაში ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა რიცხვი 57.000-დან გაიზრდება 153.000-დე, ხოლო უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა რიცხვი — 29.000-დან 54.000-დე, ამრიგად, მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სპეციალისტების მომზადება მეორე ხუთწლედში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე წინა ხუთწლედში. მიუმატეთ ამას ისიც, რომ წლითიწლობით იზრდება ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციაც.

ბოლოს, მრეწველობასა და რკინის გზის ტრანსპორტზე სპეციალისტთა რიცხვის შესახებ. საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების რიცხვი მრეწველობაში 123.000-დან (1932 წელს) გაიზრდება 300.000-დე (1937 წელს). ტრანსპორტზე სპეციალისტების იგივე ჯგუფი ხუთწლედის განმავლობაში 130.000-დან 41.000-დე ავა.

ამგვარად, ჩვენი მრეწველობა და ტრანსპორტი, აგრეთვე სოფლის მეურნეობა მეორე ხუთწლედის განმავლობაში შეივსება დიდძალი ახალი სპეციალისტით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოზრდილი სპეციალისტებით, ისეთი სპეციალისტებით რომლებსაც აქვთ მომზადება ახალი ტექნიკითა და ახალ პირობებში მუშაობისათვის. ეს — უდიდესი კაპიტალია, რომელიც ხელთ ექნება პროლეტარულ სახელმწიფოს მხოლოდ ახლა.

უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე სამეცნიერო ტექნიკური მუშაობა, რომელიც საბჭ. კავშირში გაჩაღდა. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ უცხოეთის ტექნიკისაგან, უცხოელი სპეციალისტებისაგან. ამ სწავლას ტყუილად არ ჩაუვლია. ჩვენში წარმოიშვნენ მეცნიერების და ტექნიკის მუშათა ახალი საგრძნობი კადრები. მეორე ხუთწლედში მეურნეობის ტექნიკური ხელახალი შეიარაღების მხრივ ჩვენ საგრძნობლად დავეყრდნობით საბჭოთა ტექნიკის მიღწევებს. სამეცნიერო ტექნიკური მუშაობის დაკავშირება სოციალისტურ პრაქტიკასთან უფრო და უფრო მჭიდრო ხდება და სამეცნიერო ტექნიკური მუშაობა საბჭოთა კავშირში სულ უფრო და უფრო უკავშირდება სოციალისტური მშენებლობის ერთიან გეგმას.

პროლეტარული საწარმოო ტექნიკური ინტელიგენციის შექმნა, სამეცნიერო - ტექნიკური კადრების ჩათვლით, წარმოადგენდა უკანასკნელი პერიოდის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ამ ამოცანის გადაჭრის მხრივ მეორე ხუთწლედში ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ წინ. მუშათა და მშრომელთა მთელი მასის უდიდეს კულტურულ ზრდასთან ერთად, კვალიფიციურ მუშათა ახალი კადრების მომზადების უდიდეს გაქანებასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფოს განკარგულებაში გადადიან ტექნიკის და მეურნეობის სხვადასხვა დარგების ახალი სპეციალისტთა ასეული ათასები. ამ კადრებით ჩვენ შეგვეძლია ვიბრძოლოთ უდიდესი ამოცანების გადასაჭრელად ახალი ტექნიკის და ახალი საწარმოების ათვისების საქმეში და მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენმა საწარმოებმა იმუშაონ ნამდვილად კულტურულად. სოციალისტურად.

ამ კადრებით ჩვენ თამამად შეგვიძლია მოვკიდოთ ხელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქციის ამოცანების განხორციელების და სახალხო მეურნეობის განვითარების იმ პროგრამის შესრულებას, რომელიც დასახულია ხუთწლიანი გეგმით.

ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების ისეთი ზრდა, როგორსაც ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია ადგილი და როგორიც არც ჩვენში ყოფილა წინა წლებში. საბჭოთა კავშირი გიგანტურად მიიწევს წინ არა მარტო მრეწველობის ზრდის ტემპების მხრივ. არამედ მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარების დონის მხრივაც და წინ უსწრებს ევროპის მოწინავე ქვეყნებს.

ეს ჩანს შემდეგი ცხრილიდან, რომელიც მოყვანილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ „მეორე ხუთწლიანი გეგმის პროექტის" პირველ ტომში:

### საბჭოთა კავშირის ადგილი მსოფლიო მრეწველობის პროდუქციაში *)

| | 1913 წ. | 1928 წ. | 1932 წ. **) | | 1937 წ. **) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მთელს მსოფლიოში | | მთელ მსოფლიოში | ევროპაში | მთელ მსოფლიოში | ევროპაში |
| მთელი პროდუქცია | — | 5 | 3 | 2 | 2 | 1 |
| ელექტროენერგია | 15 | 10 | 7 | 4 | 2 | 1 |
| ქვანახშირი | 6 | 6 | 4 | 3 | 4 | 3 |
| ტორფი | — | — | 1 | 1 | 1 | 1 |
| ნავთი | 2 | 3 | 2 | 1 | 2 | 1 |
| თუჯი | 5 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 |
| ფოლადი | 5 | 5 | 5 | 4 | 2 | 1 |
| საერთო მანქანათმშენებლობა | 4 | 4 | 2 | 1 | 2 | 1 |
| სას.-სამ. მანქანათმშენებლობა | — | 4 | 2 | 1 | 2 | 1 |
| ტრაქტორები | — | 4 | 2 | 1 | 2 | 1 |
| კომბაინები | — | — | 2 | 1 | 2 | 1 |
| ავტომობილები სულ | — | 12 | 7 | 5 | 5 | 3 |
| მათ შორის: | | | | | | |
| სატვირთო ავტომობილები | — | 11 | 6 | 4 | 2 | 1 |
| სპილენძი | 7 | 9 | 9 | 2 | 3 | 1 |
| ალუმინი | — | — | 11 | 9 | 2 | 1 |
| ცემენტი | — | 8 | 7 | 5 | 2 | 1 |
| ფოსფორის სასუქი (სუპერფოსფატი) | — | 18 | 9 | 6 | 2 | 1 |

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ მეორე ხუთწლედის დამლევ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა მთელ მსოფლიოს სახელმწიფოების პროდუქციაში რადიკალურად იცვლება წარსულთან შედარებით, მთელი მრეწველობის პროდუქციის რაოდენობის მიხედვით საბჭოთა კავშირს პირველი ხუთწლედის დამლევს მეხუთე ადგილი ეჭირა მთელ მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის. მეორე ხუთწლედის წინ საბჭოთა კავშირმა უკვე მესამე ადგილი დაიჭირა მთელ მსოფლიოში და მეორე ადგილი ევროპაში. მეორე ხუთწლედის დამლევს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პროდუქცია დაიჭერს მეორე ადგილს მსოფლიოს პროდუქციაში და პირველ ადგილს ევროპაში. ამოცანა — „დავეწიოთ და გავუსწროთ" ტექნიკურ - ეკონომიურად კაპიტალისტურ ქვეყნებს — პრაქტიკულად ხორციელდება.

საბჭოთა კავშირი მოწინავე ტექნიკის ქვეყანა ხდება. მეურნეობის ყოველ დარგში. საბჭოთა კავშირი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უხვი ქვეყანა ხდება. ახორციელებს რა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას, საბჭოთა კავშირი ხდება ქვეყნად, რომლის წინაშე მეურნეობის ტექნიკის და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში გადაშლილია ისეთი განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, რომლებიც შეეფერება უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

---

*) კაპიტალისტური მსოფლიოს შესახებ მოყვანილია „ანუატრ სტატისტიკ დე ლა სოსიეტე დე ნაციონის" 1932 წლის ცნობები.

**) 1932 და 1937 წლები კაპიტალისტურ ქვეყნებში 1929 წ. წარმოებასთან შედარებით.

## II სამშენებლო პროგრამა და საწარმოო ძალთა ახალი განაწილება

სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება და მშრომელი მასების კეთილდღეობის და კულტურის სწრაფი ზრდა არ შეიძლება განხორციელებულ იქნას ახალი მშენებლობის გრანდიოზულად გაშლის გარეშე. მეორე ხუთწლედში ახალი მშენებლობა სწრაფად ჩაღდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში — როგორც მძიმე, ისე მსუბუქ მრეწველობაში. ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. მეორე ხუთწლედის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის თავისებურებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა უფრო მართებულად განაწილება, აქ სავსებით ხორციელდება პარტიის და მთავრობის მიერ აღებული გეზი, რომელიც შემდეგში გამოიხატება: მრეწველობის უფრო თანაბრად განაწილება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მრეწველობის დაახლოვება ნედლეულის და ენერგიის წყაროებთან, ჩამორჩენილი ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების კულტურული აღმავლობა და საგრძნობი წინწაწევა ქალაქის და სოფლის დაპირისპირების მოსპობის გზაზე.

ახალი მშენებლობის გაქანებას მეორე ხუთწლედში ცხადყოფს პირველ ხუთწლედთან შედარება. თუ პირველ ხუთწლედში კაპიტალურ სამუშაოთა მთელი მოცულობა სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 50,5 მილიარდ მანეთს, მეორე ხუთწლედში იგი აღწევს 133,4 მილიარდ მანეთს. ე. ი. იზრდება 2,3-ჯერ.

კაპიტალური მშენებლობის მიმართება ცალკე დარგების მიხედვით ჩანს, შემდეგიდან:

კაპიტალური ხარჯების ნახევარზე მეტი, სახელდობრ, 69,5 მილიარდი მანეთი ხმარდება მრეწველობის განვითარებას, ამ ხარჯების უდიდესი ნაწილი, სახელდობრ 53,4 მილიარდი მანეთი, რაც კაპიტალურ სამუშაოთა მთელი მოცულობის 40 პროცენტს შეადგენს, ხმარდება საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის განვითარებას. ამით უზრუნველყოფილი იქნება მძიმე მრეწველობის, როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველის შემდგომი განმტკიცება.

მეორე მხრით, მსუბუქი და კვების მრეწველობაში კაპიტალური ხარჯების გადიდების ტემპები თითქმის ერთიორად უფრო დიდია, ვიდრე ასეთივე ტემპები მძიმე მრეწველობაში, ეს ხარჯები პირველ ხუთწლედში შეადგენდნენ 3,5 მილიარდ მანეთს, ხოლო მეორეში 16.1 მილიარდ მანეთს, რაც ნიშნავს ზრდას 4.6-ჯერ. მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის ასეთი გაშლა სავსებით შეეფერება მეორე ხუთწლედის ძირითად ამოცანებს.

საგრძნობლად იზრდება აგრეთვე კაპიტალური სამუშაოები სოფლის მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, კოლმეურნეობები) — პირველ ხუთწლედში აღებულ 9,7 მილიარდ მანეთიდან 15,2 მილიარდ მანეთამდე მეორე ხუთწლედში, ე. ი. სამუშაოები მატულობს ერთნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტად. აქ აღნიშნულ თანხაში — 15,2 მილიარდ მანეთში არ შედის ის, რასაც აშენებენ თვითონ კოლმეურნეობები და რაც წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო მშენებლობის გეგმის საკმაოდ დიდ დამატებას. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება კაპიტალური სამუშაოები სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში, სახელდობრ იზრდება 5-ჯერ და კიდევ უფრო მეტად. ამის შედეგად, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები თავისი მუშაობით მომსახურეობას გაუწევენ საკოლმეურნეო ნათესების მთელ ფართობს. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობამ უნდა შექმნას ყოველგვარი წინამძღვარი იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობები გადაიქცნენ სანიმუშო საწარმოებად როგორც მემინდვრეობის, ისე მეცხოველეობის დარგში.

კაპიტალურ სამუშაოთა ზრდა ტრანსპორტზე ნავარაუდევია საშუალო დონეზე მაღალი. აქ მშენებლობა პირველ ხუთწლედში არსებულ 8,9 მილიარდ მანეთიდან მეორე ხუთწლედში იზრდება 26,3 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. ერთი-სამად.

მეორე ხუთწლედის სამშენებლო პროგრამის უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს ახალ საწარმოთა ექსპლოატაციაში გაშვების გრანდიოზული გეგმა. იმ დროს, როცა კაპიტალურ სამუშაოთა საერთო გეგმა ითვალისწინებს 133 მილიარდი მანეთის დახარჯვას, ახალ და რეკონსტრუირებულ საწარმოთა ექსპლოატაციაში გაშვება განისაზღვრება 132 მილიარდი მანეთით, ე. ი. თითქმის ერთი-სამად აღემატება იმას, რაც ექსპლოატაციაში გაშვებული იქნა პირველ ხუთწლედში. ეს აიხსნება ერთის მხრით პირველი ხუთწლედიდან გადმოსული მშენებლობის თვალსაჩინო რაოდენობით. ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ ჩვენ მიერ დაგროვებულმა სამშენებლო გამოცდილებამ უნდა უზრუნველყოს მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპები.

კაპიტალურ სამუშაოთა მიღებული მასშტაბი და ახალ საწარმოების ექსპლოატაციაში გაშვების პროგრამა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მომქმედი ძირითადი, ფონდების უდიდეს ზრდას. სხვადასხვა საწარმოში დაბანდებული ამ ფონდების საერთო თანხა ხუთწლედის განმავლობაში 85 მილიარდი მანეთიდან 195 მილიარდ მანეთამდე იზრდება, რაც ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ძირითადი ფონდების გადიდებას 2,3-ჯერ; მრეწველობაში ეს ფონდები იზრდება სამჯერ, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტზე — 2-ჯერ. ამით მრეწველობის წამყვანი როლი მთელ სახალხო მეურნეობაში კიდევ უფრო მტკიცდება.

მშენებლობის ეს გეგმა უზრუნველყოფს არა მარტო საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური ბაზის ზრდას, არამედ აგრეთვე მრეწველობის მთელ რიგ დარგებში სიმძლავრეთა დიდ რეზერვებსაც. საწარმოო სიმძლავრეთა დიდი რეზერვები, რომლებიც მეორე ხუთწლედში იქმნება მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობაში, ელექტროსადგურების და სხვა დარგების ხაზით, ნიადაგს მოუმზადებენ სახალხო მეურნეობის შემდგომ სწრაფ განვითარებას მესამე ხუთწლედში.

### 1, ახალი მშენებლობა მრეწველობის დარგში

თუ როგორ გაიშლება მშენებლობა სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში, ეს ჩანს შემდეგიდან:

მანქანათმშენებლობაში მეორე ხუთწლედში ამუშავდება 94 ახალი ქარხანა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დამთავრდება პირველ ხუთწლედში დაწყებული მშენებლობანი — ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის. ქარხანა ასიათასი ტონის სიმძლავრისა და კრამატორსკისა — 150 ათასი ტონა პროდუქციით, აგრეთვე ქიმიური აპარატურის მძლავრი ქარხანა ურალზე. მთავრდება ლუგანსკის ორთქლმავალთმშენებლობის ქარხნის აგება 1.080 „ფდ" ორთქლმავლის სიმძლავრით წელიწადში, ორსკის ორთქლმავლების და თბომავალთმშენებლობის ქარხანა 500 ორთქლმავლისა და 500 თბომავლისათვის, კაშირის ელექტრომავლისა — 300 მაგისტრალური ელექტრომავლისათვის. ნაწილობრივ მთავრდება ურალის ვაგონების მშენებელი ქარხანა 54 ათასი ოთხღერძიანი ვაგონებისათვის და ჩაღდება მშენებლობა კუზნეცკის და ნოვოჩერკასის ორთქლმავლების მშენებელი ქარხნების და ყაზანის ვაგონების მშენებელი ქარხნისა. გაჩაღდება მშენებლობა მდინარისა და ზღვის გემთმშენებლობის ქარხნების დიდი ჯგუფისა. ისეთი უდიდესი გემთმშენებელი ქარხნების დამთავრებით,

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

# მეორე ხუთწლედის ამოცანები— ამხ. მოლოტოვის მოხსენება

როგორიცაა გემთსაშენი შორეული აღმოსავლეთის კომსომოლსკში. მთავრდება მოტორების ქარხნ-ს მშენებლობა უფაში. 50 ათასი მოტორისათვის, ფართოვდება გორკის ავტო ქარხანა 300 ათას მანქანამდე, მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხანა 80.000 მანქანამდე (მათ შორის 10.000 „მსუბუქ" ტიპის) სამგზავრო მანქანა და იაროსლავლის ქარხანა 25.000-მდე ხუთტონიანი საბარგო მანქანების სიმძლავრით. გარდა ამისა, მეორე ხუთწლედში, აშენდება უფის. და სტალინგრადის ავტო ქარხნები თვითეულ 100 ათასი სამტონიანი საბარგო ავტომობილის სიმძლავრით და სამარის ავტოქარხანა 25.000 ხუთტონიანი საბარგო ავტომობილისათვის. ავტომშენებლობისათვის გაჩაღდება მომიჯნავე წარმოებათა ქარხნების დიდი ჯგუფის მშენებლობა. რომელთა რიცხვშია ბურთსაკისურების ახალი მძლავრი ქარხანა 24 მილიონი ცალი ბურთსაკისურისათვის, ქარხანა ავტოელექტრომოწყობილობათა და ავტოხელსაწყობისათვის. დამთავრდება ხარკოვის ტურბოგენერატორების ქარხანა 1,5 მილიონი კილოვატისათვის, შენდება ურალის სტრანსფორმატორო და ელექტროაპარატების ქარხანა, მთელი რიგი ელექტროტექნიკური ქარხნებისა მოსკოვის ოლქსა და ბოგოლოვიეში, 10 დაზგათმშენებელი ქარხნები. რომლებიც დაამზადებენ სახერხ, რადიოსაბურღავ, კბილამაჭრელ, ავტომატურ და მძიმე დაზგებს.

გაიშლება სართავ მოწყობილობათა და სამეცნიერო-საპარატო მოწყობილობათა ქარხნების ჯგუფის მშენებლობა, აგრეთვე სხვადასხვა მოწყობილობათა წარმოება კვების. ტყისა და ქაღალდის მრეწველობისათვის ამით სრულიადაც ვერ ამოიწურება მსხვილი მანქანათმშენებლობის ქარხნების სია, რომლებსაც ჩვენ ვაშენებთ მეორე ხუთწლედში.

**ელექტროფიკაციის დარგში** იწარმოება, 79 რაიონული სადგურის მშენებლობა. მათ შორის 48 ახალი ელექტროსადგურისა. უდიდეს მშენებლობა გაჩაღდება საბჭოთა კავშირის ძირითად სამრეწველო რაიონებში — მოსკოვის, ლენინგრადის, ქვანახშირ-მეტალურგიული ბაზა უკრაინაში, და ურალ-კუზნეცკის კომბინატი. მაღალ ვოლტიანი ელექტროგაყვანილობით შეერთება მოსკოვის, იაროსლავლის, გორკის, გარდა ამისა, აღმოსავლეთში — ჩრდილოეთ და სამხრეთ ურალის შუაურალთან და უკრაინაში — დონბასის დნეპრესკომბინატთან ჰქმნის სამხარის ერთიანი მაღალვოლტიანი ქსელის შექმნისათვის, რომელიც გააერთიანებს საბჭოთა კავშირის ძირითად სამრეწველო რაიონებს

ძირითადი სამრეწველო რაიონები მთლიანად უზრუნველყოფილი იქნებიან ელექტროენერგიით და მიიღებენ სიმძლავრის აუცილებელ რეზერვს მოსკოვის რაიონის საჭიროებისათვის. ამასთან ერთად მოსკოვი გადაიქცევა საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოში ელექტრიფიკაციის უდიდეს კვანძად. ლენინგრადი საიმედოდ იქნება უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით; მისი მრეწველობა არ იქნება დამოკიდებული შემოტანილ სათბობზე. ნახშირმეტალურგიული ბაზაც უკრაინაში მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი.

დნეპრის და დონბასის ენერგეტიკული კვანძების შეერთება, აგრეთვე მასში ჩრდ.-კავკასიის ქვანახშირის და მეტალურგიის რაიონ[ის] მოქცევა, ამ ენერგეტიკულ სისტემას, რომლის საერთო სიმძლავრე მეორე ხუთწლედის დამლევს 2 მილიონ კილოვატს მიაღწევს და რომელსაც შეეძლება 9 მილიარდი კილოვატსაათის გამომუშავება, ხდის უდიდეს ენერგეტიკულ სისტემად მთელ მსოფლიოში. ურალში ელექტრომშენებლობა ჩაიდგება ადგილობრივი ქვანახშირის ბაზაზე.

**ქვანახშირის მრეწველობაში** ჩაიდგება მაღაროების მსხვილი მშენებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს ავამუშაოთ 178 საქვანახშირო მაღარო 143 მილიონ ტონის სიმძლავრისა, გეგმა ითვალისწინებს, 65 ახალ მაღაროს მშენებლობას, რომელნიც უზრუნველყოფენ ქვანახშირის ამოღების შემდგომ განვითარებას მესამე ხუთწლედის პირველ წლებში.

**ნავთის მრეწველობაში** კაპიტალურ სამუშაოთა ტემპი საგრძნობლად აღემატება მთელი მძიმე მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა საშუალო ტემპს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნავთის გადამმუშავებელი ქარხნების პირველადი გადამუშავების 46 მილაკის და 93 კრეკინგის მშენებლობა. მეორე ხუთწლედში გათვალისწინებულია ნავთსადენების —კასპი — ორსკის, მახაჩკალა — ვორონეჟის, ნეფტეღორსკ-კრასნოვოდსკის მშენებლობის დამთავრება, ბაქო—ბათომის ნავთსადენის გაფართოება და გროზნო-არმავირის და ტრუდოვაია —დნეპროპეტროვსკის პროდუქტსადენების მშენებლობა.

**შავმეტალურგიაში** მოთავდება ქარხნები— მაგნიტოგორსკისა, ერთ მილიონ ტონა თუჯის ნაყოფიერობით, ზაპოროჟიესი, აზოვსტალისა, კრივოროჟიესი, ტულისა, ლიპეცკისა, პეტროვო-ზაბაიკალიესი, აგრეთვე ნიკოპოლისა და პერვო ურალსკის მილსატკეცი ქარხნები. ნახევარი სიმძლავრის ოდენობით მოთავდება ტაგილის ქარხნის მშენებლობა, ამუშავდება ბატალსკის ქარხნის ორი ბრძმედი, ჩაიდგება ხალილოვის ქარხნის, კუზნეცკის მეორე ქარხნის და შორეული აღმოსავლეთის ქარხნის მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ ხუთწლედის დამლევს ამუშავდეს პირველი აგრეგატები.

**ფერადმეტალურგიაში** მოთავდება ბალხაშის მხრის 100 ათასი ტონა სპილენძის სიმძლავრის კომბინატის და შუაურალის 55 ათასი ტონა სიმძლავრის კომბინატების მშენებლობა. მოხდება ურალის და ამიერ-კავკასიის სპილენძის ძველი ქარხნების რეკონსტრუქცია და მათი სიმძლავრე აყვანილი იქნება 85 ათას ტონა სპილენძამდე წელიწადში. მოთავდება კაზახსტანის პოლი-ლითონის ქარხანა 60 ათასი ტყვიის სიმძლავრისა. დაჩქარდება რიდერის პოლილითონის მადნის ბაზის გამოყენება. მომქმედ საწარმოთა მწყობრს შემატება თუთიის ქარხნები ჩელიაბინსკსა და ორჯონიკიძეში. მოთავდება აგრეთვე ვოლხოვის და დნეპროპეტროვსკის ალუმინის ქარხნების მშენებლობა, ურალში შენდება ალუმინის 25 ათასი ტონის სიმძლავრის ახალი ქარხანა, ხოლო კარელიაში 8 ათასი ტონის სიმძლავრისა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაგნიუმის, ნიკელის, კალის და იშვიათი ლითონების წარმოების უზრუნველმყოფელ მშენებლობას.

**ქიმიის დარგში** გაიშლება ტუკის ახალი კომბინატების, სინთეტიკური კაუჩუკის, ანილინ-საღებავთა და ლაქსაღებავი მრეწველობის, პლასტიკური მასების და სოდის ქარხნების, გოგირდმჟავას, რეზინის, ხელოვნური აბრეშუმის და სხვა საწარმოთა მშენებლობა.

**მსუბუქ მრეწველობაში,** პირველ ხუთწლედთან შედარებით, მშენებლობის გაშლა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ეს იქედან ჩანს, რომ მეორე ხუთწლედში შენდება 15 უმსხვილესი ახალი კომბინატი, 5 ამ ახალი კომბინატთაგანი —ტაშკენტისა, ბარნაულსა, ხოჯენტსა, ჩარჯუისა და ამიერ-კავკასიაში თითო 200.000 თითის ტარით თვითეული სიმძლავრისა. შენდება მატყლის 12 მსხვილი ფაბრიკა) რომელთაგან თვითეულის სიმძლავრე იქნება 8 მილიონიდან 15 მილიონ მეტრამდე. შენდება სელის 12 საწარმო, თვითეული 12-დან 27 ათასამდე თითისტარის სიმძლავრისა ტრიკოტაჟის მრეწველობის 18 მსხვილი საწარმოო, კატონინის 13 ფაბრიკა აბრეშუმის 11 ფაბრიკა, 21 ფეხსაცმელის საწარმო, 100 მილიონი წყვილის სიმძლავრისა, 54 სამკერვალო ფაბრიკა, 19 მინის ქარხანა, 10 მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმო და მრავალი სხვა.

**კვების მრეწველობაში** მშენებლობის გაშლა აგრეთვე საგრძნობლად აღემატება გასული წლებისას. აქ მეორე ხუთწლედში მოთავდება პირველ ხუთწლედს დაწყებული 17 ხორცკომბინატის მშენებლობა და ჩაიდგება 25 ახალი ხორცკომბინატის მშენებლობა. გარდა ამისა, ამუშავდება 14 შაქრის ქარხანა, 21 საკონსერვო ქარხანა, 36 საკონდიტრო ფაბრიკა, 59 მსხვილი მაცივარი, 47 საფქვავი კომბინატი და მრავალი სხვა.

**სატყეო მრეწველობაში** გაიშლება ხე-ტყის სახერხი ქარხნების, სატყეოქიმიურ საწარმოთა და სხვათა დიდი რაოდენობის მშენებლობა. მოთავდება კამის და კონდპოჟიეს ცელულოზის ქაღალდის კომბინატების, აგრეთვე ოიასის ცელულოზის კომბინატის. ბაშკირეთის და კრასნოიარსკის ქაღალდის კომბინატების მშენებლობა შენდება ავეჯის ახალი ფაბრიკები და სხვა.

საბჭოთა კავშირში უკვე შექმნილია **საამშენებლო ინდუსტრია,** როგორც მრეწველობის სპეციალური დარგი. მეორე ხუთწლედში თვალსაჩინოდ იზრდება საამშენებლო მექანიზმების პარკი და მშენებლობის ძირითადი პროცესების მექანიზაცია 80 და უფრო მეტ პროცენტს აღწევს.

მეორე ხუთწლედში, მშენებლობის ფართო გაჩაღებასთან დაკავშირებით, ახალი საამშენებლო ტექნიკის, მათ შორის უცხოეთის გამოცდილების საუკეთესო მიღწევების ფართო და უნარიანი გამოყენების საქმეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გამოვთქვამ კიდევ ერთ ზოგად შენიშვნას სამრეწველო მშენებლობის შესახებ.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენმა მრეწველობამ მიაღწია კონცენტრაციის მაღალ ხარისხს და რომ წარმოების უმთავრეს დარგებში იგი წარმოდგენილია ქარხანა — გიგანტებით. ჩვენ შემდგომაც უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილ მსხვილ და უმსხვილეს საწარმოთა ყველა უპირატესობა. ამას უზრუნველყოფს მეორე ხუთწლედის გეგმა. მაგრამ მრეწველობის კონკრეტიზაცია არ შეიძლება ავურიოთ ისეთ დაავადებაში, რომელსაც ეწოდება „გიგანტომანია" მშენებლობაში. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ახლა, როცა ახალი მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მრეწველობის განვითარება ახალ რაიონებში. სამრეწველო საწარმოების შექმნა ნაკლებად სამრეწველო ოლქებში და მრეწველობის დაახლოება ნედლეულის და სათბობის წყაროებთან. ამის გამო ჩვენ, მაგალითად, საჭიროდ ვცანით გაგვეშალა არა ერთიორი ახალი ავტოქარხნის, არამედ ოთხი ავტოქარხნის მშენებლობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ოლქებში.

ცნობილია აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების დაწვრილების შესახებ.

მრეწველობის უდიდეს ზრდასთან ერთად განვითარდება საქალაქო მშენებლობა და ახალი ქალაქების აგება.

მეორე ხუთწლედში ფართოდ გაიშლება მუშაობა, უნდა გაჩაღდეს რამდენიმე ასეული სამრეწველო ცენტრის გადასაქცევად კეთილმოწყობილ ქალაქებად.

ამის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი დიდი ქალაქი — მოსკოვი, რომელმაც უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გააკეთა თავისი საქალაქო მშენებლობის საქმეში. მაგრამ თუ რაოდენად აქაც იზრდება ამოცანები, ეს ჩანს შემდეგიდან: პირველ ხუთწლედს მოსკოვში ბევრი რამ გაკეთდა ქუჩების, ქვაფენილების და გზატკეცილების გასაუმჯობესებლად. ეს მუშაობა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ სავსებით დამთავრებული არაა და შემდეგაც გაგრძელდება. მაგრამ მეორე ხუთწლედში მოსკოვმა უნდა შეასრულოს უფრო რთული ამოცანებიც. ჯერ ერთი, გაიყვანოს მძლავრი არხი, რომელიც შეაერთებს მოსკოვს ვოლგასთან, მეორე—ააგოს საბჭოთა კავშირში პირველი მეტროპოლიტენი. მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი რიგი ამუშავდება ოქტომბრის მე-17 წლის თავისათვის ამ მშენებლობაში უკვე დაბანდებულია 35.000 მუშა და მუშაობა წარმოებს ნამდვილი ბოლშევიკური ტემპებით.

ცალკეული მშენებლობებიდან აღვნიშნავ ერთ მშენებლობას ლენინგრადში. სამეცნიერო აზროვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშენებლობას, რომელიც დამთავრდება მე-2 ხუთწლედში და რომელიც იძლევა ახალ უდიდეს ბაზას ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტის მუშაობისათვის, რომლის ამოცანას წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმის, მისი ჯანმრთელობის და დაავადების კომპლექსური შესწავლა და მედიცინის, როგორც მეცნიერების, განვითარება. ასეთი ინსტიტუტი არ არსებობს საზღვარგარედ. საბჭოთა კავშირის მიერ ამ ინსტიტუტის შექმნა არ შეიძლება მიჩნეულ არ იქნეს ახალ მიდგომად ადამიანისა და მეცნიერებისადმი იმ ქვეყანაში, სადაც სოციალიზმი შენდება. ყოველგვარ ჩვეულებრივ ჩარჩოს სცილდება საბჭოების სასახლის მშენებლობა, ერთი გრანდიოზული ნაგებობის მშენებლობა, რომელიც ამასთან ერთად უნდა გადაიქცეს დიდი ლენინის გიგანტური ფიგურის კვარცხლბეკად, ეს მშენებლობა მოასწავებს სოციალიზმის გამარჯვებას საბ. კავშირში. და ჩვენ უნდა მივაღწიოთ მის დამთავრებას მეორე ხუთწლედში.

## 2. მშენებლობის ახალი განაწილება რაიონების მიხედვით

მეორე ხუთწლედის საამშენებლო პროგრამაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის ახალ განაწილებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით. მშენებლობის ამ ახალ განაწილებას მხედველობაში აქვს ორი ამოცანის განხორციელება. ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების ყოველმხრივ გაძლიერება იმ რაიონებში, რომლებიც წინათ წარმოადგენდნენ უაღრესად ჩამორჩენილ რაიონებს და რომლებიც უნდა გადაიქცნენ ინდუსტრიის განვითარების ახალ რაიონებად; მეორე—ამ ჩამორჩენილი ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების დაჩქარებული ეკონომიური და კულტურული განვითარება, რომელთა ჩამორჩენილობაშიც ჯერ კიდევ მოჩანს მეფის კოლონიალური რეჟიმის მემკვიდრეობა.

ბუნებრივი რესურსების მხრივ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს ყველაზე უფრო მდიდარ ქვეყანას.

ისეთი ძირითადი ბუნებრივ სიმდიდრეთა მხრივ, როგორიცაა რკინა, ქვანახშირი, ნავთი, ფერადი ლითონი, აგრეთვე ხე-ტყე და წყლის ენერგია, ჩვენ პირველი ან ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიჭირავს მსოფლიოს ქვეყნებს შორის. უკანასკნელ წლებში ფრიად გაძლიერდა ჩვენი გეოლოგების მუშაობა, ამ მუშაობამ საგრძნობი შედეგები მოგვცა და მას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი.

რკინეულის მადნის საერთო მარაგი საბჭოთა კავშირში დაახლოებით 240 მილიარდ ტონას უდრის, რაც შეადგენს მსოფლიოს რკინეულის მადნის მთელი რესურსების დაახლოებით 50 პროცენტს. ეს მარაგი 4 ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მთელი ევროპის მარაგი. ოქტომბრის რევოლუციის წლებში გამოკვლეული ქვანახშირის რესურსები ერთი 5-ჯერ გადიდდა. ქვანახშირის რესურსების მხრივ საბჭოთა კავშირი, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანაა. საბჭოთა კავშირის ნავთის მარაგი 3 მილიარდი ტონით განისაზღვრება და შეადგენს მსოფლიო რესურსების ერთმესამედს. ჩვენ ძალიან ჩამორჩენილი ვართ ფერადი ლითონის ძიების დარგში. სპილენძის, ტყვიის, თუთიის ნიკელის მხრივ ჩვენი რესურსები ჯერ-ჯერობით შეადგენენ მსოფლიო მარაგის 5-დან 10 პროცენტამდე. მაგრამ უკანასკნელი წლების განმავლობაში გაძლიერებული ძიების შედეგებით სწრაფად იზრდება ფერადი და იშვიათი ლითონის (ვოლფრამი, მოლიბდენი, ბისმუტი, ზურმუხტი) რესურსები. ტყის სიმდიდრეებს ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით ვიყენებთ ხოლო აქ ჩვენი შესაძლებლობანი პირდაპირ განუსაზღვრელია. ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შეუწყნარებელია ტყეების მოსპობა ცენტრებთან ახლომდებარე რაიონებში და რომ აქ სუსტია ტყეოკულტურული ღონისძიებანი გვალვიან რაიონებში. ჩვენს წყალთა რესურსებს წინათ ძალიან ცუდად იყენებდნენ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო პირველად მსხვილი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა საბჭოთა კავშირში.

თუ როგორ ცუდად იკვლევდნენ და იყენებდნენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ჩანს შემდეგიდან. ძველ რუსეთში, თუ მას ავიღებთ ახლანდელ საზღვრებში, რკინის მადნის დამუშავება წარმოებდა მხოლოდ სამხრეთ ნაწილში და უმნიშვნელო რაოდენობით ურალში. დონბასი იძლეოდა ქვანახშირის მთელი პროდუქციის 86 პროც; ხოლო დანარჩენი რაიონები სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ნავთს იძლეოდა მხოლოდ ბაქო და გროზნო.

მას შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ძველი რაიონების გარდა — უკვე გამოჩნდენ ახალი რაიონები, როგორც რკინის მადნის და ფერადი ლითონების, ისე ქვანახშირის და ნავთის მოპოვების დარგში. ჩვენ აღმოვაჩინეთ რკინის მადნის ისეთი მსხვილი საბადოები, როგორიცაა კურსკის მაგნიტის ანომალიის უმდიდრესი რაიონი, მთა მაგნიტნაია, კომაროვო — ზიგაზინის საბადოები ბაშკირეთში, ხალილოვის საბადო შუა ვოლგის მხარეში, აგრეთვე რკინის საბადოები დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, კაზაკსტანში, ჩრდილოეთ კავკასიის მხარესა და ლენინგრადის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში. ქვანახშირის მრეწველობის დარგში ჩვენ უკვე ვისახავთ ამოცანას გადავაქციოთ კუზბასი ახალ დონბასად. სწრაფი ნაბიჯით მიდიან წინ ქვანახშირის ისეთი რაიონები, როგორიცაა ყარაგანდისა, კიზელოვის, ჩელიაბინსკის, პოდმოსკოვის რაიონები, აგრეთვე მთელი რიგი რაიონები აღმოსავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში ამიერ - კავკასიაში, შუა აზიაში და ჩრდილოეთ მხარეში. ბაქოს და გროზნოს გარდა დიდი მნიშვნელობა ეძლევათ აგრეთვე ნავთის ახალ რაიონებს, როგორიცაა მაიკოპი, ემბა, თურქმენისტანი, კრასნოვოდსკის რაიონი. ბაშკირეთი და ბევრი სხვა.

აღნიშნული ბუნებრივი რესურსების არსებობასა და მათ განაწილებასთან დაკავშირებით მეორე ხუთწლედში ამოცანად ვისახავთ შევქმნათ ინდუსტრიალიზაციის ახალი დასაყრდენი ბაზები, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში — ურალში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, ბაშკირეთში, შორეულ აღმოსავლეთ მხარეში, კაზახსტანში, შუა აზიაში. აღმოსავლეთში ამ ახალ ინდუსტრიალური ბაზების შექმნა გამოხატავს ამ რაიონებში მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის და ამასთან ერთად მანქანათმშენებლობის გაძლიერებულ განვითარებას.

ჩვენი აღმოსავლეთის ინდუსტრიალიზაციის განვითარებაში პირველი ადგილი ეჭირა და მომავალშიც ეჭირება ურალ-კუზნეცკის კომბინატს. რომლის მშენებლობას მეორე ხუთწლედში მოხმარდება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალების დაახლოებით ერთი მეოთხედი. ხოლო ინდუსტრიალიზაციის ყველა ახალ დასაყრდენ ბაზას საბჭოთა კავშირის, აღნიშნულ აღმოსავლეთ რაიონებში (ურალი, ციმბირი, ბაშკირეთი, შორეულ აღმოსავლეთის მხარე, კაზახსტანი, შუა აზია, ამიერ - კავკასია), ამ რაიონებში მეტალურგიის, ქვანახშირის და ნავთის მრეწველობის, მანქანათმშენებლობის ელექტრომშენებლობის და სხვ. განვითარების მიზნით, მოხმარდება ყველა იმ კაპიტალური დაბანდების დაახლოებით ნახევარი, რომლებიც გამოყოფილია მძიმე მრეწველობაში ახალი მშენებლობისათვის.

მეორე მხრით ხდება მსუბუქი და კვების მრეწველობის დაახლოება სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის წყაროებთან. ესეც პირველ რიგში შეეხება აღმოსავლეთ რაიონებს და ცენტრალური და ჩრდილოეთი ზოლის ზოგიერთ, მრეწველობის მხრივ უფრო ჩამორჩენილ, რაიონებს. მეორე ხუთწლედში ახალ ბამბეულის 15 კომბინატიდან 10 უნდა აშენდეს შუა აზიაში, ციმბირსა და ამიერ კავკასიაში. სელის მრეწველობის ხაზით ახალი ფაბრიკები, უმთავრესად, შენდება დასავლეთ ოლქში. გორკის მხარესა და ბელორუსიაში. შაქრის ქარხნები მეტწილად შენდება დასავლეთ ციმბირში, ყირგიზეთში, შორეულ აღმოსავლეთის მხარესა და ამიერ - კავკასიაში.

გარდა ამისა, აღმოსავლეთ რაიონებში ფართოდაა გაჩაღებული შალეულობის, სატრიკოტაჟო, აბრეშუმეულობის, სამკერვალო, ტყავეულობის და ფეხსაცმელის ფაბრიკების მშენებლობა, აგრეთვე ხორცკომბინატის, ერბო - კარაქის, მაკარონის, საკონდიტრო და სხვ. ქარხნების მშენებლობა.

მეორე ხუთწლედის მთელ სამრეწველო მშენებლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მრეწველობის მხრივ უფრო ჩამორჩენილ რაიონებს.

ამასთან შეფარდებით მეტად ინტენსიურად ვითარდება სამრეწველო მშენებლობა ისეთ რაიონებში, როგორიცაა შუა ვოლგის მხარე, თათართა რესპუბლიკა, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქი, ჩრდილოეთი კავკასია, ამიერ - კავკასია, კარელია, მურმანსკის მხარე, შორეული აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ ციმბირი.

ამხ. სტალინმა აქ უკვე აღნიშნა, რომ ამიერიდან ჩვენი ოლქების ძველებურმა დაყოფამ სამრეწველო და აგრარულ ოლქებად თავისი მნიშვნელობა დაკარგა. მშენებლობის განვითარება მეორე ხუთწლედში ამ დასკვნას კიდევ უფრო განამტკიცებს.

მრეწველობის ახალი განაწილება მეორე ხუთწლედში ამთავრებს მძიმე მრეწველობის ძირითადი ბაზების შექმნას მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალ მშენებლობასთან ერთად უზრუნველყოფს ნაციონალური რაიონების ეკონომიურ ჩამორჩენილობის დაჩქარებით აღმოფხვრას.

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ძირითადი რაიონების მარცვლოვანი კულტურების განვითარება და გაძლიერებულად წავწიოთ წინ მარცვლეულის მეურნეობა, პირველ ყოვლისა, ხორბალი მომხმარებელი ზონასა და ციმბირში. მომხმარებელ ზონაში, სადაც ნათესები უნდა გაიზარდოს 3,7 მილიონი ჰექტარით, ახალი ფართობების გაძლიერებული გასუფთავებისა ბუჩქნარისაგან ყოველგვარი საფუძველი აქვს იმისათვის, რომ გადაიქცეს ხორბლეულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რაიონად. უნდა გავამაგროთ ტექნიკური კულტურების ფართობები მათი წარმოების ძირითად რაიონებში და უზრუნველვყოთ ბამბის ახალი ბაზის შექმნა აღმოსავლეთში. აუცილებლად საჭიროა გაძლიერებულად დავუჭიროთ მხარი ახალი ძვირფასი კულტურების განვითარებას, განსაკუთრებით სუბტროპიკულ რაიონებში.

ზავოლჟიეში გვალვასთან ბრძოლის საქმეში გაიშლება დიდი მუშაობა. ზავოლჟიეს ირიგაციის ფართო პროგრამა იწყება სათესი სარწყავი ფართობის შექმნით 130.000 ჰექტარზე, რომელიც მოირწყვება ადგილობრივი არხებით, ამასთან ერთად დამთავრებული უნდა იქნას სამზადისი ზავოლჟიეს ირიგაციის გენერალური გეგმის განხორციელებისათვის.

საწარმოო ძალთა ახალი განაწილების ამოცანების ყოველგვარ განხორციელებაში ტრანსპორტმა უნდა შეასრულოს უდიდესი და ამასთანავე აქტიური როლი. ამასთან შეფარდებით უნდა გაჩაღდეს რკინის-გზის ხაზების მშენებლობა ისეთ სამრეწველო საწარმოებთან, როგორიცაა ბალხაში (რკინა), რიდერი (რკინა, თუთია, ტყვია), სტერლიტამაკი (ნავთი), ჩელიმი (ტყე) და სხვ.

ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ სახალხო მეურნეობის აღმავლობა და საწარმოო ძალების განაწილების პროგრამა მეორე ხუთწლედში უზრუნველყოფს არა მარტო სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდას მთლიანად, არამედ ჩამორჩენილი რაიონების ეკონომიური და კულტურული დონის აღმავლობის მნიშვნელოვან დაჩქარებასაც.

მეორე ხუთწლედის საამშენებლო პროგრამის განხორციელება გარდაქმნის ჩვენს ქვეყანას, საწარმოო ცხოვრებაში აბამს უდიდეს ახალი ბუნებრივ რესურსებს, ამაღლებს სასოფლო-სამეურნეო შრომას მისი ახალი სამანქანო ტექნიკით ინდუსტრიალური შრომის დონემდე, დააწევს ქვეყნის ჩამორჩენილ რაიონებს მოწინავე რაიონებს, დააკავშირებს ახალი სატრანსპორტო გზებით ცენტრსა და შორეულ განაპირა კუთხეებს, უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის უჩვეულო აღმავლობას და ყველა ამით მომზადებს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული დაპირისპირების მოსპობას.

საამშენებლო პროგრამის განხორციელება, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გაშლა, სოციალურ - კულტურულ ღონისძიებათა გატარება და ხარჯები მშრომელებისა და ქვეყნის თავდაცვისათვის მოითხოვენ მეორე ხუთწლედში 330 მილიარდ მანეთზე მეტს, ესე იგი 2,8-ჯერ მეტს, ვიდრე პირველ ხუთწლედში. მხოლოდ 1937 წელს აღნიშნული ხარჯები შეადგენს 76,6 მილიარდ მანეთს.

სად არის წყარო ამ თანხების მისაღებად?

სახელმწიფოს უმთავრეს და გადამწყვეტ შემოსავლის წყაროს უნდა წარმოადგენდეს დაგროვება, რომელიც უნდა მოგვცეს სოციალისტურმა მეურნეობამ. ეს ჩანს შემდეგიდან: 1937 წელს მოსახლეობის სახსრების მობილიზაცია (პირდაპირი გადასახადები, სესხები და სხ.) იფარავს ამ ხარჯების ერთ მეოთხედზე ნაკლებს, სახელდობრ 9,3 მილიარდი მანეთი ნაცვლად 1932 წლის 8,2 მილიარდი მანეთისა. ამგვარად, ეს როდი შეადგენს ჩვენი შემოსავლის მთავარ წყაროს მეორე ხუთწლედის პროგრამის შესასრულებლად.

მეორე მხრივ, დაგროვებამ (მოგება, გადასახადი ბრუნვაზე), რომელიც მთელმა სოციალისტურმა მეურნეობამ უნდა მოგვცეს. 1937 წელს უნდა შეადგინოს 61,5 მილიარდ მანეთი. ე. ი. ერთიორად უნდა იმატოს 1932 წელთან შედარებით. ეს მეორე ხუთწლედის უდიდესი ამოცანაა. სახელმწიფოს მიერ ამ შემოსავლის მიღება უზრუნველყოფილი შეიძლება მხოლოდ ორი შემდეგი პირობის შესრულებით: პირველი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაწესებულ ფარგლებში და ამავე დროს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციის გადიდების პროგრამის მთლიანად განხორციელებით; მეორე ვაჭრობის შემდგომი გაფართოებით და ამავე დროს საქონელბრუნვის ნაირგვარი გაზრდით.

დავიწყებ სახელმწიფოს შემოსავლის პირველ ამ ძირითადი წყაროთი.

რა წარმოადგენს ჩვენს ამოცანებს მეორე ხუთწლედში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მხრივ!

აი ეს დავალებანი: მრეწველობაში საერთოდ თვითღირებულება უნდა შემცირდეს 26 პროცენტით. რაც 1937 წელს სახელმწიფოს მისცემს სულ ცოტა 14 მილიარდ მანეთს; ტრანსპორტის ხაზით— 40 პროცენტით. რაც მოგვცემს 7,6 მილიარდ მანეთს; საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ხაზით —63 პროც., რაც შეადგენს 1,6 მილიარდ მანეთს; სავაჭრო ორგანიზაციების ბრუნვის ხარჯები შემცირდეს, 2,6 პროცენტით, რაც შეადგენს 2 მილიარდ მანეთს. მშენებლობის ღირებულება შემცირდეს 40 პროცენტით, რაც სახელმწიფოს აძლევს 8,7 მილიარდ მანეთის ეკონომიას. ამ ამოცანების შესრულება ნიშნავს უზრუნველყოს სახელმწიფოსათვის 36 მილიარდი მანეთი 1937 წელს. ამ ამოცანების შესრულება შეიძლება მხოლოდ: ა) ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდის განხორციელებით; ბ) პროდუქციის ერთეულზე სათბობის და ნედლეულის ხარჯვის შემცირებით, რისთვისაც ჩვენ გვაქვს დიდი შესაძლებლობანი, თუ უყაირათობასთან ბრძოლას გავაძლიერებთ; გ) ყოველგვარი არასაწარმოო ხარჯის თვალსაჩინო შემცირებით, აპარატის შემცირებით და სხვა. ამ ამოცანების გადაწყვეტა მოასწავებს გაჩაღებას უდიდესი ბრძოლა ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. თვითდინებით ასეთი საქმეები ვერ გაკეთდება, ისინი გადაწყდება ბრძოლით ათასნაირ სიძნელეებთან, რომლებიც ჩვენ ბევრი დავძლიეთ და რომლებთანაც ჩვენ უნდა ვაწარმოოთ კიდევ უფრო შეუპოვარი და კიდევ უფრო ორგანიზებული ბრძოლა.

სახელმწიფოს შემოსავლის მეორე უდიდესი წყარო იქნება სახელმწიფო კოოპერატიული ვაჭრობა. მთლიანად რომ უზრუნველვყოთ ვაჭრობის შემოსავალი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ფართო მოხმარების საქონლის პროდუქციის გამოშვების პროგრამის სავსებით განხორციელებას და ამავე დროს ამ პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებას. მაშინ სახელმწიფოს შემოსავლის ეს უმნიშვნელოვანესი წყაროც უზრუნველყოფილი იქნება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეორე ხუთწლედში ჩვენ ამოცანად ვისახავთ საცალო ფასების 35—40 პროცენტით შემცირებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაჭრობის ხაზით შემოსავლის პროგრამის შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ საქონელბრუნვის უდიდესი გაშლით და მთელი სავაჭრო აპარატის გადაჭრით გაუმჯობესებით.

სრულიად ცხადია, რომ მეორე ხუთწლედში სოციალისტური დაგროვების ამ ორივე პირობის შესრულებისათვის — ნიშნავს აწარმოო გაჩაღებული ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მთელი მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ყველა სამეურნეო რგოლში სამეურნეო ანგარიშის დანერგვისათვის, საგეგმო-საფინანსო დისციპლინის გაძლიერებისა და საბჭოთა მანეთის, როგორც სოციალისტური მეურნეობის აღმავლობის და ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური კავშირის გაძლიერების იარაღის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამგვარად, საამშენებლო პროგრამის და მეორე ხუთწლედის სხვა ამოცანების განხორციელებისათვის ჩვენ მოგვეპოვება აუცილებელი ბუნებრივი რესურსები, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა სწრაფად იზრდება. ჩვენ მოგვეპოვება შემოსავლის უდიდესი წყაროები, რომელთა უზრუნველყოფა მთლიანად დამოკიდებულია ჩვენზე, ჩვენს მუშაობაზე.

მეორე ხუთწლედის პერსპექტივები თავისი მშენებლობის გიგანტური პროგრამით, ჩვენს წინაშე სახავს ჩვენი ქვეყნის აღმავლობის ისეთ გზას, რომელიც აძლიერებს ენტუზიაზმს და აკაჟებს ნებისყოფას გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გულში. ჩვენი ამოცანაა გავაჩაღოთ კიდევ უფრო ორგანიზებული ბრძოლა სახალხო მეურნეობაში არსებული უზარმაზარი რეზერვების გამოყენებისათვის, ყოველნაირად გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია წარმოებასა და მშენებლობაში, უზრუნველვყოთ სოციალიზმის მშენებელთა მზარდი კადრების მოხერხებული, კონკრეტული ხელმძღვანელობა. ჩვენი ამოცანაა მოვამზადოთ მეორე ხუთწლედის გამარჯვება.

## III. მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

სოციალიზმის ძალა ის არის, რომ სახალხო მეურნეობის გიგანტური ზრდას სოციალისტური მშენებლობა განუყრელად აკავშირებს მშრომელთა მასების კეთილდღეობის უდიდეს ამაღლებასთან. სოციალიზმის წინსვლა მოასწავებს კაპიტალისტური ელემენტების — მშრომელთა ექსპლოატატორების მოსპობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ის შემოსავალი, რომელიც წინათ ექსპლოატატორების, პარაზიტების უვარდებოდათ ხელში, ახლა თვით მშრომელთა ხელშია. გასაგებია, რომ ყოველივე ეს წარმოებს მშრომელთა გაფთრებული ბრძოლით ბურჟუაზიული კლასების ნაშთების წინააღმდეგ. მაგრამ მხოლოდ ამ ბრძოლით იპყრობენ თავისთვის გლეხები ახალ ცხოვრებას, გამოდიან სიღატაკიდან და სიბნელიდან, რომლებშიაც ამყოფებდნენ მათ კაპიტალისტები და მემამულეები. უკვე პირველ ხუთწლედში მივაღწიეთ ჩვენ მუშათა მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებას. მარტო ის რადაა ღირს, რომ მოისპო უმუშევრობა და რომ ყველა ჩვენი მუშა დარწმუნებულია ხვალინდელ დღეში, იმაში, რომ იგი უზრუნველყოფილია სამუშაოთი. არსად მსოფლიოში არ შეუძლიათ მუშებს ამაზე ოცნებობაც კი. უკანასკნელ წლებში მთელი გადატრიალება მოხდა გლეხობის მდგომარეობაშიც. კოლექტივიზაციამ აღგავა კულაკთა უდიდესი რაოდენობა და გამოიყვანა ღარიბ-საშუალო გლეხთა მთელი მასა ნამდვილი აღორძინების გზაზე. სოფელი, რომელიც წლითიწლობით ღატაკდებოდა, გადაიქცა ისეთ სოფლად, რომელიც წლითიწლობით მიდის განვითარების გზით. გლეხობის ცხოვრების პირობების რადიკალურად გაუმჯობესების საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მუშათა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიუხედავად, ჩვენში ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა ქალაქებში არ ჰყოფნით მუშახელი და ეს იმ დროს, როცა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ღებულობენ ზომებს იმისათვის, რომ ქალაქს სამუშაოს საშოვრად არ მოაწყდეს ნახევრად მშიერი გლეხები.

მეორე ხუთწლედის ძალა ის არის, რომ ჩვენ ახლა შეგვიძლია უფრო სწრაფად წავიდეთ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გზით.

დავიწყებ მუშათა მდგომარეობიდან.

— ჩვენში, რასაკვირველია, არ არის იმის საფრთხე, რომ მუშებს შორის თავს იჩენს უმუშევრობა ხუთწლედის განმავლობაში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 22,9 მილიონი კაციდან (1932 წელს) გაიზრდება 29,6 მილიონ კაცამდე (1933 წელს) ე. ი. გადიდდება 29 პროცენტით. უშუალოდ მრეწველობაში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი დაახლოებით 3 მილიონი კაცით გადიდდება, ე. ი. იმატებს 40 პროცენტით.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მთელი მოზარდი ახალგაზრდობა მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებში უზრუნველყოფილია სამუშაოთი და, სწავლების განსაზღვრული კურსის გავლის შემდეგ დგება საბჭოთა კავშირის მშრომელთა რიგებში.

ჩვენი ქვეყნის მუშების წინაშე არ დგას სამუშაო დღის გადიდების საშიშროება. პირიქით, ჩვენს მრეწველობაში სამუშაო დღე უკვე შემცირებულია 7 საათამდე, ხოლო უფრო ძნელ სამუშაოებზე— 6 საათამდე და კიდევ უფრო ნაკლებ დრომდე. და სახელმწიფო მოითხოვს მხოლოდ ერთს — ზუსტსა და გაუცდენელ მუშაობას ამ მოკლე სამუშაო დღის განმავლობაში.

მუშათა და მოსამსახურეთა შემოსავლის მხრივ მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეალური სამუშაო ხელფასის გადიდებას. 1932 წლის დონესთან შედარებით რეალური ხელფასი ხუთწლედის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 2,1 -ჯერ. ეს ნიშნავს, რომ მუშათა და მოსამსახურეთა (შრომის არა სასოფლო - სამეურნეო დარგების) სულობრივი მოხმარების ფიზიკური მოცულობა უნდა გაიზარდოს ერთიორად და კიდევ უფრო მეტად. მუშათა და მოსამსახურეთა შრომის რეალური ხელფასის ზრდა ხდება შემდეგი წყაროების ხარჯზე:

ა) მუშის ოჯახის ფულადი შემოსავლის საგრძნობი ზრდა

ბ) იმ უსასყიდლო მომსახურების დიდი ზრდა, რომელსაც უწევენ მუშებს და მოსამსახურეებს კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სახელმწიფოებრივ და სხვა ფონდების ხაზით.

გ) ფასების დიდად შემცირება ფართო მოხმარების საქონელზე.

ხუთწლედის განმავლობაში შრომის ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში იზრდება 32,7 მილიარდ მანეთიდან 51,8 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. მატულობს 59 პროცენტით. მუშათა და მოსამსახურეთა ფულადი შემოსავალი ხუთწლედის განმავლობაში მატულობს 40 პროცენტით, ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი — 22,5 პროცენტით. ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია კურსის აღება ფულადი ხელფასის საერთო გადიდებაზე მეორე ხუთწლედში. მუშათა ხელფასი გაიზრდება შრომის ნაყოფიერების ზრდის და მუშათა კვალიფიკაციის საგრძნობლად ამაღლების შედეგად. აგრეთვე მეორე ხუთწლედის პირველ წელს ჩატარებული შრომის ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებით.

და, ბოლოს, მუშათა ფულადი შემოსავალი გაიზრდება კიდევ იმიტომ, რომ მუშების ოჯახებში იმატებს მომუშავეთა რიცხვი, სტიპენდიანტების, პენსიონერების და სხვ. რაოდენობა.

მუშათა და მოსამსახურეთა რეალური სამუშაო ხელფასის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ხარჯებს მშრომელთა უფასო კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით. ეს ხარჯები პროფკავშირების ხარჯებთან ერთად ხუთწლედის განმავლობაში იზრდება 4,3 მილიარდ მანეთიდან 9,3 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. ერთიორად და კიდევ უფრო მეტად. ეს სახსრები მოხმარდება პენსიების და დახმარებათა გადიდებას სოციალზღვევის ხაზით, ხარჯების გადიდებას ბავშვების და მოზრდილთა აღზრდისა და სწავლების ხაზით, მკურნალობის, ბაგების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების და სხვა ღონისძიებათა ხაზით, რომლებიც მიმართულია მუშათა და მოსამსახურეთა ცხოვრების საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესებისაკენ.

შრომის რეალური ხელფასის ზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფართო მოხმარების საგნებზე საცალო ფასების დაკლებას 35 — 40 პროცენტით, რაც დასახულია მეორე ხუთწლედისათვის. როგორც ვიცით, უკანასკნელ წლებში ჩვენ არა ერთხელ იძულებული ვიყავით გაგვედიდებინა საქონლის ფასი, ახლა ჩვენი მრეწველობა განმტკიცდა, სოფლის მეურნეობამ დაამთავრა რეორგანიზაციის პერიოდი, ჩვენი კადრები გაიზარდენ. ამიტომ ჩვენ ყველა წინასწარი პირობა მოგვეპოვება პროდუქციის თვითღირებულების და არასაწარმოო ხარჯების შემცირებისათვის, რათა გადაჭრით შევამციროთ საქონლის ფასები. ფასების შემცირება 35 — 40 პროცენტით არ არის ადვილი ამოცანა, მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ჩვენ ახლა შეგვიძლია და ამიტომ იგი უნდა შევასრულოთ ყოველ მიზეზს გარეშე. ეს არის ქალაქის და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გადამწყვეტი ბერკეტი მეორე ხუთწლედში.

სოფელი ამჟამად შევიდა სწრაფი აღმავლობის პერიოდში. კოლმეურნეთა კეთილდღეობა ჩვენ თვალწინ იზრდება. განა ეს შემთხვევითია, რომ მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობებმა უკვე გაიარეს რეორგანიზაციის პერიოდი და მიაღწიეს განმტკიცებას, ჩვენ მივიღეთ მარცვლეული კულტურების კონკრეტულად უხვი მოსავალი. ცნობილია, რომ პურის მოსავალი ყოველთვის უფრო კარგი იყო იქ, სადაც უკეთ არიან მოწყობილი კოლმეურნეობები, სადაც ისინი განმტკიცდნენ. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ყაბარდო, სადაც შრომადღეზე გასულ წელს კოლმეურნემ მიიღო ერთ ფუთამდე მარცვალი (სიმინდის ჩათვლით) და სადაც კოლმეურნეებმა მართლაც საგრძნობლად მომაგრდნენ. ამ მაგალითს კომენტარიები არ ესაჭიროება.

იმისთვის, რომ განუხრელად გააუმჯობესონ თავისი ცხოვრება, გლეხებს და კოლმეურნეებს უნდა ახსოვდეთ მხოლოდ ერთი რამ — საჭიროა პატიოსნად მუშაობა კოლმეურნეობაში, ზრუნვა საკოლმეურნეო დოვლათზე. სახელმწიფო კი გლეხობას დახმარების სახით აძლევს არა მარტო ტრაქტორებს, ავტომობილებს, კომბაინებს, სასოფლო - სამეურნეო მანქანებს, სარემონტო სახელოსნოებს და სხვა ტექნიკურ მოწყობილობას, არამედ აგრეთვე ენერგიულად ამზადებს სოფლის მეურნეობის გამოცდილ სპეციალისტთა კად-

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

# მეორე ხუთწლედის ამოცანები — ამხ. მოლოტოვის მოხსენება

რებს, აწყობს ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, ბრიგადირთა, კოლმეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელთა მთელი არმიების მომზადებას.

მეცხოველეობის განვითარებისათვის სახელმწიფო არა მარტო დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, არამედ, ასე თუ ისე, ამსუბუქებს უძროხო კოლექტიური მეურნეობის ლიკვიდაციას, აწყობს კრედიტებს უძროხო მეურნეობებისათვის, ხბოებს აწოდებს მათ. ჩვენში მიმდინარე წელს, ესე იგი მეორე ხუთწლედის პირველ წელს იქმნებიან უდიდესი ოლქები, რომლებიც ნოლამდე დაიყვანენ უძროხო საკოლმეურნეო მეურნეობების რიცხვს და უზრუნველყოფენ ყოველ კოლმეურნეს ძროხით ან ხბოთი. ჯიშიანი ჯოგით, ხარისხოვანი თესლით და სხვ. კოლმეურნეობათა მომარაგებაში დიდ როლს ასრულებენ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები.

ამგვარად შექმნილია ყოველგვარი პირობა იმისათვის, რათა გადავაქციოთ კოლმეურნეობები ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და უზრუნველვყოთ კოლმეურნეების კულტურული და შეძლებული ცხოვრება. ამხ. სტალინის ეს ლოზუნგი ჩვენ შეგვიძლია და უნდა განვახორციელოთ უკვე მეორე ხუთწლედის პირველი ორ-სამ წელში. ამრიგად, დაბოლოს მრავალმილიონიანი გლეხთა მასები იცხოვრებენ ადამიანურად, კულტურულად.

**კულტურული** განვითარების მხრით საბჭოთა კავშირი მიიწევს წინ, როგორც ბუმბერაზი.

მეორე ხუთწლედს ამ დარგში ჩვენ უნდა განვახორციელოთ შემდეგი ამოცანები:

ა) წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია მთელ მოსახლეობას შორის. ამ ამოცანის განხორციელება სავსებით შესაძლებელია უკვე უახლოეს 2—3 წლის განმავლობაში.

ბ) საყოველთაო სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება შვიდწლედის ფარგლებში არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც. ამასთან შედარებით, შვიდწლედის სკოლების კონტინგენტი უნდა გაიზარდოს 21,7 მილიონი მოსწავლიდან 28,8 მილიონ მოსწავლემდე. ეს ამოცანა უნდა გახდეს მეორე ხუთწლედის ცენტრალური ამოცანა ჩვენი სკოლების განსავითარებლად.

გ) საყოველთაო სწავლების სკოლებში პედაგოგიური კადრების საერთო რიცხვის გადიდება ხუთწლედის განმავლობაში 628 ათასიდან 834 ათასამდე. სკოლები უზრუნველყოფილი იქნებიან უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პედაგოგებით, რაც სკოლებისა და მოწაფეთა სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და აუცილებელი მოწყობილობებით უზრუნველყოფასთან ერთად ბევრად აამაღლებს სკოლების მუშაობის ხარისხს. სწავლების ხარისხის ამაღლება მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე სკოლების პოლიტექნიზაციასთან ერთად, უნდა მიეკუთვნოს პარტიისა და მთავრობის პირველ ხარისხოვან ამოცანებს.

დ) მოსწავლეთა საერთო რიცხვის გადიდება (დაბალი და საშუალო სკოლებში, მუშფაკებში, საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში) 24,2 მილიონი კაციდან 1932 წელს, 30 მილიონ კაცამდე 1937 წელს.

ე) შვიდწლამდე ასაკის ბავშთა საზოგადოებრივ და სკოლის ასაკამდე აღზრდით მოცვა თექვსმეტი მილიონი ბავშვის რაოდენობით 1937 წელს, ნაცვლად 5,2 მილიონი ბავშვისა 1932 წელს. აქ გვაქვს მატება ერთისამად და უფრო მეტად. და აქ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სკოლის ასაკამდე სწავლების უზრუნველყოფა. კვალიფიციური კადრებით — პედაგოგებით და ხელმძღვანელებით.

ვ) მოწაფეთა რაოდენობის გადიდება საერთო განათლების სკოლებში და მაღალი ტიპის კურსებზე მიაღწევს 10,5 მილიონ კაცს. რაც დაკავშირებულია კულტურისადმი მოსახლეობის ფართო მასების უდიდეს მისწრაფებასთან.

ზ) კლუბების, დასასვენებელი სახლების, სამკითხველოების და სხვ. ქსელის გადიდება 49,3 ათასიდან 76,9 ათასამდე, ე. ი. ერთნახევარჯერზე უფრო მეტად.

თ) მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის გადიდება ხუთწლედის განმავლობაში 15 ათასიდან 25 ათასამდე, ხოლო წიგნის ფონდის სამჯერ.

ი) რადიო-გადამცემი სადგურების რაოდენობის გადიდება ხუთწლედის განმავლობაში 57-დან 93-მდე; მიმღები რადიო წერტილების რაოდენობა საბჭოთა კავშირის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის საერთოდ მთელ ჩვენს ქვეყანაში 13, ეს რიცხვი უნდა ავიყვანოთ 57-მდე და ქალაქად—ას რადიო-წერტილამდე.

კ) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა რაოდენობის აყვანა (ტექნიკური მუშაკების და ასპირანტურის გარდა) ხუთწლედის განმავლობაში 1932 წლის 52,6 ათასიდან 59 ათასამდე.

კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ზრდის ყველაზე უფრო დიდი ტემპი ექნებათ ნაციონალურ რესპუბლიკებს და ოლქებს. ჯერ არასოდეს არ შექმნილა ასეთი ხელსაყრელი პირობები ნაციონალური კულტურის ზრდისათვის და საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა მშრომელთა წრიდან ახალი კულტურული კადრების ფართოდ დაწინაურებისათვის;

სოციალისტურ საფუძველზე ნაციონალური კულტურის უდიდეს ზრდაში თავის გამოხატულებას ჰპოვებს სოციალიზმის უძლეველი ზრდა საბჭოთა კავშირში, რომელიც მისცემს მთელი მსოფლიოს ხალხებს იმის ახალი, მრავალ მაგალითს, რომ ჩვენს დროში მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია გახდეს ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ნამდვილი ბაზა.

**მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების** მხრივ მე-2 ხუთწლედში დგას აგრეთვე უდიდესი ამოცანები. ამ ამოცანების მასშტაბი ხასიათდება თუნდაც იმით, რომ ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე, მუშათა დასვენებასა და ფიზკულტურაზე პირველი ხუთწლედის 5.10 მილიარდი მანეთიდან მეორე ხუთწლედში იზრდება 20.5 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. იზრდება თითქმის ერთი 4-ჯერ. საავადმყოფო საწოლების რაოდენობა ქალაქებში მატულობს 44 პროც., სასოფლო ადგილებში—98 პროც. საგრძნობლად იზრდება სამედიცინო კადრებიც. მუშებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბინაო პირობების გაუმჯობესებას. მთელი საბინაო ფონდი მეორე ხუთწლედში მატულობს 185 მილიონი კვადრატული მეტრიდან 246 მილიონ კვად მეტრამდე, ე. ი. 33 პროც. მაინც მოსახლეობის დიდი მატების გამო, საბინაო ნორმა იზრდება მხოლოდ 15 პროც., მაგრამ მრეწველობის ზოგიერთ დარგში იგი ბევრად უფრო სწრაფად მატულობს. ასე, მანქანათმშენებლობაში საბინაო ნორმა მატულობს 22 პროც., შავ მეტალურგიაში—33 პროც., ქვანახშირის მრეწველობაში ერთი-ორად.

დაბოლოს, ქალაქის და სოფლის **მშრომელთა მომარაგების** გაუმჯობესების და საქონელბრუნვის გაშლის შესახებ. რა სასაქონლო ფონდები გვექნება მეორე ხუთწლედში?

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა ტემპებით იზრდება მეორე ხუთწლედში მსუბუქი და კვების მრეწველობა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების სხვა დარგები, რომლებიც ჩვენ გვექნება. თუ 1932 წელს სახელმწიფო მრეწველობის მიერ დამზადებული სამრეწველო საქონლის მთელი მასა, კვების საქონლის ჩათვლით, ფასდებოდა 14.5 მილიარდ მანეთად (1932 წლის უცვლელი გასაყიდი ფასებით), 1937 წელს ეს სასაქონლო პროდუქცია იზრდება 41,5 მილიარდ მანეთამდე (იმავე ფასებით), ე. ი. 186 პრ. რამდენადმე უფრო ნელა მატულობს სარეწაო კოოპერაციის ფართო მოხმარების საქონლის პროდუქცია. მაგრამ, მეორე მხრივ, არა—საბაზრო ფონდებიც საგრძნობლად უფრო ნელა მატულობს, ვიდრე საბაზრო ფონდები. ამის შედეგად ფართო მოხმარების საქონლის საბაზრო ფონდი ხუთწლედის განმავლობაში მატულობს 205 პროც. ამგვარად, ფართო მოხმარების საქონლის საბაზრო პროდუქცია იზრდება უფრო მეტად, ვიდრე სამჯერ. სწრაფი ტემპებით მატულობს აგრეთვე სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია და ამავე დროს დიდად იზრდება კოლმეურნეთა პირადი მოხმარება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სასაქონლო მასის გადიდება ხდება, ჯერ ერთი, სახელმწიფოს ძირითადი შემოსავლის ხარჯზე (გადასახადი, სამ.-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების ნატურ-გადასახდელი), მეორე, საკარმიდამო მეურნეობის ხარჯზე და, მესამე, საკოლმეურნ. ვაჭრობის და დეცენტრალიზებულ დამზადებათა ხარჯზე. სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის გადიდებას ყველა ეს წყარო საშუალებას გვაძლევს ავამაღლოთ ისეთი პროდუქტებით მომარაგება, როგორიცაა მარცვლეული პური, კართოფილი და ბოსტნეული, თითქმის ერთი-ორად ხოლო ხორცის და რძის მხრივ—დაახლოებით ორნახევარჯერ.

ამის შედეგად ჩვენ ვღებულობთ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საერთო საცალო საქონელბრუნვის სწრაფ ზრდას საზოგადოებრივ კვებასთან ერთად. აი საქონელბრუნვის ზრდის ძირითადი მაჩვენებლები მეორე ხუთწლედში.

### საცალო საქონელბრუნვის ზრდა მეორე ხუთწლედში.

**1932 წლის შესადარებელი საცალო ფასები (მილიონ მანეთობით)**

| | 1932 წ. | 1937 წ. | 1937 წ. პროცენტობით 1932 წ. მიმართ |
|---|---|---|---|
| 1. **ფართო მოხმარების საქონელი.** მათ შორის: ქსოვილები, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საპონი, წიგნები და სხვა სამრეწ. საქონ. | 16.970 | 54.280 | 319,9 |
| 2. **კვების პროდუქტები.** მათ შორის: პური, ხორცი, კვერცხი, ცხიმი, შაქარი, თევზი და სხვ. | 10.145 | 26.380 | 260,1 |
| 3. **საზოგადოებრივი კვება** | 4.800 | 13.920 | 290,0 |
| **სულ.** (თამბაქოს და ალკოჰოლის ღვინის გამოკლებით) | 31.915 | 94.580 | 296,4 |

ცხრილიდან ჩანს, რომ განსაკუთრებით სწრაფად იზრდება საცალო საქონლის ბრუნვა ფართო მოხმარების საქონლის ხაზით (320 პროც.) ცოტათი უფრო ნელა იზრდება საქონლის ბრუნვა საკვები პროდუქტების ხაზით (260 პროც.), მათ შორის შუა ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი კვების განვითარების ტემპების ზრდას (290 პროც.). საერთოდ საქონლის ბრუნვა იზრდება ხუთწლედის დასასრულისათვის თითქმის 3 ჯერ (296 პროც.) უფრო ნელა ქალაქში (283 პროც.) უფრო სწრაფად სოფლად (329 პროც.).

დაგვრჩენია დავუმატოთ, რომ უმთავრესი პროდუქტების მოხმარების საშუალო სულობრივი ნორმები იზრდება სათანადო ტემპებით. მეორე ხუთწლედის განმავლობაში ეს საშუალო სულობრივი ნორმები იზრდება ხორცზე და ცხოველის კარაქზე 2 ჯერ, კვერცხზე, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე ,მაგალითად, —2,5 ჯერ,, კონსერვებზე—5 ჯერ. პურზე, კართოფილსა და ბოსტნეულზე მოთხოვნილება კმაყოფილდება.

იზრდება საშუალო სულობრივი ნორმები ყველა სამრეწველო საქონელზე: საშუალოდ ეს ნორმები სამრეწველო საქონელზე მეორე ხუთწლედში იზრდება 2,8-ჯერ.

ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის მშრომელთა მოხმარების დონის აწევას, 2,5—3 ჯერ ხუთწლედის განმავლობაში.

საქონლის ბრუნვის მოცულობის დიდ ზრდასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს მისი სტრუქტურის საგრძნობი გაუმჯობესება კვების საგნების და ფართო მოხმარების საქონლის უმნიშვნელოვანესი ჯგუფების ხვედრითი წონის გადიდების გზით, საქონლის ხარისხისა და მისი ასორტიმენტის გაუმჯობესების გზით.

საქონელბრუნვის უზარმაზარი ზრდა სახელმწიფო - კოოპერატიულ სავაჭრო ქსელში და ფასების დაკლება სამრეწველო საქონელზე ხუთწლედის ბოლოს 35—40 პროცენტით შესაძლებელს ხდის სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე საბაზრო ფასების დაკლების უზრუნველყოფას და ბრძოლის ბოლომდე მიყვანას სპეკულიანტური ელემენტების აღმოსაფხვრელად ვაჭრობაში. „ფასების მაკრატელი“ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელზე იკეცება და თანდათან სავსებით ისპობა. ჩვენ უკვე დავიწყეთ ფასების დაკლების გატარება კომერციულ ვაჭრობაში და მივაღწიეთ საგრძნობ შედეგებს საბაზრო ფასების შემცირებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. მეორე ხუთწლედში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის ისეთი ზრდა და სამრეწველო საქონელსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ისეთი დაკლების პოლიტიკის განხორციელება, რომ მოვამზადოთ ნორმირებული ვაჭრობის გაუქმება.

ამისათვის ჩვენ დაგვჭირდება საცალო სავაჭრო ქსელის შემდგომი უფრო დიდი გაშლა. ეს შეეხება სამომხმარებლო კოოპერაციასაც, განსაკუთრებით, სოფლად და სახელმწიფო ვაჭრობასაც კომერციული ვაჭრობის ჩათვლით, ყველა სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების განყოფილებასა და, დასასრულ, საზოგადოებრივ კვებასაც. საგრძნობლად გაიშლება აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობა.

მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ყველა დარგის განვითარებით, მისი უზრუნველყოფით მაღაზიების და დუქნების მძლავრი ქსელით, რომლებიც ტექნიკურად სათანადოდ უნდა ეგუებოდეს როგორც მსხვილ, ისე წვრილ ვაჭრობას, მხოლოდ სახელმწიფო კოოპერატიული ვაჭრობის მთელი ორგანიზაციის ჭეშმარიტად გაუმჯობესებით და კადრების მირჩევით სავაჭრო ქსელისათვის, — შეიძლება გადაიჭრას ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები მეორე ხუთწლედის განმავლობაში. სწორედ იმიტომ, რომ ვაჭრობის გაუმჯობესების მხრით ჩვენ დღემდე ძალიან ნელა მივდიოდით წინ, მეორე ხუთწლედში ჩვენ ამ საქმეს მაგრად უნდა ჩავეჭიდოთ ხელი და გამოვიყვანოთ ის სწრაფი აღმავლობის ფართო ბოლშევიკურ გზაზე. ამ ამოცანის, როგორც მახლობელი წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანის, ბოლშევიკურად გადაჭრა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა მართლაც გავაუმჯობესოთ მუშებისა და გლეხების მომარაგების საქმე. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა სამუშაო ხელფასის გადაჭრით აწევის გზით და მუშათა მომარაგების გაუმჯობესებით კიდევ უკეთ უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის აღმავლობის პროგრამა და მისი პროდუქციის სწრაფი ზრდა. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, და უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ამოცანის გადაჭრით ჩვენ უაღრესად ვამაგრებთ მუშებისა და გლეხების კავშირს — სოციალიზმის გამარჯვების ამ საფუძველს.

ამხ. სტალინმა მოგვცა ჩვენს პირობებში გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის მნიშვნელობის შესანიშნავი შეფასება. ამხ. სტალინმა გამანადგურებლად გაამათრახა როგორც ბატონკაცურ - ქედმაღლური დამოკიდებულება საბჭოთა ვაჭრობისადმი, ისე „მემარცხენე“ წვრილბურჟუაზიული აბდაუბდა პროდუქტების გაცვლა-გამოცვლაზე დაუყოვნებლივ გადასვლის შესახებ.

ყოველივე ეს ხაზს უსვამს ჩვენს ამოცანებს ვაჭრობის მხრივ. კანცელარიულ - ბიუროკრატიული წესები სავაჭრო საქმის გაძღოლაში განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა იქნეს დაგმობილი. აქ ისინი იმდენად ძლიერია და იმდენად სუსტადაა გაშლილი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რომ პარტიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ამ კანცელარიულ - ბიუროკრატიულ უმსგავსობათა ლიკვიდაცია და ყოველმხრივი დახმარების გაწევა ყველა პატიოსანი მუშაკისა და საქმის ერთგული ბოლშევიკისადმი, რომლებიც შეუპოვრად მუშაობენ ვაჭრობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ჩვენ გვქვს შესანიშნავი წანამძღვარნი მუშებისა და გლეხთა მასების მატერიალური და კულტურული დონის სწრაფი აღმავლობისათვის. მთელი თავისი ღონისძიებებით სახელმწიფო აადვილებს სოფლისა და ქალაქის მშრომელთა კეთილდღეობის გაძლიერებას.

სახელმწიფოსა და პარტიის ღონისძიებები მიმართულია იქით, რათა ყოველდღიურად გაუმჯობესდეს მუშების შრომის პირობები გაადვილდეს მათი საწარმოო კვალიფიკაციის და საერთო კულტურული დონის ამაღლება. ეს კი თავის მხრივ საშუალებას მისცემს მთელს მუშათა მასას შრომის ნაყოფიერების განუხრელად გადიდებით უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე, წავიდეს წინ თავისი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების და კულტურული ზრდის გზით.

სახელმწიფოსა და პარტიის ღონისძიებები მიმართულია იქით, რათა საბჭოთა მიწის პირისაგან საბოლოოდ აღდგვილი იქნენ გლეხობის ექსპლოატატორთა ნაშთები და მოისპოს სოფლად ახალი წყობილებისადმი კულაკთა წინააღმდეგობის ყველა და ყოველგვარი ცდა; ამასთან ერთად ყოველმხრივ განმტკიცებული იქნან კოლმეურნეობები. მომარაგებული იქნან ისინი მანქანებითა და საუკეთესო ტექნიკით და უზრუნველყოფილი იქნეს კულტურული ცხოვრების სწრაფი ზრდა სოფლად. ეს ქმნის გაუგონრად ხელსაყრელ პირობებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის და კოლმეურნეთა მთელი მასის კულტურული და შეძლებული ცხოვრების უზრუნველსაყოფად და ახალი ბედნიერი ცხოვრებისაკენ ამ აღმავლობის ტემპებს უკავშირებს თვით კოლმეურნეთა ორგანიზებულობას და შრომის ნაყოფიერებას.

ყველა დაბრკოლება მუშებისა და გლეხების მატერიალური და კულტურული დონის [illegible] გზაზე დაძლეულია. მთელ ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით თვით მუშებს, თვით მშრომელ გლეხებს. ბოლოს და ბოლოს საქმე დამოკიდებულია ჩვენს მუშაობაზე, ჩვენს უნარზე მოვაწყოთ ბრძოლა დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

## IV. ბრძოლა ხუთწლედისათვის და პარტიის ხელმძღვანელობა

განვლილი პერიოდი მოწმობს მუშათა კლასის დაძაბულ ბრძოლას მტრულად განწყობილი კლასების ნაშთების წინააღმდეგ. იმისათვის, რომ გამარჯვებით მივიდეს მეორე ხუთწლედის ამოცანებთან, მუშათა კლასმა უნდა ჩამოიშოროს თავისი გზიდან ნეპმანური ბურჟუაზიის ნაშთები ქალაქებში, გაანადგუროს კულაკობა სოფლად და დღითიდღე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიას, რომელიც ჯერ კიდევ ასე ძლიერია ჩვენს ქვეყანაში.

ბოლშევიკურ პარტიაშიც კი აღმოჩნდნენ მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებმაც თავის წვრილ ბურჟუაზიულ მერყეობათა და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლით გამოხატეს მტრულად განწყობილი კლასების შემოტევა. „მემარცხენე“ ოპოზიციის დროშით, ისე როგორც ბოლშევიკურ ტემპებთან მემარჯვენე - უკლონისტური ბრძოლის დროშით, და, ბოლოს, აღნიშნული ჯგუფების და ფრაქციების ბლოკების დროშით — წარმოებდა ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზთან და ლენინურ ხელმძღვანელობასთან, რომლის სათავეში მუდამ იდგა, დგას და იდგომესა **ამხ. სტალინი (ტაში).** პარტიამ სახელოვნად მოიგერია ყველა იერიში და გაანადგურა მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპოზიციონერები. უამისოდ ჩვენ არც პარტია გვეყოლებოდა, არც სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებანი გვექნებოდა.

პარტიას და მუშათა კლასს შეეძლო ხელი მოეკიდნა პირველი ხუთწლედის საქმისათვის მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან გაანადგურა ტროცკისტული ოპოზიცია, რომელიც უარყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

ამ პორაჟენცული ჯგუფის ლიკვიდაციის გარეშე, იმ ჯგუფისა, რომელიც ცდილობდა დავებრუნებინეთ უკან, კაპიტალიზმისკენ, ჩვენ ფიქრიც კი არ შეგვეძლო იმ თავგანწირულ ბრძოლაზე, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და რომელმაც ძლევამოსილად მიიყვანა იგი ბოლომდე პირველ ხუთწლედში. ტროცკისტების განადგურებით პარტიამ დაიცვა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური დროშა. მხოლოდ მაშინ შეიქმნა მუშათა კლასის ფართო მასებში სრული რწმენა პარტიის პოლიტიკის სისწორისა და მასების ენტუზიაზმმა იწყო ზრდა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე თვითეული ნაბიჯის გადადგმის მიხედვით.

პირველი ხუთწლედისათვის ბრძოლა ვერ დამთავრდებოდა გამარჯვებით, პარტიას მერყეობა რომ [illegible] მემარჯვენეებთან ბრძოლაში, რომლებსაც აღებული ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკურ ტემპებზე ხელის აღების და კაპიტალიზმისათვის ხელ-ფეხის გახსნის გეზი. მემარჯვენეთა იერიშის პასუხად. პარტიამ გაშალა, მთელი ფრონტით კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა და ამ დროშის ქვეშ მოვიპოვეთ ჩვენ პირველი ხუთწლედის გამარჯვებანი. ბოლშევიკებმა დროზე გამოამჟღავნეს მემარჯვენე გადახრის ლიკვიდატორული რაობა და მისი კულაკური ხასიათი. მემარჯვენეებთან და „მემარცხენეებთან“ ბრძოლაში, მათი გადაგვარებული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიამ შეამჭიდროვა მუშათა კლასი და გლეხობის მილიონიანი მასები და გადაჭრა სოციალიზმის მშენებლობის უაღრესად ძნელი ამოცანა — სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა.

პირველი ხუთწლედის წარმატებებმა მთელი მსოფლიოს უფართოესი მასების წინაშე პრაქტიკულად დაადასტურა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა. სოციალიზმმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში და მისი საბოლოო გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის ყველა შინაგანი სიძნელე, რაგვარადაც დიდი უნდა იყონ ისინი, ვერ შეედრებიან იმ ნამდვილად უდიდეს სიძნელეებს, რომლებიც ჩვენ უკვე გადავლახეთ. ესაა პირველი ხუთწლედის გამარჯვების ძირითადი აზრი.

არ შეიძლება არ შევადაროთ ის, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობას.

აი, უკვე მეხუთე წელია, რაც კაპიტალისტური მსოფლიო ვერ ახერხებს დააღწიოს თავი ღრმა ეკონომიურ კრიზისს. მას შემდეგაც კი, რაც გასულ წელს რამდენადმე გაუმჯობესდა საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათი სამეურნეო ცხოვრების დონე ჯერ კიდევ გაცილებით დაბალია კრიზისის წინა 1929 წელთან შედარებით. საბჭოთა კავშირის და ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების სახალხო შემოსავლის დინამიკის მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საქმეები მათსა და ჩვენში:

### საბჭოთა კავშირის და ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების სახალხო შემოსავლის დინამიკა (პროცენტობით 1928 წლის მიმართ) *)

| ქვეყნები: | 1928 წ. | 1929 წ. | 1932 წ. | 1937 წ. (გეგმა) |
|---|---|---|---|---|
| საბჭოთა კავშირი | 100 | 115,6 | 182,0 | 432,0 |
| ინგლისი | 100 | 103,8 | 83 1 | — |
| გერმანია | 100 | 101,8 | 61,4 | — |
| ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები | 100 | 103,4 | 43,6 | — |

---

*) წყაროები: ინგლისისათვის—ერთა ლიგა „1932—1933 წ. მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობა“.

გერმანიისათვის—„ვირტშაფტ უნდ სტატისტიკ“ № 22—1933 წ. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებისათვის — „ეკონომისტი“ 18 მარტი 1933 წ. („ნეიშენელ ინდუსტრიალ კონფერენს ბორდის“ ცნობები).

---

ცხრილიდან ჩანს, რომ 1928 წლიდან 1932 წლამდე ინგლისის სახალხო შემოსავალი შემცირდა 16,9 პრ., გერმანიის სახალხო შემოსავალი—38,6 პროც., ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა—56,4 პრ. როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყანაში სახალხო შემოსავალი ყველაზე მეტად შემცირებულა. მხოლოდ საბჭოთა კავშირში სახალხო შემოსავალი ამ პერიოდში გაიზარდა 82 პროც.

ჩვენ არ შეგვიძლია შევადაროთ საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტური ქვეყნების სახალხო შემოსავლის დინამიკა ხუთწლედის 1933—1937 წლების განმავლობაში.

კაპიტალისტურ ქვეყნებს არ აქვთ არც ხუთწლედი, არც ნათელი პერსპექტივები. არა გვგონია, კაპიტალისტურ სახელმწიფოების ბევრ ხელმძღვანელს იმედი ჰქონდეს, რომ თუნდაც ამ პერიოდის დამლევს მიაღწევენ 1928 წლის დონეს. სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში, ჩვენ გვაქვს ნათელი პერსპექტივა, რომელსაც გვაძლევს მეორე ხუთწლედი. ჩვენ მივდივართ სახალხო შემოსავლის სწრაფი აღმავლობის გზით ჩვენ ამოცანად ვისახავთ სახალხო შემოსავალი 1932 წელთან შედარებით გავადიდოთ 244 პროც., ხოლო 1928 წელთან შედარებით—332 პროცენტით.

მე აღარ მოვიხსენიებ მრავალ ფაქტს, რომელიც მოწმობს საწარმოო ძალთა უდიდეს ნგრევას კაპიტალისტურ ქვეყნების კრიზისის პერიოდში.

ასეთი ფაქტი ძალიან ბევრია და ყველა ისინი მოწმობენ სამრეწველო წარმოების უდიდეს დაცემას, საწარმოო აპარატის კოლოსალურ უმოქმედობას, ახალი მშენებლობის შემცირებას, ბევრ შემთხვევაში კი მათ სრულიად შეწყვეტას მრეწველობასა და ქალაქებში, მსოფლიო ვაჭრობის კატასტროფულად დაცემას, მუშათა კლასის უამრავ მსხვერპლს, მუშების უმუშევრობას და სილატაკეს. სოფლის გაღატაკებას და სოფლის მეურნეობის დაცემას. საკმაოა აღინიშნოს, რომ 1933 წ. ივნისში შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო „კანონი სახალხო მეურნეობისათვის ხელშეწყობის და მისი აღდგენის, კერძო კონკურენციის წახალისების შესახებ და სხვ.“ და ეს კანონი იწყებოდა შემდეგი სიტყვებით:

„დასტურდება, რომ ადგილი აქვს ნაციონალურ უბედურებას, რომელიც გამოიხატება მასობრივ უმუშევრობასა და წარმოების დეზორგანიზაციაში. ეს უბედურება მძიმე ტვირთად აწვება, როგორც ვაჭრობას შტატებს შორის, ისე საგარეო ვაჭრობას, ზიანს აყენებს საერთო კეთილდღეობას, აუარესებს ამერიკის ხალხის საარსებო დონეს და სხვ.“

ეს სიტყვები „ნაციონალური უბედურების“ და ხალხის საარსებო დონის გაუარესების შესახებ უმდიდრეს კაპიტალისტურ ქვეყანაში თავისთავად ღაღადებს. მათი მნიშვნელობა უფრო დიდია, რომ ისინი წარმოთქმულია თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ხელმძღვანელების მიერ.

ჩვენ კი ჩვენს ამოცანათ მიგვაჩნია მეორე ხუთწლედის გამარჯვებისათვის ბრძოლა.

მეორე ხუთწლედში ჩვენი ამოცანები გიგანტურ პროგრამად იშლება. ეს პროგრამა, როგორც ნათქვამია ამ ყრილობის თეზისებში, უზრუნველყოფს:

„ა) კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაციას, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების საბოლოო ლიკვიდაციას გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის სავსებით დამთავრების და ყველა შინამრეწველის კოოპერირების საფუძველზე; საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მრავალ წყობიანობის ლიკვიდაციას და წარმოების სოციალისტური საშუალების, როგორც წარმოების ერთადერთი საშუალების, დაწესებას ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევას სოციალისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებლებად;

ბ) საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებას იმ ბაზაზე, რომელიც შექმნილია პირველი ხუთწლედის პერიოდში და რომელიც მიდის საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის (მძიმე მრეწველობის) სწრაფი განვითარების გზით;

გ) მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის უფრო სწრაფად ზრდას და ამასთან მთელი საბინაო და კომუნალური საქმის გადაჭრით გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირში;

დ) პროლეტარული დიქტატურის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის საფუძველზე კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ე) ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის შემდგომ განმტკიცებას“.

ასეთი პროგრამა ხუთწლედში შეუძლია დაისახოს ხოლოდ ძლევამოსილი სოციალიზმის ქვეყანას. მაგრამ საქმე მარტო პროგრამის შემუშავება როდი არის. პროგრამის შემუშავება და გულხელდაკრეფა ნიშნავს საქმის დაღუპვას, პროგრამის დასამარებას. პროგრამის შემუშავებით ჩვენ მხოლოდ საქმეს ვიწყებთ. მთავარია ბრძოლის გამართვა პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის.

ამ ბრძოლას მართავს ჩვენი პარტია. პარტია აწყობს და ხელმძღვანელობს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების მთელ საქმეს, უკლასო საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის იარაღს პარტიის ხელში წარმოადგენს პროლეტარული სახელმწიფოს მთელი აპარატი.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია მოსპოს კლასები და შექმნას სოციალიზმი, თუ იგი არ დაამსხვრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მანქანას, მარქსიზმი გვასწავლის აგრეთვე იმას, რომ მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის მიერ შექმნილ სახელმწიფოს შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს კლასების მოსპობის საქმე და უზრუნველყოს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება და ამში ბოლომდე ამოწუროს ახალი პროლეტარული სახის სახელმწიფო აპარატის საუკეთესო შესაძლებლობანი. სახელმწიფოს ანარქისტულ უარყოფაში ჰპოვა თავისი გამოხატულება ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალური ჯგუფების უძლურებამ და სასოწარკვეთილებამ, —ჯგუფებისა, რომლებიც ამოგდებული არიან კალაპოტიდან და მომავლის გზა დაუკარგავთ. მარქსისტულ დამოკიდებულებაში **პროლეტარული** სახელმწიფოსადმი, როგორც სოციალიზმის მშენებლობის გადამწყვეტი იარაღისადმი, მოცემულია ნათელი პერსპექტივა კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის მანძილზე ჩვენს სახელმწიფოში ცოტა ცვლილებანი როდი მოხდა. გავიხსენეთ, თუ რას ამბობდა ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში, 1923 წელს. ლენინი ამბობდა: „ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში სოციალური წყობილება ემყარება ორი კლასის—მუშების და გლეხების თანამშრომლობას, რომელთანაც ახლა განსაზღვრულ პირობებში მიშვებული არიან „ნეპმანებიც“, ე. ი. ბურჟუაზია“. ლენინის ამ ფორმულაში ზუსტადაა გამოხატული ის, თუ როგორი იყო ჩვენი სახელმწიფო რაღაც 10—12 წლის წინათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მუშათა კლასის ბრძოლამ ლენინური პარტიის დროშით უზრუნველყო ჩვენთვის სოციალისტური წყობის განუყოფელად გაბატონებული მდგომარეობა, „ნეპმანისა და კულაკისათვის ე. ი. ბურჟუაზიისათვის მცირე ადგილიც კი არ დარჩენილა ჩვენს სოციალისტურ წყობილებაში. საბჭოთა კავშირის პროლეტარულმა სახელმწიფომ ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ სწორედ ახლა პროლეტარულ სახელმწიფოს, როგორც მუშათა კლასის და მისი პარტიის ხელში უკლასო საზოგადოების აშენების იარაღის როლი, სრულად ვითარდება. და ამიტომაც ასე მწვავედ დადგა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებთან ბრძოლის საკითხი, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალიზმის ნაშთების უდიდეს გამოხატულებას მმართველობის სისტემაში.

წერილში „ლენინიზმის საკითხებისათვის“ ამხ. სტალინმა მთელი სიცხადით გააშუქა, თუ რაში გამოიხატება პროლეტარული დიქტატურა. მან აღნიშნა პროლეტარიატის დიქტატურის სამი ძირითადი მხარე: 1) პროლეტარიატის ხელისუფლების გამოყენება ექსპლოატატორების დათრგუნვისათვის, ქვეყნის თავდაცვისათვის სხვა ქვეყნების პროლეტარებთან კავშირის განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისათვის; 2) პროლეტარიატის ხელისუფლების გამოყენება ბურჟუაზიისაგან მშრომელი და ექსპლოატირებული მასების საბოლოო მოწყვეტისათვის ამ მასებთან პროლეტარიატის კავშირის განსამტკიცებლად, სოციალისტური მშენებლობის საქმეში ამ მასების ჩაბმისათვის, პროლეტარიატის მხრივ ამ მასებისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობისათვის; 3) პროლეტარიატის ხელისუფლების გამოყენება სოციალიზმის ორგანიზაციისათვის, კლასების მოსპობისათვის, უკლასო საზოგადოებაში. უსახელმწიფო საზოგადოებაში გადასვლისათვის“.

ეს ძირითადი ამოცანები ახლაც დგას პროლეტარული დიქტატურის წინაშე.

მეორე ხუთწლედის პროგრამა იძლევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების გეზს. თქმა არ უნდა, წარმტაცი პროგრამაა, რომელიც მილიონებს ყოველგვარი ბრძოლისათვის რაზმავს.

მაგრამ წარსულის ძალა, ჩვეულებათა ძალა, კაპიტალიზმის ნაშთების ძალა ადამიანთა შეგნებაში, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ დაბეჩავებული იყვნენ ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის ტრადიციებით, ისეთია, წვრილბურჟუაზიულ განწყობილებათა სიცოცხლისუნარიანობა თვით მშრომელთა მასებში, პარტიის ზოგიერთ ფენაშიც კი ისეთია, რომ ჩვენს საბრძოლო ლოზუნგს კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების სრული ლიკვიდაციის შესახებ ხშირად გებულობენ, როგორც კლასობრივი ბრძოლის დასასრულს, როგორც თვითდამშვიდების და იარაღზე ხელის აღების საბაბს. ასეთი ელემენტების საკმაო რაოდენობით არსებობა, რომელთაც სურთ გაჰყვნენ მდინარებას, საქმე მიანდონ თვითდინებას, ჩაეყლონ „[illegible]“ ქაოსში (გამოცოცხლება)...

ამიტომ არის, რომ პარტია და, უწინარეს ყოვლისა, ამხ. სტალინი ყოველ ნაბიჯზე სპობენ ამ განწყობილებათა „პოპულარობას“ და თვითდინების გმირების „დიდებას“, პარტია გადმოგვიშლის უკლასო საზოგადოების აშენების აზრს და ამოცანებს, როგორც კაპიტალიზმის ნაშთებთან, გამარჯვებული მუშათა კლასის შინაურ და გარეშე მტრებთან, მშრომელთა ყველა და ყოველგვარ მტერთან შეუპოვარი, ნამდვილად გმირული ბრძოლის ამოცანებს.

ამიტომაც პარტიის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს მუშათა კლასის რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება, მასების კიდევ უფრო მეტი მობილიზაცია სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეებთან ბრძოლისათვის, პროლეტარული დიქტატურის ყოველმხრივ გაძლიერება მტრების, მტრული კლასების ნაშთების წინააღმდეგ. ამისათვის ჩვენ გვესაჭიროება „პროლეტარიატის ძლიერი და მძლავრი დიქტატურა“ (სტალინი). ამ სიძლიერისა და ძლიერების მნიშვნელობას ჩვენ მით უფრო მეტად უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დგას და კიდევ დიდხანს იდგომება საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო თავდასხმებისაგან თავდაცვის ამოცანები.

არა მარტო ამისათვის გვესაჭიროება პროლეტარული დიქტატურის ძლიერება. ეს ძლიერება, დამყარებული უაღრესად განვითარებულ ინდუსტრიასა და მთელი თანამედროვე ტექნიკის გამოყენებაზე, ჩვენ გვესაჭიროება მთელი სახალხო მეურნეობის, მათ შორის მისი ყველაზე ჩამორჩენილი დარგის—სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და ტექნიკურად შეიარაღებისათვის. ის გვესაჭიროება აგრეთვე იმისათვის, რათა მოვაწყოთ ახალი კულტურის მშენებლობა და გიგანტური მუშაობა მასების ხელახალი სოციალისტური აღზრდისათვის.

ჩვენს სახელმწიფოს ეწოდება მუშურ - გლეხური სახელმწიფო, რადგან ის ეყრდნობა მუშებისა და მშრომელი გლეხების კავშირს. ჩვენი სახელმწიფო —პროლეტარული სახელმწიფოა, რადგან მის ხელმძღვანელ ძალას. წარმოადგენს მუშათა კლასი. მუშათა კლასის ხელმძღვანელობა გლეხთა მასების მიმართ ამჟამად გამოიხატება უდიდეს ორგანიზაციულ-სამეურნეო და კულტურულ დახმარებით და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმის ორგანიზაციით, მუშათა კლასის ხელმძღვანელობა ამასთან მიმართულია იქით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს ინტერესები, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის მთავარი ინტერესები. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ახლა, როცა კოლმეურნეთა რიგებს ემატებიან გლეხების ყველაზე ჩამორჩენილი ჯგუფებიც, რომლებზედაც ჯერ კიდევ გუშინ ძლიერი გავლენა ჰქონდა კულაკობას და კაპიტალიზმის სხვა ნაშთებს. მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის მთელს აპარატზე დაყრდნობით და მასების სოციალისტურად აღზრდის მუშაობის კიდევ უფრო გაშლებით ჩვენი პარტია ღირსეულად შეასრულებს ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და მშრომელი გლეხების, ისე როგორც მუშათა მთელი მასების ახალი უკლასო საზოგადოების შეგნებულ აქტიურ მშენებლებად გადაქცევის ამოცანას.

ჩვენი პარტიის ხელში პროლეტარული დიქტატურა ამასთან ერთად წარმოადგენს თვით მუშების ორგანიზაციისა და აღზრდის მძლავრ აპარატს. მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა ხელთ იგდო ძალაუფლება, მას საშუალება მიეცა ბოლომდე შეესრულებინა კაპიტალისტური წყობილების არა მარტო მესაფლავის, არამედ სოციალისტური საზოგადოების ორგანიზატორის როლიც. მის წინაშე ამასთან ერთად წამოიჭრა ამოცანა „დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები მუშების იმ ნაწილისა, ჯგუფებისა და ფენებისაგან, რომლებიც დაჟინებით მისდევენ კაპიტალიზმის „ჩვეულებებს“ და წინანდებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: „მივცეთ „მას“ რაც შეიძლება ნაკლები და ცუდი ნამუშევარი და რაც შეიძლება მეტი ფული წავგლიჯოთ „მას“ (ლენინი). ამით გამოიხატება ჩვენს პირობებში კლასობრივი ბრძოლის თავისებური გამოვლინება. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს თუნდაც იმიტომ, რომ მუშათა კლასს ახლა ემატებიან არაპროლეტარული ფენებიდან გამოსული მილიონები. გაძლიერებული მუშაობით მუშების ჩამორჩენილ ჯგუფებისა და მუშების მთელი მასის სოციალისტურად აღზრდისათვის, სოციალიზმის შეგნებულ მშენებლებად გადაქცევისათვის ჩვენ უზრუნველვყოფთ პროლეტარული დიქტატურის, როგორც ახალი საზოგადოების შექმნისათვის გადამწყვეტი იარაღის განმტკიცებას. ჩვენი ძალა ისაა, რომ მუშების უდიდესი მასა უკვე ჩადგა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ მშრომელთა შეგნებაში არსებულ კაპიტალიზმის ნაშთებთან შეგნებულ და აქტიურ მებრძოლთა რიგებში. ამ ბრძოლაში მუშათა კლასი მთლიანად გადის სოციალისტური აღზრდის სკოლას, ურომლისოდაც მშრომელთა ავანგარდსაც კი არ შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების საქმე.

მთელი ამ გარდაქმნის და ახალი საზოგადოების შექმნის ხელმძღვანელობა ჩვენი პარტიის ხელშია. ჩვენი მშენებლობის წარმატებებით და გამარჯვებით პარტიას სამართლიანად შეუძლია იამაყოს. ის აწყობს მას, ის უდგას სათავეში მშრომელებს, რომლებიც აგებენ - სოციალიზმს.

(გაგრძელება იხ. მე-6 გვ.)

კომუნისტი

ხუთშაბათი, 8 თებერვალი 1934 წ. № 33 (3889)

## ამხ. მოლოტოვის მოხსენების დასასრული

პარტიაში ამასთან ერთად ძლიერია ამ მეურნეობის ცალკეული დარგების ნაკლოვანებათა და ჩამორჩენისათვის პასუხისმგებლობის შეგნება.

აი ამიტომაც პირველი ხუთწლედის გამარჯვებათა შემდეგ პარტია არათუ არ ჰკვეცავს პროლეტარული თვითკრიტიკის საქმეს, არამედ, პირიქით, თვითკრიტიკის იარაღს იყენებს სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლისათვის. მე-17 ყრილობამ ცხადყო, რომ პარტიას მაღლა უჭირავს თვითკრიტიკის დროშა ჩვენი მუშაობის ყველა და ყოველგვარ ნაკლოვანებასთან ბრძოლაში. ხოლო გუშინდელი უკლონისტების სიტყვების გამო უნდა ვთქვათ: — საქმე ახლა [illegible] და წინანდელი შეცდომების შესახებ მარტო სიტყვები კი არაა, არამედ საქმე იმის სურვილია, რომ ჩაება ბრძოლაში და ჰპოვო შენთვის ადგილი სოციალიზმის თავდადებულ მშენებელთა რიგებში.

ვღებულობთ რა მეორე ხუთწლედის პროგრამას, ჩვენ ამავე დროს მე-17 ყრილობაზე ვაყენებთ პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ორგანიზაციულ საკითხებს, რომელთა პრაქტიკულად გადაჭრაზე დამოკიდებული იქნება ახალი ხუთწლედის პროგრამის ნამდვილად შესრულება. ახლა, როცა პარტიის პოლიტიკის სისწორის შეგნება მრავალი მილიონი მუშისა და გლეხის შეგნებაში ფართოდ დაინერგა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამმართველო აპარატის გაუმჯობესების ამოცანებს, ჩვენი მშენებლობის ორგანიზაციულ საკითხებს და პრაქტიკულ ბრძოლას ყოველგვარი სახის ბიუროკრატიზმთან.

⁂

მაშასადამე, ჩვენს ხელთაა აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლებიც მხოლოდ ახლა როგორც ეს საჭიროა, ემსახურება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, მშრომელთა მთელი მასის ინტერესებს. ჩვენ უკვე შევქმენით ინდუსტრია, რომელსაც მოკლე ვადაში შეუძლია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური შეიარაღების განხორციელება და სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის ამოცანას ვაყენებთ მეორე ხუთწლედის ამოცანათა სათავეში. ჩვენ დავამთავრეთ სოფლის მეურნეობის სარეორგანიზაციო პერიოდის გადამწყვეტი ნაწილი და ახლა საშუალება გვაქვს უზრუნველვყოთ საკოლმეურნეო სოფლის აღმავლობის გაუგონარი ტემპები. ჩვენ განუხრელად მივდივართ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საარსებო დონისა და კულტურის აღმავლობის გზით და ახლა საშუალება გვაქვს ამ საქმეში წინ წავიდეთ უფრო სწრაფად, ვიდრე ყველა გასულ წლებში. მუშებისა და გლეხების მილიონები შეირაზმნენ სოციალიზმის მშენებელთა შემჭიდროვებულ რიგებად. მათ ურყევად სჯერათ იმ გზის სისწორე, რომლითაც ისინი მიჰყავს ჩვენს პარტიას. იზრდება მშრომელთა მასებში აქტიობა და ინიციატივა უკლასო სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის საბრძოლველად. გაიზარდა და იზრდება ყოველდღე სოფლად და ქალაქად ჩვენი მშენებლობის ხელმძღვანელთა გამოცდილება. ქარხნებსა და კოლმეურნეობებზე დაყრდნობით, პროლეტარული დიქტატურის მთელს აპარატზე დაყრდნობით პარტია აწყობს ბრძოლას კლასების ლიკვიდაციისათვის, მას მიჰყავს ჩვენი ქვეყნის მშრომელები უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნისაკენ.

არ არის ისეთი დაბრკოლება, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ან შეაფერხოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოძრაობა გამარჯვებისაკენ მეორე ხუთწლედში, გამარჯვებისაკენ, რომლის ორგანიზაცია ჩვენი პარტიის ხელშია, არავითარი მტრები, რამდენიც რამდენსაც უნდა ეცადონ მეორე ხუთწლედის გამარჯვების ჩაშლას, ჩვენთვის საშიში არ არიან. პარტია, რომელმაც ჩაატარა მრავალი ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნიზმთან, მობილიზებულია, რათა მომავალშიაც გაანადგუროს ოპორტუნიზმი თეორიასა და პრაქტიკაში.

ჩვენ მივდივართ გამარჯვებისაკენ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით. ჩვენ გავიმარჯვებთ ამ დროშით, რომელიც წინ მიაქვს ბოლშევიკურ პარტიას, დროშით, რომელიც რკინის ხელში უჭირავს მუშათა კლასის და ლენინური პარტიის ბელადს და სიამაყეს ამხ. სტალინს. **(მქუხარე ტაში)**

გაუმარჯოს მეორე ხუთწლედის სრულ გამარჯვებას!

**(მქუხარე ტაში, რომელიც დიდხანს გრძელდება. ყველანი ფეხზე დგებიან).**

## ყრილობის დღიური

8 თებერვლის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. **ჩუბარი.** გრძელდება კამათი მეორე ხუთწლედის გეგმის შესახებ ამხ. **მოლოტოვის** და **კუიბიშევის** მოხსენებათა ირგვლივ.

კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **ივანჩენკომ** (ვოსტოკსტალი), ამხ. **ზელენსკიმ** (ცენტროსოიუზი). შემდეგ ყრილობას მიესალმა ამხ. სტალინის სახელობის ავტოქარხნის დელეგაცია. ტრიბუნაზეა ამხ. **ბარსუკოვი,** რომელიც უპატაკებს ყრილობას ქარხნის 22 ათასიანი პროლეტარული კოლექტივის სახელით და მოუთხრობს იმ გამარჯვებებზე, რომლებიც მოიპოვა ქარხნის მუშათა კოლექტივმა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის — ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით. ამხ. **ბარსუკოვმა** ავტოქარხნის მუშების სახელით უძღვნა ყრილობას საბარგო ავტომობილისა და ავტობუსის მოდელი.

ქ. ტულის 100 მელითონეთა სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **არტემოვი** და გადასცა პრეზიდიუმს, ამხ. სტალინს ტულის მუშების საჩუქარი. შაშხანა-თოფი „სნაიპერი", ახალი ტიპის გაუმჯობესებული სანადირო კარაბინი, მცირე ყალიბის ნაგანი, [illegible] მაუზერი. ამხ. **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე** გულდასმით ათვალიერებენ ტულელების საჩუქარს.

ტულის მელითონეთა წარმომადგენელს ტრიბუნაზე სცვლის მოსკოვის კოლმეურნეთა წარმომადგენელი ამხ. **ნოვოსელოვი,** რომელიც განსაკუთრებული სიცხადით მოუთხრობს ყრილობას და ამხ. **სტალინს** საკოლმეურნეო სოფლის მიღწევების შესახებ.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. როზენგოლცი თავის სიტყვას უძღვნის იმ მიღწევებს, რომლებიც აქვს პარტიას საგარეო ვაჭრობის დარგში. შემდეგ გამოდის ამხ. **ბუდიონი,** რომელსაც მთელი დარბაზი ტაშით ხვდება. თავის სიტყვაში ამხ. ბუდიონი შეჩერდა მეცხოველეობის საკითხებზე. ამხ. ჟუკოვი (კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატი) თავის სიტყვაში აღნიშნავს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც არსებობენ კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატის მუშაობაში და მეორე ხუთწლედში კავშირგაბმულობის წინაშე მდგომ ამოცანებს. უკანასკნელად კამათში გამოვიდა ამხ. **ლ. კამენევი,** რის შემდეგ ყრილობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს კამათი.

საბოლოო სიტყვა მიეცა ამხ. **მოლოტოვს.** ყველა დელეგატი ფეხზე დგება და ამხ. მოლოტოვის ტრიბუნაზე გამოჩენას ხვდება მქუხარე ტაშით და შეძახილით „ვაშა".

ამხ. **ჩუბარის** წინადადებით ყრილობა ერთხმად ადგენს: **თეზისები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ იქნას საფუძვლად და გადაეცეს კომისიას განსახილველად. ყრილობაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის გათვალისწინებით.**

ყრილობა ერთხმად ირჩევს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **მოლოტოვი, სტალინი, კაგანოვიჩი, კუიბიშევი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, კიროვი, კოსიორი, მიქოიანი, იაკოვლევი, ლიუბიმოვი, ანდრეევი, პიატაკოვი, მეჟლაუკი, ჩუბარი, გოლოდედი, ისაევი, მუსაბეკოვი, კაბაკოვი, გრიადინსკი, სულიმოვი, რახიმბაევი, რიაბინინი, პახომოვი, მაისტერი, რუძუტაკი, შვერნიკი, იურკინი.**

სხდომის დასასრულს ამხ. **ენუქიძემ** განაცხადა, რომ 9 თებერვალს, დღის 12 საათზე, წითელ მოედანზე, მე-17 პარტყრილობის დელეგატების პატივსაცემად შედგება მოსკოვის გარნიზონის ჯარის ნაწილების აღლუმი (ადს).

## გაზ. „კოლექტივიზაცია"-ს რედაქციას

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი ესალმება გაზეთ „კოლექტივიზაცია"-ს მისი მეათასე ნომრის გამოსვლის დღეს.

გაზეთ „კოლექტივიზაცია" იყო და არის პარტიის აქტიური თანაშემწე სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის მედგარ ბრძოლაში.

ც. კ-ი დარწმუნებულია, რომ გაზეთი „კოლექტივიზაცია" შემდეგშიც შეძლებს ბოლშევიკურად იბრძოლოს პარტიის გადაწყვეტილებებისა და პარტიის ბელადის ამხ. **სტალინის** ლოზუნგის „გადავაქციოთ კოლმეურნეები შეძლებულებად, ხოლო კოლმეურნეობები ბოლშევიკურად" განხორციელებისათვის.

**საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი.**

## ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება

### საბჭოთა კავშირსა და ჰუნგრეთს შორის

**რომი,** 6 თებერვალი. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იტალიაში ამხ. **პოტიომკინმა** და ჰუნგრეთის საგანგებო ელჩმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ანკარაში **უნგერტ-არნოტიმ,** რომელიც ჰუნგრეთის მთავრობამ რომში სპეციალურად გაგზავნა, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მიმართეს ერთმანეთს ნოტებით საბჭოთა კავშირსა და ჰუნგრეთს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

უნგრეთის ნოტაში ნათქვამია:

**„ბატონო ელჩო! ჩემი მთავრობის დავალებით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ ჰუნგრეთის სამეფოს მთავრობამ გადაწყვიტა ამ ნოტების გაცვლა-გამოცვლის მომენტიდან დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან და დაარსოს იქ დიპლომატიური წარმომადგენლობა.**

**ჰუნგრეთის სამეფოს მთავრობა გამოთქვამს მტკიცე იმედს, რომ ჩვენს ხალხთა შორის ასეთი ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს მათ შორის მეგობრულ დამოკიდებულების შენარჩუნებას და საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს.**

მიიღეთ და სხვა.

რომი. 1934 წლის 4 თებერვალი.

**დოქტორ მიზად უნგერტ-არნოტი, ჰუნგრეთის სამეფოს საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი ანკარაში".**

საბჭოთა კავშირის ნოტაში ნათქვამია:

**„ბატონო მინისტრო! ჩემი მთავრობის დავალებით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა ამ ნოტების გაცვლა-გამოცვლის მომენტიდან დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა ჰუნგრეთის სამეფოსთან და დაარსოს იქ დიპლომატიური წარმომადგენლობა.**

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობა გამოთქვამს მტკიცე იმედს, რომ ორ ხალხს შორის ურთიერთობის ასე დამყარება ხელს შეუწყობს მათ შორის მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნებას და საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს.**

მიიღეთ და სხვა.

რომი. 1934 წლის 4 თებერვალი.

**ვლადიმერ პოტიომკინი, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში.**

## გადადგა დალადიეს მთავრობა

### დემონსტრაციები პარიზში--ახალი მთავრობის შედგენა მიენდო დუმერგს

**დალადიეს მთავრობის გადადგომა**

**პარიზი,** 7 თებერვალი. გადადგა დალადიეს მთავრობა (ადს).

**პალატის მღელვარე სხდომა დალადიეს გადადგომის წინ**

**პარიზი,** 7 თებერვალი. პალატის სხდომა, რომელზედაც **დალადიემ** მთავრობის დეკლარაცია გამოაქვეყნა, განსაკუთრებით მღელვარე ხასიათს ატარებდა. დეკლარაციის კითხვის მთელი ხნის განმავლობაში მემარჯვენეები ყვიროდნენ, სტვენდნენ და ხმაურობდნენ. მემარცხენეთა სკამებიდან გაისმოდა საპასუხო რეპლიკები და მუქარა. მემარჯვენეთა მთელი ცდა, რომ დაემხოთ კაბინეტი, დამარცხდა. სამჯერ დაისვა კენჭის საყრელად მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი და დალადიემ სამჯერვე მოახერხა უმეტესობის მიღება. მემარჯვენეები ცდილობდნენ მთავრობისათვის პირველი ბრძოლა გაემართათ პროცედურის საკითხზე და მოითხოვდნენ ყველა შეტანილი შეკითხვის დაუყოვნებლივ განხილვას.

დალადიე, რომელსაც წინადღით რადიკალ-სოციალისტური ფრაქციამ ნდობა გამოუცხადა და რომელიც დარწმუნებული იყო სოციალისტების და ნეოსოციალისტების მხარის დაჭერაში, კატეგორიულად უარს ამბობდა. ის მოითხოვდა რომ პალატას გამოეყო მხოლოდ ოთხი საკითხი დაუყოვნებლივი განხილვისათვის, ამასთან მან დასვა ნდობის საკითხი. პალატამ მიიღო წინადადება და დალადიეს ნდობა გამოუცხადა.

სხდომის განახლების შემდეგ დეპუტატებმა [illegible] და ვალიამ კვლავ დაიწყეს ყვირილი. ისინი მოითხოვდნენ მათი შეკითხვების დაუყოვნებლივ განხილვას. ვალია წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, რომ შეუერთდებოდა პალატის წინ მიმდინარე ფაშისტურ დემონსტრაციას. დალადიემ პროტესტი განაცხადა პალატაზე ასეთი ზემოქმედების წინააღმდეგ, მოითხოვა მიღებული პროცედურის დაცვა და კვლავ დასვა ნდობის საკითხი.

მემარჯვენეებმა **ტარდიეს** მეთაურობით ისევ მოაწყვეს ობსტრუქცია, ასტეხეს საშინელი ხმაური, ყვიროდნენ, აბრახუნებდნენ პიუპიტრებს, არ აძლევდნენ დალადიეს ლაპარაკის საშუალებას, მოითხოვდნენ კვლავ კენჭი ეყარათ საკითხისათვის ინტერპელაციის განხილვის წესით. თავმჯდომარე იძულებული იყო შეეწყვიტა სხდომა 20 წუთით. სხდომის განახლების შემდეგ პალატამ კვლავ ნდობა გამოუცხადა მთავრობას. დალადიემ წინადადება შეიტანა გადადოთ ყველა საკითხის განხილვა და მესამეჯერ დასვა მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების საკითხი.

სხდომას თან სდევდა არაჩვეულებრივად მღელვარე დემონსტრაციები ქუჩაში, რაც **დამთავრდა სისხლისმღვრელი შეტაკებებით.** ფაშისტურმა ორგანიზაციებმა მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოაწყვეს ლოზუნგით: „გაუმარჯოს კიაპს". კომპარტიამ და უნიტარულმა პროფკავშირებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, ისინი მოითხოვდნენ კიაპის დაპატიმრებას და პოლიტიკური პოლიციის და ყველა ფაშისტური ორგანიზაციის დაშლას.

**დემონსტრანტებმა დაიკავეს მოედანი მუნიციპალიტეტის წინ, ოპერის მოედანი, სადგურის განაპირა მოედნები და მთელი რიგი ბულვარები, რამდენიმე ადგილას გადააყირავეს ავტობუსები და აღმართეს ბარიკადები, ფაშისტებმა პროვოკაციული მიზნით სცადეს საზღვაო სამინისტროსათვის ცეცხლის წაკიდება.**

ხელისუფლების წარმომადგენლებმა დემონსტრანტებთან საბრძოლველად მობილიზაცია უყვეს **დიდძალ სამხედრო ნაწილებს და 10 ათას-ზე მეტ პოლიციელს,** მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ვერ შეაჩერეს დემონსტრანტების სვლა პალატისაკენ. მთელს ქალაქში **გააფთრებული შეტაკებები** სწარმოებდა **დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის.** ოფიციალური ცნობების მიხედვით, **დაჭრილია 600-ზე მეტი და მოკლულია 6.** პოლიცია დემონსტრანტების წინააღმდეგ იბრძოდა ამოწვდილი ხმლებით, ისროდა რევოლვერებიდან და ჰკრიდა პეტარდებს.

სხვა ცნობებით, მოკლულთა რიცხვი 16-დე აღწევს. დაჭრილთა შორის, ოფიციალური ცნობების მიხედვით, დაახლოებით 200 პოლიციელია. პოლიციის პრეფექტის თანაშემწე **მარშანი** ტყვიით დაჭრილია თავში. საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით. ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. დაპატიმრებულია დაახლოებით 350 დემონსტრანტი, განსაკუთრებით მწვავე იყო შეტაკებები პალატის წინ, დემონსტრანტები ცდილობდნენ შეჭრილიყვნენ შენობაში. მხოლოდ ქვეითა ბატალიონის გამოძახების შემდეგ შესაძლებელი გახდა დემონსტრანტების უკან დახევა მოედანისაკენ.

პალატის სხდომის დამთავრების შემდეგ შესდგა კაბინეტის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ინფორმაცია მომხდარი ამბების შესახებ. მთავრობამ გადაწყვიტა მიიღოს მთელი რიგი ახალი ღონისძიებები პოლიციის გასაძლიერებლად და „წესრიგის უზრუნველსაყოფად". პოლიციის პრეფექტმა ბრძანება გამოსცა ქუჩაში ყოველგვარი დემონსტრაციის და პროცესიის აკრძალვის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას იცავს ორი ქვეითა ასეული.

მთავრობის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე რუანში, ლიონში, ლილში, ნანსიში, ნანტში.

---

სენატში მთავრობის დეკლარაციის კითხვა, რომელიც გამოაქვეყნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **პენანსიემ,** მშვიდობიანად ჩატარდა. მიუხედავად მემარჯვენეების წინააღმდეგობისა სენატმა მოიწონა მთავრობის დეკლარაცია. კამათში გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ბერანჟემ** საერთო ტაშის ქვეშ გამოაქვეყნა კომისიის სურვილი, რათა საფრანგეთის ეხლანდელ პირობებში დროს ევროპასა და მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით შეიარაღებული გერმანიის წინაშე, არ დათანხმდნენ საფრანგეთის შეიარაღებულ ძალთა რაიმე შემცირებაზე (ადს).

**დალადიეს კაბინეტის გადადგომის გამო**

**პარიზი,** 7 თებერვალი. დილიდან პარიზის მრავალ ადგილას კვლავ გრძელდებოდა მღელვარე დემონსტრაციები. პრესის გადმოცემით, **დალადიემ** თავისი გადადგომა დაასაბუთა „შემდგომი სისხლისღვრის თავიდან აცილების სურვილით".

**„აქსიონ ფრანსეზის" რედაქტორის დაპატიმრება**

**პარიზი,** 7 თებერვალი. დააპატიმრეს ფაშისტურ გაზეთ „აქსიონ ფრანსეზის" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **მორასი.** მის წინააღმდეგ აღძრულია საქმე მკვლელობის წაქეზებაში ბრალის დადების გამო. მორასი გაზეთში მოუწოდებდა მთავრობის წევრების მოკვლისაკენ.

**ფრანგული პრესა პარიზში მომხდარი ფაშისტური დემონსტრაციების შესახებ**

**პარიზი,** 7 თებერვალი. „მატენი", ეხება რა მომხდარ ამბებს, ლაპარაკობს „სამოქალაქო ომზე" პარიზში. „პარი მიდი" ფაშისტური დემონსტრაციების გამო აცხადებს, რომ „დემონსტრანტებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ დეპუტატების პალატა და ელისეს სასახლე. ორივე პუნქტში ისინი წააწყდნენ ძლიერ წინააღმდეგობას, რამაც სისხლისმღვრელი შეტაკებები გამოიწვია".

„ლუმანიტე" გადმოგვცემს, მოხდა სერიოზული შეტაკებანი მუშებსა და ფაშისტებს შორის რამოდენიმე მოედანზე, ბულვარებში და მუნიციპალიტეტის შენობის წინ. დაჭრილთა შორის ურევია კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **კლამამიუ.**

გადმოგვცემენ, რომ **ერიოს,** დეპუტატის პალატიდან გამოსვლისას, თავს დაესხნენ ფაშისტი დემონსტრანტები.

პრეზიდენტის სასახლეს იცავენ პოლიციის ძლიერი რაზმები.

როგორც პრესა იტყობინება, შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის ხდებოდა ლიონსა, არასსა და ნანსიში (ადს).

**დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა დალადიეს მთავრობას**

**პარიზი,** 6 თებერვალი. დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა დალადიეს მთავრობას 283 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 186-ისა (ადს).

**დემონსტრაცია პარიზში გრძელდება**

**პარიზი,** 7 თებერვალი. შესდგა პარლამენტის მთელ რიგ პარიზელი დეპუტატების და პარიზის მუნიციპალიტეტის წევრთა კრება, რომელზედაც გადაწყდა დეპუტაციის გაგზავნა პრეზიდენტთან, „ნაციონალური ერთიანობის" მთავრობის შედგენის მოთხოვნა და კაბინეტის შედგენის დაკისრება ყოფილ პრეზიდენტ **დუმერგისათვის.** თათბირმა გადაწყვიტა აგრეთვე **კიაპის** დაბრუნების მოთხოვნა. როგორც იტყობინებიან დუმერგი დათანხმდა იკისროს ახალი კაბინეტის შედგენა.

7 თებერვალს პარიზის მთელ რიგ ადგილებში წარმოებდა **ახალი შეტაკებები.** ბევრია **დაჭრილი.** საღამოს პალატის წინ იმართებოდა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები რომლებსაც ერეკებოდა ჟანდარმერია (ადს).

**დუმერგი ადგენს ახალ კაბინეტს**

**პარიზი,** 7 თებერვალი. დღეს საღამოს 7 საათზე, გამოირკვა, რომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი **გასტონ დუმერგი** დათანხმდა იკისროს ახალი კაბინეტის შედგენა (ადს).

**რევოლუციური საგამომძიებლო კომისია სტავისკის აფიორის საქმის გამო**

**პარიზი,** 6 თებერვალი. „ლუმანიტე" სასტიკად ილაშქრებს სტავისკის აფიორის საქმის გამო საპარლამენტო საგამომძიებლო კომისიის დაარსების პროექტის წინააღმდეგ. გაზეთის ცნობით, რევოლუციურმა ორგანიზაციებმა აირჩიეს თავისი საგამომძიებლო კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. **კაშენი,** პროფესორი **პრენანი, რაკამონი, ვენო ჟანი,** აგრეთვე უნიტარულ პროფკავშირების და [illegible] წარმომადგენლები (ადს).

## დასჭრეს სახალინის საბჭ. საკონსულოს მუშაკი

**ხაბაროვსკი,** 6 თებერვალი. როგორც იუწყებიან სახალიანიდან (ჩინეთის ქალაქი ამურზე, ქალაქ ბლაგოვეშჩენსკის პირდაპირ), ადგილობრივი გარნიზონის პოლიტიკურმა მოხელემ სროლა ასტეხა რევოლვერით, დაჭრა სამი პოლიციელი და გაიქცა. გაქცეულს პოლიციელთა რაზმმა ინტენსიური სროლა აუტეხა. სროლის ზონაში მოხვდა სახალიანში არსებული საბჭოთა საკონსულოს ავტომანქანა, რის შედეგად მკლავში დაჭრილ იქნა საკონსულოს მუშაკი **უსოვი,** რომელიც ამ მანქანით მიდიოდა.

მანჯურიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ საბჭოთა საკონსულოს წინაშე გამოთქვა [illegible] და ბოდიში მოიხადა მომხდარი შემთხვევის გამო.

## ბალკანეთის პაქტი

**ვენა,** 6 თებერვალი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით საბერძნეთის, რუმინეთის, თურქეთის და სამხრეთ-სლავეთის წარმომადგენლებმა წინასწარ ხელი მოაწერეს ბალკანეთის პაქტზე. იტყობინებიან, რომ პაქტი ემყარება არსებული მდგომარეობის შენარჩუნების პრინციპებს ბალკანეთში, ერთა ლიგის წესდებას, კელოგის პაქტს და შარშან ლონდონში ხელმოწერილ კონვენციას თავდამსხმელი მხარის განსაზღვრის შესახებ. მხარეები ვალდებული არიან არავითარი შეთანხმება არ დადონ ურთიერთ თანხმობის გარეშე, დაიწესონ საერთო ხაზი ბალკანეთის პოლიტიკის საკითხებში, მოაგვარონ სადაო საკითხები არბიტრაჟის გზით და დაეხმარონ ერთმანეთს ბალკანეთის რომელიმე სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში (ადს).

## იაპონიის სამხედრო სარდლობის დავალიანება

### აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზისადმი იზრდება

**ხაბაროვსკი,** 6 თებერვალი. ხარბინიდან იტყობინებიან: 1933 საოპერაციო წლის შედეგები მოწმობს, რომ იაპონიის სამხედრო სარდლობის დავალიანება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზაზე გადაზიდვების გამო გაიზარდა კიდევ 10.313 ათასი ოქროს მანეთით. სულ იაპონიის სამხედრო სარდლობას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზისა ჰმართებს უკვე 20.729.000 ოქროს მანეთი; ეს დავალიანება 50 პროც. შეღავათითაც, რომ ვიანგარიშოთ ნორმალურ ტარიფებზე, რასაც დაიჟინებით მოითხოვს იაპონიის სარდლობა, მაშინაც იაპონიის არმიის დავალიანება რკინიგზისადმი შეადგენს 10.365.000 ოქროს მანეთს.

1933 წელს იაპონიის სარდლობამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის სალაროში თავისი დავალებების დასაფარავად შეიტანა უმნიშვნელო თანხა, სულ 485.000 მანეთი. მიუხედავად გზის მმართველის მრავალი მოგონებისა ვალის დაფარვის აუცილებლობის შესახებ, იაპონიის სარდლობა დავალიანების გადახდას აჭიანურებს (ადს).

## მსოფლიო პრესის გამოხმაურება

### ამხ. ვოროშილოვის სიტყვაზე

**გერმანია**

**ბერლინი,** 6 თებერვალი. გერმანიის პრესა ვრცლად ათავსებს პარტყრილობაზე ამხ. ვოროშილოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსს. სათაურებში აღნიშნულია საბჭოთა კავშირის მზადყოფნა დაიცვას ქვეყანა ყოველგვარ თავდასხმისაგან, კერძოდ შორეულ აღმოსავლეთში. ზოგ გაზეთს სათაურების და ქვესათაურების სახით მოჰყავს ამხ. ვოროშილოვის სიტყვები. გაზეთი „გერმანია" ამხ. ვოროშილოვის სიტყვას ათავსებს სათაურით „საბჭოთა გაფრთხილება იაპონიას". „კროიცცეიტუნგი" აცხადებს: ამხ. ვოროშილოვის სიტყვა მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი გრძნობს თავის სიძლიერეს. „ბერლინერ ბერზენცეიტუნგი" წერს: „ჯერ კიდევ არასოდეს არ ულაპარაკნიათ ასე გარკვეულად და ნათლად იაპონია-საბჭოთა კავშირის ომის მუქარის შესახებ". გაზეთი აცხადებს, რომ ამხ. ვოროშილოვს მიზნად ჰქონდა „გაფრთხილებინა იაპონია" მშვიდობიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის. მოჰყავს რა ამხ. ვოროშილოვის ცნობები წითელი არმიის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მიღწევათა შესახებ, გაზეთი აღნიშნავს, რომ ამხ. ვოროშილოვი სიამაყით და გულწრფელად ლაპარაკობდა ამ მიღწევებზე. ამხ. ვოროშილოვის სიტყვის შინაარსი გადასცა აგრეთვე გერმანული რადიოთი.

იტალიური გაზეთები წერენ: „საბჭოთა კავშირს, [illegible] რა საფრანგეთის, ინგლისის და შეერთებული შტატების არმიაზე [illegible] მექანიზირებული არმია, ამჟამად შეუძლია უკუაგდოს შემოსევის ყოველგვარი ცდა".

**შვეცია**

**სტოკჰოლმი,** 6 თებერვალი. შვეციის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ დაწვრილებით ცნობებს პარტყრილობაზე ამხ. ვოროშილოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ. ცნობებს აქვეყნებენ სათაურებით „ომის მუქარა შორეულ აღმოსავლეთში", „იაპონია ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ", „მანჯუგოს მილიტარიზაცია იაპონიის მიერ". მთელი პრესა განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ამხ. ვოროშილოვის განცხადებას წითელი არმიის ძლიერების და განმტკიცების შესახებ და იმაზე, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „არ იქნება ადვილი საქმე".

**პოლონეთი**

**ვარშავა,** 6 თებერვალი. მთელი პრესა ათავსებს დაწვრილებით ცნობას პარტყრილობაზე ამხ. ვოროშილოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ. გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ამხ. ვოროშილოვის განცხადებას იაპონიის მიმართ და ცალკე გამოყოფენ ამხ. ვოროშილოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ წითელი არმია სავსებით მზად არის დაიცვას ვლადივოსტოკი, ჩრდილოეთი სახალინი და კამჩატკა და სრულ გამარჯვებამდე აწარმოოს ომი, თუ მას ამ ომს თავს მოახვევენ.

**საფრანგეთი**

**პარიზი,** 6 თებერვალი. მთელი პრესა ათავსებს ამხ. ვოროშილოვის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის ანგარიშს. სათაურებში გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის გაზრდილ ძლიერებას და იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დაძაბულობას: „ვოროშილოვმა ხაზგასმით აღნიშნა იაპონია-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მუქარა", „საბჭოთა გაფრთხილება იაპონიას" და სხვ. ზოგიერთი გაზეთი სათაურებში გამოყოფს სიტყვიდან ციტატას „ომი ძვირად დაუჯდება მის წამომწყებს". „ტანს" ამხ. ვოროშილოვის სიტყვიდან მოჰყავს ვრცელი ციტატები, რომლებშიაც ამხ. ვოროშილოვი აღნიშნავს ამხ. სტალინის განსაკუთრებულ დამსახურებას საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის გამტკიცებაში, საბჭოთა სამხედრო მრეწველობის და ავიაციის ზრდას, წითელი არმიის აღჭურვილობას ტექნიკით, საბჭოთა საზღვრების გამტკიცებას დასავლეთსა და აღმოსავლეთში, აგრეთვე იმ ადგილს, სადაც იგი ჩერდება კონფლიქტის მუქარაზე შორეულ აღმოსავლეთში.

## პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

### პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

**ვარშავა,** 6 თებერვალი. გარეშე საქმეთა მინისტრი ბეკი სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოვიდა სიტყვით პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. დაახასიათა რა ურთიერთობა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის, ბეკმა განაცხადა:

„შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მივაღწიეთ მაქსიმალურ სიზუსტეს თავდასხმის უარყოფის მტკიცე გადაწყვეტილების კონსტანტირებაში. მეგობრული მეზობლობის ურთიერთობა და ჩვენი ურთიერთობის ატმოსფერა ხელს უწყობს წინააღმდეგობათა აღმოფხვრას მთელ რიგ დარგებში, აგრეთვე მთელ რიგ საკითხებში თვალსაჩინოა დაახლოება. თვით **პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე შეიქმნა კეთილმეზობლური მადლობის ატმოსფერა. ჩვენი მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ასეთ განვითარებას და კონტაქტს, რომელიც დამყარებულია საბჭოთა მთავრობასთან, კონტაქტს, რომელსაც, იმედი მაქვს, საშუალება მეძლევა უახლოეს დროში პირადად მე შევუწყო ხელი"** (ადს).

## ქ რ ო ნ ი კ ა

**ახალგაზრდათა მხატვრები გამოფენაზე**

ახალგაზრდა მხატვრების სექციას, საბჭოთა საქართველოს 13 წლის თავთან დაკავშირებით, მხატვართა კავშირის მიერ გამართულ გამოფენაზე დათმობილი ექნება სპეციალური განყოფილება, სადაც წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა მხატვრების ექსპონატები. გამოფენა მოეწყობა ეროვნულ გალერეის შენობაში.

**პროფ. დაჟერელის მოხსენება**

საქ. ექიმთა საზოგადოებაში ყველა სექციებთან ერთად გაერთიანებულ საერთო სხდომაზე, 9 თებერვალს საღ. 8 ნახევ. ს. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგება საქ. სახ. უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის და საქ. ექიმთა საზოგადოების საპატიო წევრის პროფესორ ფელიქს დაჟერელის მოხსენება: ბაქტერიოფაგი როგორც სამკურნალო და პროფილაქტიური ფაქტორი. შესვლა თავისუფალია.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

8 თებერვალს საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში **შესდგება სამკუთხედების თათბირი** იანვრის გეგმების შესრულების შედეგების და თებერვლის გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე. დღის წესრიგში დასმულია მსუბუქი მრეწველობის და მძიმე მრეწველობის სახ. კომისრის **ამხ. ბუდუ მდივანის მოხსენება.**

საწარმოების ყველა სამკუთხედის, სათანადო ორგანიზაციების (ტრესტების, სახ. კომისარიატების, კავშირების ცენტრალურ გამგეობათა) წარმომადგენლების და ტფ. ორგანიზაციების რაიკომების მუშაკების დასწრება სავალდებულოა.

**საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი.**

საქ. მიწსახკომის პოლიტსექტორი წინადადებას აძლევს ამხ. გრიგოლ შენგელიას 8 თებერვალს, დილის 10 საათზე, გამოცხადდეს პოლიტსექტორში ამხ. მიქელოვთან.

## ქვანახშირი

### 3 თებერვალს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 101 პროც.

| | ამოღება (ტონობით) | | |
|---|---|---|---|
| | დავალება | შესრულება | % |
| ს უ ლ | 1.042 | 1.052 | 101 |
| მათ შორის: | | | |
| ლენინის უბანი . . . | 521 | 523 | 100,3 |
| სტალინის უბანი . . . | 521 | 525 | 101 |

## მარგანეცი

### 5 თებერვალს მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 80,1 პროც. გარეცხვის—69,7 პროც.

| | ამოღება (ტონობ.) | | | გარეცხვა (ტონობ.) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დავალება | შესრულება | % | დავალება | შესრულება | % |
| ს უ ლ | 4.112 | 3.292 | 80.1 | 2.093 | 1.459 | 69,7 |

სახ. ოპერა

| 8 თებერვალს 7 აბონ. 9 წარ. | 9 თებერვალს 3 აბონ. 9 წარ. | 10 თებერვალს 9 აბონ. 9 წარ. |
|---|---|---|
| ჩიო-ჩიო-სან | პიკის ქალი | ქეთო და კოტე |

12 თებერვალს დღისით ქეთო და კოტე

აბონენტები რომლებსაც მეშვიდე [illegible] არ ექნებათ გადახდილი ერთი დღით ადრე თავის წარმოდგენამდე წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

წარმოდგენის დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

| 8 თებერვალს 3 აბონ. 5 წარ. | 9 თებერვალს 9 აბონ. 5 წარ. | 10 თებ. აბ. გარ. საიუბილეო წარ. |
|---|---|---|
| ოტელო | ნინოშვილის გურია | ურიელ აკოსტა |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე,

თებერვლის 15-მდე აბონენტების [illegible] უნდა იქნას მეექვსე გადასახადი. ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათ. საღ. 6—9 ს.

რუსთაველის სახ. თეატრი

| 7 თებერვალს 14 აბონ. 5 წარ. | 8 თებერვალს 1 აბონ. 6 წარ. | 9 თებერვალს 2 აბონ. 6 წარ. |
|---|---|---|
| ინტერვენცია | დუშმანი | დუშმანი |

ოც თებერვლამდე მე-6 გადასახადი სავალდებულოა შეტანილი უნდა იქნას თეატრის ან „ბორის" სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე. სალარო ღიაა 11—2. 6—9 ს.-მდე. დასაწყისი 8 ს.

ექიმი
ვ. ფ. ოთხმეზური
ქირურგიული სნეულებანი
მიღება საღ. 5—7 საათამდე.
მისამართი—გრიბოედოვის ქ. № 19 455

სახკინმრეწვის კინო-თეატრები

| | |
|---|---|
| ოქტომბერი ხმოვანი | მხ. ხმ. ფ. იუდუშკა გოლოვლევი<br>სეანსები 5, 7-30, 9 10-30 |
| დამკვრელი | ახ. მხ. ფ. ქალაქი საფრთხის ქვეშ<br>სეანსები 5-30, 8-30, 10-30. |
| ტემპი | ხამი სიცოცხლე პირველი სერია<br>სეანსები 5, 7-30, 9, 10-30. |
| რ. ლუქსემბურგის ხმოვანი | მხ. ხმ. ფ. სიკვდილის კონვეიერი<br>სეანსები 6, 7-30, 9 10-30. |
| სპარტაკი | უკანასკ. დღე რისთვის? ორ სერიათ.<br>სეანსები 6-30, 8-30, 10-30. |
| 26-ის სახ | მხატვრ. სურ. სწრაფში № 2<br>სეანსები 6-30, 8-15, 10 |
| მეცნიერება და ტექნიკა | მანქანის ნაწილების ჩამოსხმა<br>[illegible] სეანს.: 8, 9-30. |
| რ. ლუქსემბურგის დღისით | მხატვრული სურ. ფუნარი დონი<br>სეანსები 12, 1-30 |
| საბავშვო | თავზეხელაღებული ბათალიონი<br>სეანსი დილის 10 საათიდან |

დამწუხრებული მშობლები: გრიგორი, თამარა და ცისანა ამირანაშვილები, ბაბუა პეტრე, ბებია მარიამი, ბიძები ვანო, მიშა დეიდა ქეთო ქორქაძეები იუწყებიან უსაყვარლესის

**შოთიკო ამირანაშვილის**

გარდაცვალებას. დასაფლავება 9 თებერვალს ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება რაჭთაშვილის ქ. № 32.

დამწუხრებული მშობლები, თამარა, სიმონი შვილებით ბაბუა და ბებია, დეიდები ნინა, ქრონია ელენე მშვენიერაძეები იუწყებიან უძვირფასესი

**ნაზი სიმონის ასულ რობაქიძის**

უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა ზესტაფონში 10 თებერვალს სამოქ. პანაშვიდი 5 საათზე 85

ღრმად დამწუხრებული [illegible] შვილებით: გოგია, მეუღლე ვენერა და ვალოდია [illegible] აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს

**ვალიკო ქაიხოსროს-ძე ნიჟარაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 10 თებერვალს 4 საათზე. სამოქ. პანაშვიდი ყოველ დღე. 867

ოპერის თეატრის დირექცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო ოპერის თეატრის ერთგული და დაუღალავი ძველი მუშაკი

**პორფილე მასხარაშვილი**

სამოქალაქო პანაშვიდი 8 თებერვალს 6 ს მე-2 საავადმყოფოში (ყოფ. [illegible]) დაკრძალვა 10 თებერვალს 4 საათზე.

თავზარდაცემული მეუღლე ნინა, შვილი [illegible], სიძეები [illegible] იუწყებიან საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ვარლამ (ვალიკო) ნიჟარაძე**

გამოსვენება [illegible] ქ. № 5 10 თებერვალს 4 ს. 86

ულრმესი მწუხარებას გამოსთქვამთ სიმონიკა შერგელაშვილი ცოლშვილით ვანიკა, დანიელ ლუტიძეები ცოლშვილით გინო და ოლინკა ძვირფასი

**თამარა შერგელაშვილის**

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა 6 თებერვალს. 856

[illegible] ანეტა, [illegible] ვანო და მიშა. [illegible] მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი [illegible]

**ნოე კონსტანტინეს-ძე სალუქვაძე**

ურამ ძირულის გზ. ს მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან ამავე გზის თანამშრომლის გრიგოლ ყარამანისძე ამირანიშვილის ვაჟის

**შ ო თ ა ს**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 9 თებერვალს. 849

ხონის [illegible] პროფკავშირი და წითელი ჯვარი [illegible] მწუხარებით იუწყებიან დამსახურებული ექიმის და საზოგადო მოღვაწის

**მათე ვასილის-ძე ბახტაძის**

გარდაცვალებას.

თავზარდაცემული [illegible] სოფიო, შვილები: [illegible], თამარა მარო, ქეთევანი, თინა, ცოლისდები: [illegible] მასხარაშვილები იუწყებიან დაუვიწყარი

**პორფილე მასხარაშვილის**

უეცარ გარდაცვალებას სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 6 ს. ალექსანდროვის საავადმყოფოში 866

უსაყვარლესი ამხანაგები: გიორგი ბაკურაძე მიტროფანე ფერაძე და დავით მიქაბერიძე მწუხარებით იუწყებიან გრიგოლ ყარამანისძე ამირ[illegible] ვაჟის

**შ ო თ ა ს**

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 9 თებერვალს 847

უახლოესი ამხანაგები [illegible] დოლიძე, ბარბაქაძე, გეგესალიძე, დავლიანიძეები და გიორგაძე [illegible] თანაგრძნობას უცხადებენ [illegible] მისი ძის

**ნოე სალუქვაძის**

გარდაცვალების გამო.

დამწუხრებული მშობლები: ბაბუცა და ბუბუტი ფულარიები, ბებია მარი [illegible] და თამარა აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი

**გურამ ფულარიას**

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 8 თებერვალს ქუთაისში.

ღრმესი მწუხარებით დავსტირით ახალგაზრდა, ნორჩ ექიმ შალიკო ტყეშელაშვილის შვილის

**ტატას (თამარა)**

გარდაცვალებას უახლოესი ნათესავები თამარა ჯაფარიძე, ზურა [illegible], ლენა ფურცელაძე

ღრმად დამწუხრებულნი: [illegible] თალაკვაძე, შვილებით: [illegible] ილია, მოსე, დათიკო და კარლო თალაკვაძეები [illegible] იუწყებიან

**პროკოფი ხალამპრეს-ძე დოლიძის**

უდროო გარდაცვალებას. დასაფლავება 8 თებერვალს, გვაბრაძეში (ზუგდიდის რ.).

გულდაწყვეტილი ამხანაგები: ქეთო შავიშვილი, თამარ [illegible], თამარ [illegible], მარო [illegible], თამარ ნორაკიძე [illegible] ელენე ხელაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ 8 თებერვალს ახალ სენაკში დანიშნულია

**ოლია კინწურაშვილის**

სამოქ. პანაშვიდი. 853

უახლოესი მეგობრები—კბილის ტექნიკოსები: ს. ჭრუშაძე, ვ. მგალობლიშვილი, [illegible] დობაძე, [illegible] მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მეგობრის და თანამშრომლის

**თამარა შერგელაშვილის**

უდროოდ დაკარგვის გამო

[illegible] დედა ვერა, [illegible] შვილებით: გიგლა, ხურაბ, ბუხუტი იუწყებიან, რომ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი პატარა

**ვატა (ვახტანგი) ცირამუას**

ქ. ქუთაისში [illegible] სასაფლაოზე 10 თებერვალს 850

ცოლი მაკრინე, შვილები: ნაუმი, ვლადიმერი ცოლშვილით, ნინა, შუშანიკა [illegible], რძალი ვარია შვილებით, ძმები: იაკობ, [illegible] და [illegible] იუწყებიან

**იროდი ზურაბის-ძე გეგეშიძის**

გარდაცვალებას. გასვენება 10 თებერვალს [illegible] 851

დამწუხრებული ძმა ვარლამი [illegible] სიძე კოსტა [illegible] შალვა, ქეთო, [illegible] იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლავრენტი დავითის-ძე მიქაძე**

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან 8 თებერვალს 4 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 852

ამწუხრებული მეუღლე ნოე, შვილი [illegible] აუწყებენ საზოგადოებას, რომ 9 თებერვალს [illegible] დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უსაყვარლესი

**მანანა ხეითის-ას სოხაძე-რევიშვილის**

[illegible] 858

მუშათა [illegible] კომბინატის დირექცია ლექტორები [illegible] თანამშრომლები და სტუდენტები [illegible] გრძნობას უცხადებენ ამავე კომბინატის ლექტორს [illegible] გელაშვილს [illegible] საყვარელი მეუღლის

**თამარ შერგელაშვილის**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

სსრ სახალხო არტისტის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის [illegible] იუწყება ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობ [illegible]

**ერასტი სამსონის-ძე ქველიძის**

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება 7 თებერვალს 4 საათზე თეატრის შენობიდან.

ხონის [illegible] ტექნიკუმის თანამშრომლები: ჩხენკელი ბ., მეფისაშვილი [illegible], აკაბაძე მიხ., [illegible] მ., აბზიანიძე ალ., [illegible] გ., ბახტაძე ნ., [illegible] მწუხარებით იუწყებიან ამავე ტექნიკუმის თანამშრომლის

**მათე ვასილის-ძე ბახტაძის**

გარდაცვალებას 845

მე-13 აფთიაქის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე აფთიაქის თანამშრომელ [illegible] მუშაკის

**პილასი ნოეს ასული ჩეროძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება 6 თებერვ. გამოსვენება რუსთაველის ქ. № 34

[illegible] 1 მაღაზიის თანამშრომლები გულითად თანაგრძნობას უცხადებენ ამავე მაღაზიის თანამშრომელ ქეთო პაიჭაძეს მისი საყვარელი დედის

**ნინო პაიჭაძის**

გარდაცვალების გამო. დასაფლავება დღეს 2 საათ. არაგვის შესახვევი № 1. 82

სტამბა „კომუნისტი" კამხ. ქ. №68

მთავლიტის რწმუნებული ა 1572